

# ჯობავამ კასპაროვის აღზრდილ ვუნდერკინდს მოუგო

ვაჟების ნაკრები ექვს გუნდთან ერთად ლიდერობს

საჭადრაკო ოლიმპიადა

გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა


პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 სექტემბერი **შაბათი** 2010

№226 (13214) ფასი 60 თეთრი


სერია A. მეხუთე ტურის წინ

## კალაძე სან სიროზე ბრუნდება



## დიდი უქმეების წინ



## ლიდერს სიტი გამოცდის

პრემიერლიგა. მეექვსე ტურის წინ

გვ. 9



## დავითი და გოლიათი

ბუნდესლიგა. მეექვსე ტურის წინ

გვ. 6

# ვაშაკიძემ სიონს დინამო დაამარცხებინა



გვ. 2-3

საქართველოს ჩემპიონატი

# ვაშაკიძემ სიონს დინამო დაამარცხებინა

24.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
700 მაყურებელი

**სიონი 1**
**დინამო 0**

1:0 ვაშაკიძე (26. უგრეხელიძის პასით)

| სიონი 4-4-2 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| ბოგლიაშვილი | ლორია |
| კობაური | კაკუბავა |
| ორბელაძე | თომაშვილი |
| თარგამაძე | გ. კვარაცხელია |
| რაქვიაშვილი | ხმალაძე |
| ვაშაკიძე | ლილუაშვილი |
| დიდავა | კოშკაძე |
| ლ. ნოზაძე | ჯუისი |
| უგრეხელიძე | თექთურმანიძე |
| გ. თოდუა | კახელიშვილი |
| რ. გოცირიძე | მეტრეველი |
| მწვრთნელი გ. ყიფიანი | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**სიონი**
33. დიდავა - **ქურასბედიანი**
67. გ. თოდუა - **ისიანი**
77. რ. გოცირიძე - **ოქროპირიძე**
*სათადარიგოები: მერლანი, სანიკიძე, ლ. ჩხეტიანი, ბობოხიძე*

**დინამო**
53. მეტრეველი - **ვანაძე**
65. ლილუაშვილი - **ფირცხალავა**
77. კოშკაძე - **დ. მუჯირი**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, გავაშელიშვილი, ლექვთაძე*

გაფრთხილება: რ. გოცირიძე (70), ვაშაკიძე (89)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი


ბურთით ლაშა ვაშაკიძე

მიმდინარე ჩემპიონატის კიდევ ერთი მოულოდნელობა გუშინ ბოლნისში დაფიქსირდა. „სიონმა“, რომლის თავკაც **გიორგი ყიფიანს** უმაღლეს ლიგაში მთავარ მწვრთნელად მუშაობის სადებიუტო სეზონი აქვს, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დაამარცხა. „დინამოს“, რომელიც ამ ტურამდე „ოლიმპთან“ ერთად ლიდერობდა, ბოლნისური ბარიერი შლაგბაუმად გადაექცა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქვემოქართლელების მოგება შემთხვევითი არ ყოფილა, პირიქით, დამსახურებული იყო. მართალია, საგოლე მომენტები ორივე კართან არაერთი შეიქმნა, მაგრამ ბოლნისელებს კიდევ ორი რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, რომელიც ვერ გამოიყენეს. „სიონს“ აქამდე მხოლოდ ერთხელ, სამტრედიაში ჰქონდა მოგებული და ყიფიანის გუნდმა მეორე 3 ქულა უფრო ძლიერ მეტოქესთან მოიპოვა.

ერთი სიტყვით, მასპინძლებმა დამსახურებულად მოიგეს. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რატომ დამარცხდა „დინამო“. უმთავრესად იმიტომ, რომ სტუმრებზე მეტად მასპინძლებმა მოინდომეს. ბოლნისელებმა ჟინითა და მონდომებით შეძლეს და გაანეიტრალეს კლასში მეტოქის უპირატესობა. მატჩის ბოლო წუთებზე დედაქალაქელებმა შტურმი მოუწყვეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ „სიონმა“ გაუძლო.

ქვემოქართლელთაგან ერთადერთი გოლი ნახევარმცველმა **ლაშა ვაშაკიძემ** გაიტანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემტევ ნახევარმცველ **ვლადიმერ უგრეხელიძესთან** და მეკარე **მინდია ბობლიაშვილთან** ერთად, ვაშაკიძე საუკეთესო იყო. რაც შეეხებათ სტუმრებს, **გიორგი კახელიშვილი, ლევან კაკუბავა** და **მათე ვაწაძე** უნდა გამოვარჩიოთ. ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ, ვაწაძემ პირველად ითამაშა. მათემ მნიშვნელოვნად გაამწვავა თამაში და ალბათ უმჯობესი იქნებოდა სასტარტო შემადგენლობაში ყოფილიყო. თუმცა ტრავმის შემდეგ სათანადო კონდიციებში არ არის და მწვრთნელებმაც ალბათ ამიტომ არ გარისკეს.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას. თავიდანვე გამოჩნდა, რომ მეტოქეები არაფერს დათმობდნენ და ცხარე ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც. სტუმრებმა კარგად დაიწყეს თამაში, მაგრამ შემართების ხარჯზე ბოლნისელებმა ჯერ თამაში გაათანაბრეს, მერე კი უპირატესობასაც დაეუფლნენ. პირველად სტუმრებმა გაისროლეს, მაგრამ **ალექსანდრე კოშკაძის** მიერ ჩაწოდებული კუთხურისას **გია კვარაცხელიას** თავური ბადეს გარედან მოხვდა. საპასუხოდ ვაშაკიძემ გაისროლა, მაგრამ უშედეგოდ. მე-20 წუთზე კახელიშვილი ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და მეტად მახვილი კუთხიდან დაარტყა - მასპინძლები ძელმა იხსნა. 4 წუთში დინამოელებს რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ. **დონალდ ჯუისის** დარტყმული ბობლიაშვილმა მოიგერია, დამატებაზე ჯერ კახელიშვილი შეეცადა გატანას, მერე **გიორგი თექთურმანიძე**, მაგრამ ბურთს მეკარე და მცველები გადაეფარნენ. სტუმრებმა ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენეს და დაუწერელი საფეხბურთო კანონიც ამოქმედდა - ვერ გაიტან, გაგიტანენ... 26-ე წუთზე **გივი დიდავამ** უგრეხელიძე მოძებნა, რომელმაც ფლანგიდან ვაშაკიძეს უპასა და ლაშამ ეფექტური „ცხრიანით“ დააწინაურა „სიონი“. მომდევნო 10 წუთში ბოლნისელებმა კიდევ ორი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ გია თოდუამ და **მიხეილ კობაურმა** ვერ იმარჯვეს. ტაიმის ბოლოს კი უგრეხელიძემ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

» მე-4 გვერდზე

# მდიდარი და ღარიბი

24.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
2000 მაყურებელი

**სამტრედია 1**
**ზესტაფონი 3**

0:1 აფციაური (13. დვალის პასით) 0:2 ონიანი (18) 1:2 ჩომახიძე (32), 1:3 აფციაური (72. დვალის პასით)

| სამტრედია 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ძაგანია | რ. კვასხვაძე |
| ჩხიკვაძე | ბენაშვილი |
| კირთაძე | ონიანი |
| თ. შალიკაშვილი | ხიდეშელი |
| ბაკურაძე | ელიავა |
| ქებაძე | ძარია |
| ტყემალაძე | დაუშვილი |
| ჩომახიძე | ბაბუნაშვილი |
| პავლიაშვილი | აფციაური |
| კვერენჩხილაძე | დვალი |
| კაკალაძე | გელაშვილი |
| მწვრთნელი გ. სანაია | მწვრთნელი გ. გეგუჩაძე |

**სამტრედია**
46. კვერენჩხილაძე-**დ. კირკიტაძე**
64. კირთაძე-**ხუმარაშვილი**
64. ბაკურაძე-**ი. შალიკაშვილი**
*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, სოსელია, ეცადეიშვილი, გუჩუა*

**ზესტაფონი**
53. ბაბუნაშვილი-**გორგიაშვილი**
71. ძარია-**ფიფია**
71. გელაშვილი- **ალადაშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, მაკარიანი, ცხადაია*

გაფრთხილება: გელაშვილი (28), ბენაშვილი (41), ტყემალაძე (54), პავლიაშვილი (86)
არბიტრი: ლ. სილაგავა

იმერულ დერბის გუნდები განსხვავებული განწყობილებით ხვდებოდნენ. ზესტაფონელებმა მცირედი ჩავარდნის შემდეგ ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში პოზიციები გაიმყარეს. ზემოიმერლებს მიმდინარე სეზონში გასვლაზე ორივე შეხვედრა წაგებული ჰქონდათ („დინამოსთან“ და „ბაიასთან“ ) და ახლა პირველი „საგარეო“ ქულების მოპოვებას გეგმავდნენ. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, აქამდე „სამტრედიაც“ არ გამოიყურებოდა ურიგოდ. წინა ტურში „დინამოსთან“ მარცხის მიუხედავად, **გელა სანაიას** გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, „სამტრედია“ კვლავაც პატრონისა და ფინანსების გარეშე იმყოფება. სამტრედიელებმა „ტორპედოსთან“ ერთი დერბი უკვე მოიგეს, მაგრამ უხელფასო ფეხბურთელებს ძნელია სისტემატურად გამარჯვებები მოსთხოვო, მით უმეტეს ისეთ ძლიერ და წელგამართულ მეტოქესთან, როგორიც „ზესტაფონია“. მასპინძლებს, რომლებსაც ტრიბუნებიდან 2000-მდე ერთგული ქომაგი ამხნევებდა, მატჩის დებიუტი აშკარად ჩაუვარდათ. „ზესტაფონი“ ხშირად სწრაფ გოლზე აკეთებს აქცენტს და ტრადიციას არც ამჯერად უღალატა. ფეროელებმა პირველივე წუთიდან შეუტიეს მეტოქეს და კარგი შედეგიც მოიმკეს. 18-წუთისთვის სტუმრები უკვე 2:0 იგებდნენ. გოლები კი მართლაც შთამბეჭდავი გავიდა. 13-წუთზე ზესტაფონელთა მწვავე იერიშს სამტრედიელთა კართან არეულობა მოჰყვა, **დვალმა აფციაურს** აუგდო ბურთი, ზესტაფონელთა ნახევარმცველმა მიწაზე დაუშვებლად ძლიერად დაარტყა და ცხრიანში მოახვედრა - 0:1. სამტრედიელებს გონზე მოსვლა ვერ მოესწროთ, რომ საკუთარ კარში მეორე ბურთი მიიღეს. **გიორგი ონიანმა** დაახლოებით 22 მეტრიდან ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და **ძაგანიას** შანსი არ დაუტოვა - 0:2. გოლის შემდეგ კვლავ ზესტაფონელები ფლობდნენ უპირატესობას, სამტრედიელები თითქოსდა მარცხს შეეგუვნენ, მაგრამ გუნდის ლიდერობა ვეტერანმა **შოთა ჩომახიძემ** იკისრა, რომელმაც სახიფათოდ შესრულებული ჯარიმებით მეტოქეს სისხლი გაუშრო. 32-წუთზე **კაკალაძის** სახიფათო გარღვევა ზესტაფონელებმა აკრძალული ხერხებით შეაჩერეს, რასაც ზესტაფონელთა კართან სახიფათო საჯარიმო მოჰყვა. ჩომახიძის დარტყმა ცოცხალ კედელში მყოფ **ბენაშვილს** მოხვდა, ტრაექტორია შეიცვალა და ზესტაფონელთა კარის ბადეში აღმოჩნდა -1:2. ხუთიოდე წუთში ჩომახიძემ მორიგი „სტანდარტულიდან“ კარგად მოჭრა ბურთი და **კვასხვაძემ** გაჭირვებით შეძლო მოგერიება. ამას მასპინძელთა კიდევ ერთი სახიფათო შეტევა მოჰყვა, კაკალაძის კარგი გადაცემის შემდეგ **კვერენჩხილაძე** გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბენაშვილი წამოეწია და ფეხებში ვარდნით კუთხურზე მოიგერია ბურთი. 43-წუთზე სტუმართა კართან კვლავ ჯარიმა დაინიშნა და იგი ისევ ჩომახიძემ შეასრულა. ვეტერანმა ახლო კუთხეში მოჭრა ბურთი, კვასხვაძე ამ ეპიზოდში უძლური იყო, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ძაგანიას კართან შტურმი მოაწყვეს. აფციაურის დრიბლინგს დვალის დარტყმა მოჰყვა და მასპინძლები ძელმა იხსნა, დამატებაზე ისევ დვალი ურტყამდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მეორე ეპიზოდისას აფციაური კვლავ გაექცა მცველებს, მეკარესაც გასცდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან გარედან მოარტყა ბადეს.

მატჩის მეორე ნახევარიც სტუმრების უპირატესობით დაიწყო. 54-წუთზე აფციაურმა დვალთან გაითამაშა კედელი, რის შემდეგაც „სამტრედიის“ დაცვა ჩავარდა, აფციაურიც და დვალიც მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდნენ, თორნიკეს შეეძლო გაეტანა, მაგრამ რატომღაც დვალის მისამართით გააკეთა გადაცემა, ჯაბამ ცარიელ კარში კი შეაგორა ბურთი, თუმცა გაბრიაძემ თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. რამდენიმე წუთში დვალისა და აფციაურის კომბინაციის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე **გორგიაშვილი** გავიდა, მას მეკარემ აჯობა. მეტოქეს ვალში სამტრედიელებიც არ დარჩნენ - **პავლიაშვილის** გარღვევისა და სახიფათო დარტყმის შემდეგ ონიანმა კარის ხაზთან თავით მოიგერია ბურთი.

72-წუთზე სტუმართა ლამაზ კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა. ელიავამ დვალს მიაწოდა ბურთი, ჯაბა ისევ ელიავას უბრუნებდა, თუმცა ამან უკეთეს პოზიციაში მყოფ აფციაურს დაანება დარტყმა, თორნიკემ მეკარისგან ახლო კუთხეში ძლიერად გაისროლა, ძაგანიამ რეაქცია კი მოასწრო, მაგრამ ეს გუნდის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა, მეკარის ხელიდან ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში ჩაეშვა - 1:3. ფეხბურთელებისგან განსხვავებით სამტრედიელმა გულშემატკივრებმა გოლი გააპროტესტეს, აქაოდა თამაშგარედან გაგვიტანესო და მსაჯს მისდგნენ, მათი რეაქცია მატჩის შემდეგაც არ განელებულა, ფანები ნაგებას მსაჯებს აბრალებდნენ და მათ ათასნაირი „ეპითეტით“ ამკობდნენ...

79-წუთზე ჩომახიძემ კიდევ ერთი საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ბურთი ზესტაფონელთა კარის ცხრიანში მიდიოდა, ამჯერად საკუთარი გუნდი გოლისგან კვასხვაძემ იხსნა.

### მატჩის შემდეგ

***გია გეგუჩაძე:*** *„შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხი კი უკეთესის სურვილს ტოვებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ მინდორზე უკეთ თამაში თითქმის შეუძლებელია. „სამტრედია“ არ არის იოლად დასამარცხებელი მეტოქე. მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, თუმცა ჩვენც ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ“*

***გელა სანაია:*** *„მსაჯებთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს... საინტერესო თამაში იყო, ძლიერი მეტოქე გვყავდა, ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ სამწუხაროდ შედეგისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.“*

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# მხოლოდ უიღბლობას ნუ დავაბრალებთ...

24.09. რუსთავი. ფოლადი.
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ტორპედო | 0 |

1:0 ჩიმაკაძე (42, ლიპარტიას პასით).

| ვიტ ჯორჯია | ტორპედო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-4-2 |
| ძაძამია | ქვილითაია |
| ბეჟვაია | ფოფხაძე |
| ადამაძე | მაჭავარიანი |
| კასრაძე | ს. თოდუა |
| ლანიაშვილი | ჩიკვილაძე |
| გურ. გურეშიძე | ნ. კვასხვაძე |
| მაისაშვილი | დილმელაშვილი |
| კლიმიაშვილი | მ. გიგაური |
| ლიპარტია | თარხნიშვილი |
| ჯანელიძე | ქემუხტიშვილი |
| ჩიმაკაძე | საბანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | რ. მუმლაძე |

**ვიტ ჯორჯია**

55. ჯანელიძე-ზაქრაძე
76. კლიმიაშვილი-კორიფაძე
89. ჩიმაკაძე-გოგიაშვილი

სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, დვალაშვილი, გიორგი გურეშიძე, ჩაკვეტაძე

**ტორპედო**

46. ქვილითაია-მიგინეიშვილი
62. კვასხვაძე-ბ. სანიკიძე
70. ქემუხტიშვილი-ზ. ხაჭიპერაძე

სათადარიგოები: ფარულავა, გურული, ცნობილაძე, ლ. კირკიტაძე

გაფრთხილება: **მაჭავარიანი** (33), **გურეშიძე** (35), **ძაძამია** (45), **ლანიაშვილი** (59), **სანიკიძე** (82)

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია** (თბილისი)

ქუთაისიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი ქომაგისგან შეგულიანებული „ტორპედო" პირველი წუთებიდანვე შეტევაზე გადავიდა და საერთოდაც, I ტაიმი სტუმართა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა აქაც გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „ტორპედოს" შეტევებს ქაოტური უფრო ეთქმოდა, ვიდრე — ორგანიზებული. თუმცა, გარჯა არავის დავუკარგოთ და ისიც ვთქვათ, რომ მატჩის პირველ 10 წუთში „ტორპედო" რამდენჯერმე დაემუქრა მასპინძელთა კარს, მაგრამ სტუმართა ორივე ჭაბუკი ფორვარდის (**ნიკა საბანაძე, ლაშა ქემუხტიშვილი**) დარტყმები არაზუსტი იყო. მეტ-ნაკლებად აქტიურად თამაშობდნენ სტუმართა ფლანგის ნახევარმცველებიც: **ნიკოლოზ კვასხვაძე** (მარჯვნიდან) და **თორნიკე თარხნიშვილი** (მარცხნიდან), მაგრამ როგორც კი საქმე დამაგვირგვინებელ დარტყმამდე მიდიოდა, აი, იქ უკვე მხოლოდ უიღბლობას ველარ დავაბრალებდით. გასაგებია, რომ სტუმართა თამაშზე ფსიქოლოგიური ფაქტორიც მოქმედებდა, მაგრამ ელემენტარულ სიტუაციებში ტექნიკური წუნიც აშკარაზე აშკარა იყო. ყველაზე რეალური მომენტი „ტორპედოს" 39-ე წუთზე შეექმნა, როცა ნიკა საბანაძემ ახლო მანძილიდან ბურთი პირდაპირ... **გიორგი ძაძამიას** „დაუმიზნა". სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიას" მეკარემ მთელი მატჩი უშეცდომოდ და საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარა; თუმცა ამაში ხელი... სტუმრებმაც შეუწყვეს, — 90 წუთის განმავლობაში მიზანი რომ ვერაფრით გაისწორეს. აი, „ვიტ ჯორჯიამ" კი, თითქოსდა შეგნებულად დაუთმო ცენტრი მეტოქეს და სწრაფი კონტრშეტევების იმედზე რომ იქნებოდა, პირველად 27-ე წუთზე „გამოჩნდა": **ჯაბა ლიპარტია** ოსტატური დარტყმით აპირებდა სტუმართა მეკარისათვის ბურთის თავზე გადაგდებას. აი, მეორე ეპიზოდი კი უკვე შედეგიანი გამოდგა და, ყველაფერს თავი დავანებოთ, ისეთი გოლი ვიხილეთ, ამ სეზონში რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე კი არა, ვეჭვობთ, საერთოდ ჩვენს სხვა სტადიონზე გასულიყო! შეტევა კი ლიპარტიამ წამოიწყო, რომლის ეფექტური პასი „ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდა ფორვარდმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** ტექნიკურად დაამუშავა, მკერდზე მიიღო და ვიდრე ბურთს ძირს დაუშვებდა, მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან უძლიერესად და ზუსტად დაარტყა — 1:0!

...მეორე ტაიმის დასაწყისში „ტორპედომ" ერთი-ორჯერ შეუტია, მაგრამ გააზრებული კომბინაციის მსგავსსაც ვერ დაინახავდით სტუმართა ქმედებებში; დაღლაც დაეტყოთ და ტექნიკური წუნი მაშინ უნდა გენახათ. ყოველ შემთხვევაში, სტუმრები ელემენტარულ სიტაციებში არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ან კიდევ კვლავაც ანიავებდნენ სახიფათო მომენტებს: ნიკოლოზ კვასხვაძის, ნიკა საბანაძის, **გიორგი სანიკიძისა და დავით დილმელაშვილის** დარტყმებს სიძლიერეც აკლდა და სიზუსტე; ერთ ეპიზოდში კი მასპინძლები აშკარად გადარჩნენ: **თენგიზ ჩიკვილაძის** „საფირმო" შორეული დარტყმის შემდეგ ბურთი „ვიტ ჯორჯიას" კარის ძელს მოხვდა. ამას გარდა, ერთადერთი მხოლოდ თორნიკე თარხნიშვილი გახლდათ, საკუთარ თავზე თამაშს რომ იღებდა და დაუღალავადაც მოქმედებდა. თუმცა იღბალს მხოლოდ სტუმრები ნუ „დაემდურებიან": შეცვლაზე შემოსულმა **ბექა ზაქრაძემ** მოჭრილი დარტყმით ბურთი „ტორპედოს" კარის ხარიხას გაარტყა, შემდეგ კი ასევე შეცვლაზე შემოსულ **გიორგი კორიფაძეს** შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ სუსტად დაარტყა. სხვათა შორის, კოლეგისაგან განსხვავებით, მერაბ კოჭლაშვილის შეცვლები ბევრად ეფექტიანი გამოდგა და საერთოდაც, მასპინძლების ტაქტიკურად სწორი თამაში რომ თვალში საცემი იყო, ვერც ამ ფაქტს გავექცევით...

...ცოტა არ იყოს, „უხერხული შედარებაა", მაგრამ ჩვენთან დაახლოებით ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა ახალ სეზონში... მთელი გერმანია „შალკეს" გამარჯვების მოლოდინში იყო; ხვდებით, ალბათ, რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ტორპედოს" პირველი მოგების მოლოდინზე ვსაუბრობთ: ტური ტურს მისდევს, გამარჯვება კი კვლავაც რომ არ ჩანს. სიტუაცია არც გუშინდელი მატჩის მერე შეიცვალა: ფინანსურად წელში გამართული, სერიოზულ-ამბიციური მიზნებითა და „ხმაურით" დაბრუნებული „ტორპედო" ისევ აუტსაიდერია! გასაგებია, რომ გუნდის უამრავ ახალწვეულს ერთმანეთთან შესათამაშებლად დრო სჭირდება, მაგრამ ეს ხომ საქართველოა - ჩვენთან იშვიათობაზე იშვიათობას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, კლუბის ხელმძღვანელებს გრძელვადიანი გეგმა რომ აქვთ შემუშავებული. ანუ, ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ვიტყვით, თუ რამდენ ხანს ეყოფათ მოთმინება „ტორპედოს" მესვეურებს: ფაქტია, რომ გუნდში გარკვეული ცვლილებებია განსახორციელებელი. თუმცა, მოდი ამ თემაზე ორშაბათს, ტურის მიმოხილვაში ვისაუბროთ, ახლა კი კონკრეტულად გუშინდელ შეხვედრაზე ვთქვათ. თანაც, წინდაწინ შევთანხმდეთ, რომ გუშინ „ვეტერინართა" წარმატება აბსოლუტურად ლოგიკურად მიგვაჩნია! რა თქმა უნდა, ამ მატჩის თვითმხილველს, შესაძლოა, განსხვავებული აზრი ჰქონდეს და „ტორპედოს" ფეხბურთელთა მიერ რამდენიმე გამოუყენებელი მომენტიც „შეგვახსენოს"; მაგრამ, როცა ფეხბურთელი 2 თუ 3 მეტრიდან ბურთს კარში ზუსტად ვერ ურტყამს, ყველაფერს მხოლოდ უიღბლობას ან... ამ მატჩამდე ჩვენ მიერ არაერთხელ ნახსენებ „ფსიქოლოგიურ წნეხს" ნუ დავაბრალებთ...

...სტუმართა თავკაცმა **რამაზ მუმლაძემ** ყოფილი გუნდის წინაალმდეგ წინა ტურისგან განსხვავებული შემადგენლობა გამოიყვანა: ძირითადის 11-ვე ფეხბურთელი „ტორპედოს" ახალწვეული გახლდათ. ამასთან, სტუმრებს საკადრო პრობლემებიც ჰქონდათ: ტრავმის გამო ასევე ყოფილი გუნდის წინაალმდეგ **გიორგი დათუნაიშვილმა** და **ვახტანგ კვარაცხელიამ** ვერ იასპარეზეს. თუმცა, ოპტიმალური შემადგენლობა არც **მერაბ კოჭლაშვილს** ჰყოლია — „ვიტ ჯორჯიას" ასევე ტრავმების გამო **დავით ლომაია** და **გიორგი ვასაძე** აკლდნენ.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

## ტორპედო: რა ვქნა, რომ ბედი არ გვწყალობს

"ვიტ ჯორჯიასა" და ქუთაისის "ტორპედოს" შეხვედრა თბილისელთა გამარჯვებით (1:0) დასრულდა. ერთი შეხედვით, აუტსაიდერის დამარცხებაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა, მაგრამ ვინც გუშინდელი თამაში ნახა, ყველა ამბობდა, რომ უზომოდ მონდომებული ქუთაისელები წაგებას არ იმსახურებდნენ. საქართველოს ჩემპიონატში იშვიათი სანახავია გუნდი, რომელიც ამდენ ენერგიას ხარჯავს, აგრესიულად უტევს და თითოეული გოლისთვის თავს იკლავს.

რუსთავში მატჩს 100-დე ქუთაისელი გულშემატკივარი დაესწრო. მათმა ნაწილმა მატჩის შემდეგ გუნდის მეპატრონესთან, "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე **სოსო ფხაკაძესთან** დალაპარაკება სცადა.

"სამტრედიასთან" და "ზესტაფონთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ, საყვარელი გუნდის თამაშით აღშფოთებული გულშემატკივარი აგრესიულად განწყობილი იყო და მთავარი მწვრთნელის, **რამაზ მუმლაძის** გათავისუფლებას ითხოვდა.

ბუნებრივია, ამბიციური ქუთაისელი გულშემატკივარი არც ამჟამად დარჩა კმაყოფილი, თუმცა, ხანმოკლე ლაპარაკი თემაზე - "რატომ ათამაშა მუმლაძემ ის და არ ათამაშა ეს? რა ეშველება გუნდს, შეიცვლება თუ არა მწვრთნელი და ა.შ.?", მეპატრონისა და ფანების ერთობლივი შეძახილებით გაგრძელდა — "ტორპედო! ტორპედო! ტორპედო!".

რამაზ მუმლაძემ კი კომენტარი აშკარად უგუნებოდ გააკეთა:

- ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ დღეს ფეხბურთელებმა თავი არ დადეს. პირიქით, იბრძოლეს, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა და წაგებას არ ვიმსახურებდით. თუმცა, დღეს იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო და ვერ ვხვდები, ასე ზურგი რატომ გვაქცია.

**- არის თუ არა რაიმე ცვლილება მოსალოდნელი "ტორპედოში"?**

- ახლა ვერაფერს გეტყვით. დღეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, დათუნაიშვილი და კვარაცხელია ტრავმირებულები არიან, მაგრამ ახალგაზრდებმა კარგად გაართვეს საქმეს თავი.

**თორნიკე თარხნიშვილი:**

- თითქმის ყველა შეხვედრა უიღბლობის გამო წავაგეთ: ყველა გუნდს ვუტევდით, ვჯობდით, მაგრამ ან ფრედ ვამთავრებდით, ან ვაგებდით. ფოთელები ჩვენს ნახევარზე ვერ გადმოდიოდნენ და მაინც მოგვიგეს. დღეს კი "ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდა, ჩვენ კი რამდენიმე ვერ გამოვიყენეთ და მოგვიგეს. არც ვიცი, ამდენი უაზრო წაგება რას მივაწერო, თუ არა უიღბლობას? წარმოუდგენელი რამ გვჭირს, ასეთი რამ ძნელი გადასატანია.

**- როდესაც გუნდი ამდენ მომენტს ვერ გამოიყენებს, "უიღბლობას" უკლასობა ხომ არ ჰქვია?**

- შეიძლება, ესეც არის და მომენტების ვერგამოყენება მაგას დავაბრალოთ. თუმცა, ბევრად უკლასო გუნდები იგებენ და მომენტებს იყენებენ.

**- ბიჭები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არიანო, მაგრამ დღეს ეს არ გეტყობოდათ.**

- დაძაბულები ნამდვილად არ ვიყავით, შეკრული გუნდია, ყველანაირად კარგ პირობებში ვემზადებით და გულშემატკივრების სიყვარული და თანადგომაც არ გვაკლია. ფსიქოლოგიური წნეხისგანაც გავთავისუფლდით და თავადაც ნახეთ, რა მონდომებით ვითამაშეთ. მაგრამ მარტო მონდომება არ კმარა, მთავარი ტაბლოა, რომელზეც ჯერ საჩვენო შედეგი ვერ დავაფიქსირეთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ასეთი მონდომებული ფეხბურთით მდგომარეობას აუცილებლად გამოვასწორებთ. დღევანდელ „ტორპედოს" საკმოდ დიდი პოტენციალი გააჩნია და შეუძლებელია, ბოლო ადგილზე დავრჩეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

*დღევანდელი მატჩების წინათქმა*

# ცვლილებების მოლოდინი

**დღევანდელი 2 მატჩით VII ტური დასრულდება და სატურნირო ცხრილიც „სრულ" სახეს მიიღებს. ამასთან, როგორი შედეგებითაც უნდა დასრულდეს ორივე შეხვედრა, სატურნირო ცხრილში გარკვეული ცვლილებები აუცილებლად მოხდება; მაგალითად, იმავე „ოლიმპს" ამ ტურის შემდეგაც თუ სურს ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად ყოფნა, დღევანდელ შეხვედრაში აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროება. თუმც, ჩვენს ჩემპიონატში პროგნოზების გაკეთება ერთობ რთული საქმე რომ არის, გუშინდელმა დღემაც დაადასტურა...**

**კოლხეთი-ოლიმპი**

Bwin: 4.0 3.35 1.8

25.09. ფოთი.
ფაზისი

**16:00**

არბიტრი: თ. გვანცელაძე
ასისტენტები: ზ. ფიფია, ზ. ჯვარიძე
მეოთხე მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტის ფოთში სტუმრობამ, წესითა და რიგით, გულშემაკივართა დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს; სტუმარი გუნდის ჩემპიონისა და ფავორიტის სტატუსს თავი რომ დავანებოთ, არც ეს ფაქტია უმნიშვნელო: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „კოლხეთი" და „ოლიმპი" ერთმანეთს დღეს პირველად დაუპირისპირდებიან! ჰო, ასეა: უმაღლეს ლიგაში „კოლხეთის" უკანასკნელი სეზონის (2005-06 წლები) დროს, „ოლიმპი" ჯერ კიდევ არ არსებობდა; სამაგიეროდ, რუსთავის სახელით მოასპარეზე გუნდები („გორდა", „მეტალურგი", „რუსთავი") ფოთში არაერთხელ ჩასულან და მეტ-ნაკლებ წარმატებებსაც აღწევდნენ. ფოთისა და რუსთავის გუნდების ბოლო დაპირისპირება 2002-03 წლების სეზონში მოხდა, როცა „კოლხეთმა" ორივე მატჩი მოუგო „გორდას" (3:0, 3:2). აღსანიშნავია, რომ იმ რვა წლის წინანდელი შემადგენლობებიდან დღესდღეობით „კოლხეთში" აღარავინ არის, ხოლო „ოლიმპში"...



გრიგოლ ბედიაშვილი

**გრიგოლ ბედიაშვილი** შემორჩა, — იმ სეზონის დასრულებიდან ცოტა ხანში „ვიტ ჯორჯიაში" რომ გადავიდა და მხოლოდ ამ ზაფხულს, შვიდწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა მშობლიური ქალაქის გუნდს. საერთოდაც: ვიდრე „გორდა" უმაღლესი ლიგიდან გავარდებოდა, „კოლხეთთან" თამაში მუდამ უჭირდა; ოღონდ, ეს მხოლოდ ბოლო წლებზე ითქმის, თორემ ეროვნული ჩემპიონატის გარიჟრაჟზე (ჩვენი ერთ-ერთი კოლეგის „ფრთიანი" ფრაზაა) რუსთავის გუნდებს დადებითი ბალანსი ჰქონდათ „კოლხეთთან". განსაკუთრებით კი I ჩემპიონატის ის მატჩი გვინდა გავიხსენოთ, „გორდამ" მართლაც ლამაზ სტილში რომ დაამარცხა სტუმრად „კოლხეთი" (2:0). არადა, **ჯონი ჯანელიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „კოლხეთმა" I ჩემპიონატი შთამბეჭდავად დაიწყო და V ტურის მერე ერთპიროვნული ლიდერიც იყო; თანაც, ფოთელებმა ხუთივე მატჩი სტუმრად ჩაატარეს და შესანიშნავი შედეგიც უჩვენეს: 4 მოგება და 1 ფრე; და აი, ფოთში ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის დროც დადგა: საზეიმო ცერემონია, მილოცვები, კონცერტი, საქართველოს დროშის აღმართვა, სავსე ტრიბუნები და, რაღა თქმა უნდა, მორიგი წარმატების მოლოდინი. თუმცა, **გივი ნოდიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „გორდამ" მართლაც შთამბეჭდავად იასპარეზა და სრულიად დამსახურებულადაც გაიმარჯვა. სტუმრები იმდენად კარგად თამაშობდნენ, ობიექტურმა და ფეხბურთის მცოდნე ფოთელმა ქომაგებმა მატჩის დამთავრებისთანავე ტაშით გააცილეს „გორდას" მწვრთნელ-ფეხბურთელები. 20 წლის წინანდელი იმ მატჩის თვითმხილველი გახლავართ და თუ არ ვცდებით, იმ შეხვედრის არბიტრი **ანატოლი მილჩენკო** გახლდათ...

ეს ყველაფერი უკვე ისტორიას „ჩაბარდა", დღეს კი ორივე გუნდი შეეცდება ქულათა მარაგის შევსებას: **ბესიკ შეროზიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში სტატისტის როლში ყოფნისათვის რომ არ დაბრუნებულა, წინა ტურებმაც დაამტკიცეს. რაც შეეხება ჩემპიონ „ოლიმპს", ალბათ დროა, რომ **თემურ მახარაძის** გუნდმა უკვე... სტუმრადაც დაიწყოს ქულების მოგროვება...

**ბაია-სპარტაკი**

Bwin: 1.70 3.55 4.25

25.09. ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე.

**16:00**

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: ლ. მიქელაძე, ი. კაკაბაძე
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

ოთხწრიანი ჩემპიონატის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემადგენლობის გონივრულ როტაციას (მით უფრო, როცა გუნდებს ლამის ყოველ მესამე-მეოთხე დღეს უწევთ ასპარეზობა); ამ შემთხვევაში კი დღევანდელი მეტოქეები აშკარად არათანაბარ პირობებში იმყოფებიან: „სპარტაკისგან" განსხვავებით „ბაიას" გრძელი სათადარიგოთა სკამის პრობლემა ნამდვილად არა აქვს; ეგეც რომ არ იყოს, მასპინძლებს მეტოქესთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ და **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდისგან ამიტომაც ითხოვენ „ბაის" ქომაგები წარმატებულ ასპარეზობას. არადა, წინა სეზონში „ბაიაც" და „სპარტაკიც" მხოლოდ და მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ, ახლა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუგდიდურ გუნდს ბევრად უფრო ამბიციური მიზნები აქვს. აი, „სპარტაკის" გეგმები კი უცვლელი დარჩა: ზამთრის სატრანსფერო პერიოდში **გოჩა ჩიქოვანის** გუნდი ერთდროულად რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელით თუ არ გაძლიერდა, შედეგი ნამდვილად სავალალო იქნება...

წინა სეზონში ჩატარებული 4 დაპირისპირებიდან, გაგიკვირდებათ და, 3... „სპარტაკმა" მოიგო! თუმცა, ამჟამინდელი „ბაია" აშკარად „სხვა" გუნდია და, ეტყობა, ყოველივე ეს... უცხოელმა ბუკმეიკერებმაც იციან, — დღევანდელ შეხვედრაში წამყვანი ევროპული (!) ტოტალიზატორები აშკარა ფავორიტად ხომ მასპინძლებს მიიჩნევენ...

**გია ტუხაშვილი**

ქართული ფეხბურთი

# ვაშაკიძემ სიონს დინამო დაამარცხებინა

« მე-2 გვერდიდან

მეორე ნახევარი პირველზე უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „დინამოს" თავკაცმა **კახა კაჭარავამ** მათე ვანაძის მოედანზე შეშვებით გუნდს „ახალი სისხლი გადაუსხა". მოგვიანებით კაჭარავამ **ნიკოლოზ ფირცხალავა** და **დავით მუჯირიც** შეიყვანა, მაგრამ მისმა გუნდმა თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო. ვანაძემ სტუმართა შეტევებს სიმწვავე და ორგანიზებულობა შემატა და ბოლნისელთა მეკარესა და დაცვასაც საქმე მოემალათ. 54-ე წუთზე კახელიშვილი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ორ მეტოქეს გასცდა და ვანაძეს კარგად უპასა, მაგრამ მინდია ბობლიაშვილმა იმარჯვა. სხვათა შორის, ბობლიაშვილმა კიდევ არაერთხელ იხსნა გუნდი და ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ. სტუმრებს მასპინძლებიც არ დარჩნენ ვალში და სახიფათო ეპიზოდებით უპასუხეს. 59-ე წუთზე თოდუამ მცირედით ააცილა მიზანს. ათიოდე წუთში კი უგრეხელიძის ძლიერად დარტყმულს მეკარე ლორია გადაეფარა.

შეცვლებით ბოლნისელებმაც „გააცოცხლეს გუნდი". ტრავმირებული დიდავას ნაცვლად მოედანზე შესული **მურმან ქურასბედიანი** კარგად ჩაერთო თამაშში. იგივე შეიძლება ითქვას **ვილი ისიანზე,** რომელიც ჯერ ახალგაზრდაა და გამორჩეულ ფეხბურთელად ჩამოყალიბებისთვის კარგი მონაცემები აქვს. 70-ე წუთზე ისიანი-ქურასბედიანი-უგრეხელიძის ტრიო დაემუქრა სტუმრებს, მაგრამ მეკარე ლორიამ იმარჯვა. დარჩენილი 20 წუთი დრამატულად წარიმართა. ბოლნისელები კონტრშეტევაზე გვარიანად იჩხვლიტებოდნენ და ორი რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს. 72-ე წუთზე ვაშაკიძეს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ორიოდე წუთში, იმავე ვაშაკიძემ გოცირიძე მეკარეს პირისპირ შეატოვა. „სიონის" ფორვარდმა ლორიას ბურთი თავზე კი გადააცტარა, მაგრამ თბილისელები გოლისგან ძელმა იხსნა. ბოლოს დინამოელთა ჯერი დადგა, მაგრამ ბობლიაშვილმა სამჯერ იხსნა „სიონი". ბოლნისელებმა ბოლომდე შეძლეს კარის მშრალად შენახვა და მნიშვნელოვანი მოგებით ცხრილში მეხუთე ადგილზე აინაცვლეს.

**მატჩის შემდეგ**

***გიორგი ყიფიანი (სიონი):*** *„მონდომებისა და თავდადების ხარჯზე მოვიგეთ. ამასთან, ფეხბურთელებმა კარგად შეასრულეს დავალებები. საგოლე მომენტი ორივე კართან არაერთი შეიქმნა, მაგრამ ჩვენ გამოვიყენეთ, მეტოქემ კი ვერა. უზომოდ ბედნიერი ვარ. მწვრთნელად მუშაობის სადებიუტო სეზონში, ჩემმა გუნდმა პირველად დამარცხა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი. „დინამოსთან" მოგება ჩემს ფეხბურთელებს თავდაჯერებას შემატებს და მჯერა, მომდევნო მატჩებში წარმატებით ვიასპარეზებთ".*

***კახა კაჭარავა (დინამო):*** *„საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და დავმარცხდით. ჩემი გუნდი გოლის შემდეგ უკეთ ათამაშდა. მეტოქემ 100 პროცენტით მოინდომა, რამაც შედეგი მოიტანა. ჩემს ფეხბურთელებს უკეთ უნდა ეთამაშათ".*

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაძ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 7 | 5 | 0 | 2 | 14 | 6 | 15 |
| 2 | ოლიმპი | 6 | 4 | 1 | 1 | 8 | 3 | 13 |
| 3 | დინამო | 7 | 4 | 1 | 2 | 9 | 6 | 13 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10 | 8 | 13 |
| 5 | სიონი | 7 | 2 | 4 | 1 | 4 | 5 | 10 |
| 6 | ბაია | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 7 | 8 |
| 7 | კოლხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 5 | 8 |
| 8 | სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 6 | 11 | 4 |
| 9 | სამტრედია | 7 | 1 | 1 | 5 | 8 | 14 | 4 |
| 10 | ტორპედო | 7 | 0 | 3 | 4 | 2 | 6 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მეგრელაძე (ბაია) | 5 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 4 |

| მომდევნო ტური | | |
|---|---|---|
| 28 სექტემბერი, შაბათი | | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | | |
| ზესტაფონი-სიონი | | |
| 29 სექტემბერი, ოთხშაბათი | | |
| სპარტაკი-ტორპედო | | |
| ოლიმპი-სამტრედია | | |
| ბაია-კოლხეთი | | |

ფუტზალი. ევრო 2012 შესარჩევის კენჭისყრა

## ავთანდილი ასათიანი:
# ნაკრებს წელიწადნახევარია აღარ უთამაშია?!

გუშინ ნიონში, უეფას შტაბბინაში ევროპის 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრები C ჯგუფში მოხვდა:

**C ჯგუფი**
**მაკედონია**
**საქართველო**
**ინგლისი**
**ესტონეთი**

სულ ექვსი ოთხგუნდიანი ჯგუფი ჩამოყალიბდა. თითოეული მათგანის გამარჯვებული შესარჩევ ჯგუფში გააგრძელებს ბრძოლას. ჩვენი ჯგუფის მატჩებს მაკედონია 2011 წლის 20-24 იანვარს უმასპინძლებს.

გუშინ ნიონში შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრაც გაიმართა. მაკედონიაში წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები მესამე ჯგუფში მოხვდება, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურისთვის პორტუგალია, ბელარუსი და პოლონეთი იბრძოლებენ. ამ ჯგუფურ ტურნირს კი პოლონეთი 2011 წლის 24-27 თებერვალს უმასპინძლებს. სულ ექვსი ჯგუფია: ფინალურ ეტაპზე მოხვდება ექვსი გამარჯვებული, ხუთი საუკეთესო მეორეადგილოსანი და პლუს მასპინძელი ხორვატია. ევროპის ჩემპიონატი კი 2012 წელს ხორვატიაში 30 იანვრიდან 10 თებერვლამდე გაიმართება.

კენჭისყრის შედეგები მოულოდნელი გამოდგა: საქართველოს ნაკრებმა **ავთანდილ ასათიანის** მწვრთნელობის პერიოდში, 17-წლიან წუმპეს თავი დააღწია და წინა შესარჩევ ეტაპზე მშვენიერი შედეგი აჩვენა. თუმცა, კვლავ შესარჩევი ციკლიდან იწყებს ბრძოლას და არა ელიტრაუნდიდან, როგორც ადრე ვიცოდით.

კენჭისყრასა და მეტოქეებზე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ავთანდილ ასათიანს რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- ბატონო ავთანდილ, კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- კმაყოფილი არ ვარ, რადგან საკმაოდ რთულ ჯგუფში მოვხვდით... სიმართლე გითხრათ, ასეთ ძლიერ მეტოქეებს არც ველოდით.

**- რატომ არ ელოდით?!**

- ყველა სხვა ჯგუფი შედარებით დაბალანსებულია და უმთავრესად, ერთად მოხვდნენ ორი ფავორიტი და ორი აუტსაიდერი.

**- კონკურენტად რომელ ნაკრებს თვლით?**

- ერთადერთი, ესტონეთია შედარებით სუსტი გუნდი, მაკედონია-ინგლისთან კი მძიმე შეხვედრები გველის. მაკედონია ფუტზალში დაახლოებით ისეთივე ძალისაა, როგორც კლასიკურ ფეხბურთში თურქეთი — მეომარი, ორგანიზებული და ყველა მეტოქესთან გამარჯვებისთვის იბრძვის. ტურნირი მაკედონიაში ტარდება და ესეც მათთვის დამატებითი პლუსი იქნება. ძლიერი და ორგანიზებული ნაკრები ჰყავთ ინგლისელებსაც. ასე რომ, ჩემი აზრით, ჯგუფიდან გასვლისთვის საქართველო და მაკედონია-ინგლისი იბრძოლებენ.

**- როგორც ვიცით, ფუტზალის ნაკრებს წელიწადზე მეტია საკონტროლო შეხვედრა არ გაუმართავს.**

- სამწუხაროდ, ასეა.

**- მიზეზი ფინანსური პრობლემებია?**

- ფინანსური პრობლემებიც და ათასი სხვა რამ.

**- კონკრეტულად?**

- ალბათ, მიზეზი ისიცაა, რომ ფუტზალის ფედერაციაში ცვლილებებმა დრო წაიღო, საარჩევნო პერიოდმა ნაკრების პრობლემები ჩრდილში მოაქცია. ფედერაციის ხელმძღვანელებს ჩემი გეგმა წარვუდგინე. ნაკრებს სარეიტინგო შეხვედრების ხშირად გამართვა სჭირდება, რაც ბოლო დროს მიღწეული შედეგის განსამტკიცებლად გამოგვადგებოდა. მაგრამ ამ გეგმების განხორციელება ვერ მოხერხდა და წელიწადნახევარია, ნაკრები უთამაშებელია. არადა, კანდიდატებს სხვაგან სად უნდა



დავაკვირდე და შევაფასო, ვინ როგორ რა მდგომარეობაშია, ვინ ვის სჯობია და ა.შ?

**- ტესტმატჩებს წინასწარი შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე მაინც თუ გეგმავთ?**

- ჯერ ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ორი აზრი არაა, შეკრებებისა და ტესტმატჩების გარეშე, წარმატების მიღწევა ძალიან რთული იქნება, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ რთული მეტოქეები შეგვხდა.

**- თქვენი ხელმძღვანელობით ნაკრებმა წარმატებით ითამაშა და ახლა ელიტრაუნდში უნდა დაეწყვილებინათ. გაუგებარია, კვლავ წინასწარ შესარჩევ რაუნდში რატომ მოხვდით?**

- ზუსტი მიზეზე ვერაფერს გეტყვით, საწყენი კი იყო. ალბათ იმიტომაც, სარეიტინგო მატჩები რომ ვერ გავმართეთ. და მაინც, პრობლემების მიუხედავად, შევეცდებით, დარჩენილი მცირე დრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ, პრობლემები მოვაგვაროთ და მაკედონიაში წარმატებით გამოვიდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

სამტრედია

# ბილაინი სამტრედიას დაეხმარა, სამტრედიაც ბილაინზე გადადის?

„სამტრედიას" დროებით მაინც ეშველა - გუშინ „ზესტაფონთან" მატჩის წინ, კლუბის პრეზიდენტ **ზაზა ადეიშვილს** აცნობეს, რომ „ბილაინმა" გაჭირვებაში ჩავარდნილი „სამტრედიის" თანადგომა გადაწყვიტა. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიამ კლუბის ანგარიშზე აგვისტოს დავალიანების ოდენობის თანხა (20 ათასი ლარი) ჩარიცხა.

*„კლუბის ხელმძღვანელებმა და ფეხბურთელებმა ამოისუნთქეს, სამტრედიელი გულშემატკივრები კი ისეთი გახარებულები ვართ, მადლიერების ნიშნად „ბილაინზე" გადასვლას ვაპირებთ მე და კიდევ რამდენიმე ჩემი თანამოაზრე, დარწმუნებული ვარ, ყველა გულშემატკივარი აგვყვება"*, - გვითხრა კლუბის ფანკლუბის აქტიურმა წევრმა **ზაზა ნინუამ.**

„ბილაინის" დახმარება იმიტომაა აღსანიშნავი, რომ უხელფასობით შეწუხებული „სამტრედიის" ფეხბურთელები, „ზესტაფონთან" მატჩზე მოედანზე გასვლას აღარ აპირებდნენ. გულშემატკივრისგან დამოუკიდებლად იმავე „ლელოსთან" სატელეფონო საუბარში კლუბის პრეზიდენტმა ზაზა ადეიშვილმაც გაიმეორა.

*„თუ „ბილაიანი" ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს შემდგომშიც გამოხატავს, აქ ისეთი გულშემატკივრები გვყავს, მთელი სამტრედია „ბილაინზე" გადავა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სტადიონზე მატჩის დაწყებამდე და შესვენებაზეც გულშემატკივარს ამას მოვუწოდებთ. დარწმუნებული ვარ, ეს კომპანია ჩვენს რაიონში დამატებით ბევრ აბონენტს შეიძენს. სამტრედიაში ძალიან ბევრი ფეხბურთის ქომაგია და მადლიერებას ასეც გამოხატავენ"*, - გვითხრა ადეიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# კობიაშვილი მეორეს სათავეში მოექცა

რუსულ პრემიერლიგაში მოულოდნელად ქულები დაკარგა **ჯანო ანანიძის** „სპარტაკმა", რომელიც შინ 2:2 დაუზავდა გავარდნის საფრთხის წინაშე მდგომ „ამკარს". ის კი არა ქართველის გუნდი ორჯერ აგებდა თამაშის მიმდინარეობისას. **კარპინმა** ჯანო თამაშში მხოლოდ მე-80 წუთზე ჩართო, როცა უკვე 2:2 იყო. სამწუხაროდ, 1 აგვისტოს შემდეგ ანანანიძეს „სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშია. საქართველოს ნაკრების მცველმა **ლაშა სალუქვაძემ** „რუბინის" დუბლებში ითამაშა, ჩემპიონის სარეზერვო გუნდმა 0:1 წააგო „ალანიას" დუბლებთან.

მეორე ბუნდესლიგის ტურის ცენტრალურ მატჩში (ორივე გუნდი 13-13 ქულით ლიდერობდა) **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ" სტუმრად 1:0 მოუგო „ენერგის", ქართველმა მარცხენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" კი 0:2 დამარცხდა „ფრანკფურტთან". „ჰერტა" 16 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას, „კარლსრუე" კი 7 ქულით მე-12 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კუტალია საბერძნეთშია, ჯერ დანიას გაიხსენებენ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი შემტევი ნახევარმცველი **ლევან კუტალია** საბერძნეთშია და სუპერლიგის "ატრომიტოსში" ისინჯება.

*„ჯერჯერობით კარგად ვარ და ვვარჯიშობ, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებაზე დღემდე არაფერი უთქვამთ. მთავარმა მწვრთნელმა გიორგიოს დონისმა კი შემაქო, მაგრამ ჩემი უვარჯიშებლობაც არ გამოპარვია და ამაზე მიმითითა. დღემდე არ ვიცი, დავრჩები თუ არა კლუბში. დღეს მითხრა, გასული სეზონის ევროლიგაზე „სლავია"-„ოლბორგის" ორივე შეხვედრის ჩანაწერს გაეცნობა, რომლებიც საკმაოდ კარგად ჩავატარე და ამის შემდეგ გადაწყდება, კონტრაქტს გამიფორმებენ თუ არა.*

*მწვრთნელის შენიშვნა სამართლიანია, უკვე ხუთი თვეა უვარჯიშებელი ვარ, რადგან ბოსნიიდან აპრილის დასაწყისში წამოვედი. ინდივიდუალურად კი ვვარჯიშობდი, მაგრამ ეს ფორმის შესანარჩუნებლად არასაკმარისია. ერთ-ერთ ქართულ კლუბს ვთხოვე, ვივარჯიშებ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრეს. იმედია, "ატრომიტოში" დამტოვებენ და ყველას დავუმტკიცებ, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ"*, - ამბობს კუტალია.

მართალია, 21 წლის ფეხბურთელი საბერძნეთში ვარჯიშობს, მაგრამ სარაევოს „სლავიადან" გათავისუფლების ფურცელი დღემდე არ მიუღია: *"ამ საკითხთან დაკავშირებით ფიფაში ვიჩივლე და გუშინ საგანგებო კომისიის სხდომა უნდა გამართულიყო, რომელმაც კონტრაქტის განყვეტა უნდა გამოაცხადოს. სამწუხაროდ, სარაევოდან წამოსვლის შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა საკითხის განხილვა ძალიან გაიწელა. ჩემი მენეჯერი ფიფას საქმის დაჩქარებას სთხოვდა, მაგრამ საკითხს მაინც ნელა არკვევენ".*

ლევანი ამბობს, რომ გაზაფხულზე, ბოსნიიდან წამოსულს საქართველოში იწვევდნენ: *"ჩხუბის შემდეგ ზუგდიდის "ბაიადან" დამიკავშირდნენ, საინტერესო შემოთავაზება იყო, მაგრამ ევროპაში დარჩენის იმედი მქონდა და უარი ვთქვი, საქართველოში დაბრუნება აღარ მინდა".*

შეგახსენებთ, რომ 16 აპრილს ლევანი სარაევოს „სლავიას" ვარჯიშზე თანაგუნდელებმა, **ვლასტიმირ იოვანოვიჩმა** და მეკარეების მწვრთნელმა **ალექსანდრ ბოჟოვიჩმა** ისე სცემეს, ქართველი ლეგიონერი მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდა გონს. ლევანმა პოლიციაში იჩივლა და "სლავიას" მეპატრონეებს გათავისუფლების ფურცელი მოსთხოვა.

ლევანმა გუნდის ისტორიაში ევროტურნირებზე პირველი გოლი გაიტანა, "სლავიას" სპორტული დირექტორი **ჟელკო რადონია** კი აღიარებდა, რომ კუტალია "სლავიას" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

სხვათა შორის, კუტალია ზაფხულის დასაწყისში საბერძნეთის მეორე ლიგის „ტრიკალაში" გადასვლას იმედოვნებდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდა.

სამი ტურის შემდეგ, „ატრომიტოსი" 16-გუნდიან "სუპერლიგაში" 15 პოზიციაზეა და მხოლოდ ერთი ქული აქვს მოპოვებული. არადა, გასულის სეზონი 7-ე ადგილზე დაასრულა.

**მერაბ მამულაშვილი**

● იტალია. სერია A. V ტურის წინ

# კალაძე სან სიროზე ბრუნდება!

## რომა კრიზისიდან გამოსვლას ინტერთან მოგებით აპირებს


დიდი მატჩი ოლიმპიკოზე

| დღეს | |
|---|---|
| მილანი-ჯენოა | 20.00 |
| რომა-ინტერი | 22.45 |
| **ხვალ** | |
| ჩეზენა-ნაპოლი | 14.30 |
| სამპდორია-უდინეზე | 17.00 |
| პალერმო-ლეჩე | 17.00 |
| ფიორენტინა-პარმა | 17.00 |
| კიევო-ლაციო | 17.00 |
| კატანია-ბოლონია | 17.00 |
| ბარი-ბრეშა | 17.00 |
| იუვენტუსი-კალიარი | 22.45 |

ბოლო ორი ტურია **კახა კალაძე** "ჯენოას" ძირითად შემადგენლიბაში ვერ ხვდება, არადა, ძალიან გვინდა ვთქვათ, რომ ქართველი მცველი "სან სიროზე" ბრუნდება. კახა ნებისმიერ შემთხვევაში დაბრუნდება მილანში, მაგრამ ითამაშებს თუ არა, ეს ძალიან რთული სათქმელია. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით უნდა ითამაშოს და ვნახოთ, გამართლდება თუ არა ეს პროგნოზი. ჩვენ კი მატჩის ირგვლივ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბროთ.

"მილანის" გულშემატკივრები სეზონის სტარტით არც თუ კმაყოფილნი არიან და ეს სრულიად ბუნებრივია – ჯერ მხოლოდ ოთხი ტურია გასული ჩემპიონატის დაწყებიდან და "როსონერი" თანაქალაქელს უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, მასპინძლები უსიკვდილოდ სამი ქულის აღებას შეეცდებიან და წესით, გენუელ მცველებს დიდი ჯაფა უნდა დაადგეთ. მით უმეტეს, "ჯენოა" ჯერჯერობით არც თუ დამაჯერებლად ასპარეზობს და განსაკუთრებით, სწორედ დაცვაში უჭირს. **მასიმილიანო ალეგრის** თქმით, დადგა დრო, როდესაც "მილანმა" ქულების განიავება უნდა შეწყვიტოს: "განვლილ პაექრობებში ჩემი შეგირდები ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ქულები მაინც უხვად დავკარგეთ. ჩეპიონატის სტარტზე სტაბილურად ასპარეზობა მეტად რთულია და ჩვენც ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. არაერთი სენსაცია დაფიქსირდა და ეს ბუნებრივიც არის, თუმცა ვფიქრობ, დროთა განმავლობაში, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. "ჯენოასთან" იოლი შეხვედრა ნამდვილად არ გვექნება, მაგრამ დადგა დრო, რომ ასეთ შეხვედრებში ქულები აღარ დავკარგოთ. ძალიან დიდ პატივს ვცემ მეტოქეს, მაგრამ თუ გვინდა, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ, "ჯენოას" დარი გუნდები გასვლაზეც და სახლშიც უნდა დავამარცხოთ. გასაგებია, რომ ყველაფერს ვერ მოიგებ, მაგრამ სწორედ სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობა უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა".

ამბობენ, **ჯამპიერო გასპერინის** წყალი შეუდგაო და არ არის გამორიცხული, უკვე "მილანთან" მატჩის შემდეგ კარისკენ მიუთითონ. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია "სან სიროზე" "როსონერის" დამარცხება მოითხოვო, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს მხოლოდ საბაბი შეიძლება გახდეს და გასპერინის წინასწარ გამოტანილი განაჩენი გაუფორმონ. თუმცა, ეს მხოლოდ პროგნოზებია რა იქნება რეალურად, ეს ჯერ შეიძლება თვით კლუბის პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმაც** არ იცოდეს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი (4-3-3):** აბიატი - ძამბროტა, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი - ბოატენგი, პირლო, ზეედორფი - რობინიო, იბრაჰიმოვიჩი, რონალდინიო

**ჯენოა (3-4-3):** ედუარდო - ჩიკო, რანოკია, კალაძე - რაფინია, ველოზო, ხარჯა, კრიშიტო - პალასიო, ტონი, მესტო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ რომში გაიმართება, სადაც "ჯალოროსი" "ნერაძურის" მიიღებს. მართალია, გუნდები სატურნირო ცხრილის სხვადასხვა მხარეს არიან, მაგრამ "რომა"-"ინტერის" დაპირისპირება ნებისმიერ შემთხვევაში უაღრესად საინტერესოა. ის ამბები, რაც ბოლო პერიოდში დედაქალაქელთა თავს ხდება, ყველასთვის ცნობილია – რომაელები ჩივიან, მსაჯები გვჩაგრავენო და პროტესტსაც ღიად გამოხატავენ. გიუს ჰგავს **კლაუდიო რანიერი** და მზად არის ყველას და ყველაფერს დაუპირისპირდეს – ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს, არბიტრმა კიდევ ერთი შეცდომა რომ დაუშვას "რომას" საწინააღმდეგოდ. მოკლედ, დედაქალაქელები ერთ ამბავში არიან და გულშემატკივრებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. ტიფოზებმა კი შესაძლოა მართლაც დაუჭირონ მხარი და ობსტრუქციის მაგივრად ფეხბურთელებს ოვაციები მოუწყონ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გაჭირვება და უსამართლობა აერთიანებს და არა პირიქით. ანუ, შესაძლოა, "ოლიმპიკო" გადაიჭედოს და "ინტერის" წინააღმდეგ მასპინძელთა მეთორმეტე მოთამაშე მთელი ძალებით ამოქმედდეს. თუმცა, მეთორმეტე იქით იყოს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **რანიერის** შესაძლოა თერთმეტი ფეხბურთელის შეკრება გაუჭირდეს. კვლავაც ტრავმირებულნი არიან **ფრანჩესკო ტოტი** და **დანიელე დე როსი** – არ არის გამორიცხული, რომ "ინტერის" წინააღმდეგ თამაში შეძლონ, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ამის შანსი მცირეა. აღარაფერს ვამბობთ **ჟულიო სერჟიოზე**, რომელმაც "ბრეშასთან" პაექრობაში ტრავმა მიიღო და ერთი თვით გადაინაცვლა ლაზარეთში. ამას დავუმატოთ **ფილიპ მექსეს** დისკვალიფიკაცია, რომელსაც ვადა მხოლოდ სამი პაექრობის შემდეგ გაუვა. რანიერის სერიოზული პრობლემები აქვს და გამოსავალი უნდა მონახოს. შეტევის წინა ხაზზე ალბათ **მირკო ვუჩინიჩს** და **მარკო ბორიელოს** გაამწესებს – ამ უკანასკნელმა ბოლო ორ შეხვედრაში თითო გოლის გატანა მოახერხა და შეეცდება "ინტერთანაც" იხეიროს. აი, რას ამბობს პრესასთან საუბარში კლაუდიო რანიერი: "მთელი გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული, რაც მაძლევს იმის იმედს, რომ შეხვედრას საჩვენო რეზულტატით დავასრულებთ. მთელი გუნდი აღშფოთებულია იმ შეცდომების გამო, რომელიც წინა შეხვედრაში არბიტრმა დაუშვა და იმედს ვიტოვებ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, უკიდურესი ზომები მივიღოთ. ტრავმირებული ფეხბურთელების ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს – არის რესურსი და მას ბოლომდე ავამოქმედებთ".

რაფაელ ბენიტესი კარგ ხასიათზეა, მისმა "ინტერმა" ორი თამაში ზედიზედ მოიგო და მისი მისამართით კრიტიკა შენელდა. უფრო სწორედ, კრიტიკა აღარც ისმის, რადგან "ნერაძური" სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. **დიეგო მილიტომაც** გაიტანა გოლები, რამაც ასევე ძალიან გაახარა "ინტერის" ტიფოზერია. მოკლედ, "ნერაძურის" ბანაკში იდილიაა და სრული ბედნიერებისთვის "რომას" დამარცხებაა საჭირო.

რაფა კვლავ 4-2-3-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე სწორედ მილიტოს გაამწესებს. არგენტინელ ფორვარდს უკნიდან **ვესლი სნეიდერი**, **გორან პანდევი** და **სამუელ ეტოო** დაეხმარებიან. ეს უკანასკნელი ბრწყინვალე ფორმაშია და გულშემატკივრებს გარკვეულ დაპირებებსაც აძლევს: "მჯერა, რომ სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება და ამ შეხვედრაში გოლი გატანას მოვახერხებ. ძალიან კარგ ფორმაში ვარ და ვგრძნობ, რომ კიდევ უკეთ შემიძლია თამაში. დიდწილად, ეს ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა, რომლებიც ყველა პირობას მიქმნიან, რომ საუკეთესო კუთხით წარმოვჩინდე. "რომა" ძალიან აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებს, ამაში დარწმუნებული ვარ და მთავარია, რომ ჩვენ სიმშვიდე შევინარჩუნოთ. თუ ემოციებს მოვთოკავთ და მწვრთნელის დავალებებს მშვიდად შევასრულებთ, სამი ქულა აუცილებლად ჩვენ დაგვრჩება".

### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა (4-4-1-1):** ლობონტი - კასეტი, ბურდისო, ჟუანი, რიისე - პეროტა, პისარო, დე როსი, მენეზი - ტოტი - ბორიელო.

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, კორდობა, კივუ - სტანკოვიჩი, კამბიასო - ეტოო, სნეიდერი, პანდევი - მილიტო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 3. ბრეშა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-5 | 9 |
| 4. კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5. ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 6. ჩეზენა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 7. კალიარი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-1 | 6 |
| 8. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| 9. სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 10. პარმა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 11. ბოლონია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 12. ჯენოა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13. ნაპოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 14. ბარი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 15. იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-7 | 4 |
| 16. პალერმო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 17. ლეჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 18. ფიორენტინა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 19. რომა | 4 | 0 | 2 | 2 | 4-9 | 2 |
| 20. უდინეზე | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

**ლაშა ნიკლაური**

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეო მესის ნახვაში იაპონია 200 ათასს იხდის

მართალია, **ლიონელ მესიმ** 19 სექტემბერს "ბარსელონასა" და "ატლეტიკოს" მატჩში კოჭი სერიოზულად დაიშავა, მაგრამ არგენტინის ნაკრებში გამოძახება მაინც მიიღო. "ალბისელესტე" 8 ოქტომბერს საიტამაში იაპონიის ნაკრებს ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრება.

სავარაუდოდ, ამხანაგურ თამაშზე მესის გამოძახება არგენტინისა და იაპონიის საფეხბურთო ფედერაციებს შორის დადებულ კონტრაქტს უკავშირდება, რომლის მიხედვითაც სამხრეთამერიკელები იაპონური მხარისგან დამატებით 200 ათას დოლარს მიიღებენ, თუკი ლეო მესი ამ მატჩში მონაწილეობას მიიღებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვაი, რომ მესი 8 ოქტომბრისთვის მომჯობინებას ვერ ასწრებს...

ასეა თუ ისე, იაპონიასთან მატჩი მესამე იქნება **სერხიო ბატისტასთვის** არგენტინის ნაკრების სათავეში. იქამდე "ალბისელესტემ" ირლანდია (1:0) და ესპანეთი (4:1) დაამარცხა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატისტას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან სრულფასოვანი კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუფორმებია და მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებლად მუშაობს.

იაპონიაში ბატისტა შემდეგ ფეხბურთელებს იახლებს:

**მეკარეები:** ოსკარ უსტარი ("ხეტაფე", ესპანეთი), მარიანო ანდუხარი ("კატანია", იტალია), სერხიო რომერო (აზ, ჰოლანდია);

**მცველები:** გაბრიელ მილიტო ("ბარსელონა", ესპანეთი), ვალტერ სამუელი, ხავიერ ძანეტი (ორივე – "ინტერი", იტალია), ნიკოლას ბურდისო ("რომა", იტალია), პაბლო საბალეტა ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), მარტინ დემიჩელისი ("ბაიერნი", გერმანია), გაბრიელ ჰაინცე ("მარსელი", საფრანგეთი);

**ნახევარმცველები:** ფერნანდო გაგო, ანხელ დი მარია (ორივე – "რეალი", ესპანეთი), ხავიერ მასკერანო ("ბარსელონა", ესპანეთი), ესტებან კამბიასო ("ინტერი", იტალია), ხოსე სოსა ("ნაპოლი", იტალია), მარიო ბოლატი ("ფიორენტინა", იტალია), ხავიერ პასტორე ("პალერმო", იტალია), ანდრეს დ'ალესანდრო ("ინტერნასიონალი", ბრაზილია);

**თავდამსხმელები:** გონსალო იგუაინი ("რეალი", ესპანეთი), ლიონელ მესი ("ბარსელონა", ესპანეთი), სერხიო აგუერო ("ატლეტიკო", ესპანეთი"), დიეგო მილიტო ("ინტერი", იტალია), ესეკიელ ლავესი ("ნაპოლი", იტალია), კარლოს ტევესი ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), ნიკოლას გაიტანი ("ბენფიკა", პორტუგალია).

## ურუგვაიში ყველა ლეგიონერია

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც 8 ოქტომბერს ჯაკარტაში ინდონეზიის, ხოლო 12 ოქტომბერს უხანში ჩინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩებში ითამაშებენ.

გუნდის დამრიგებელმა **ოსკარ ტაბარესმა** სამხრეთ აზიაში 25 მოთამაშის წაყვანა გადაწყვიტა, რომელთაგან არც ერთი არ წარმოადგენს ურუგვაულ კლუბს. აი, სრული სიაც:

**მეკარეები:** ხუან კასტილიო ("დეპორტივო", კალი, კოლუმბია), ფერნანდო მუსლერა ("ლაციო", იტალია);

**მცველები:** მარტინ კასერესი ("სევილია", ესპანეთი), ხორხე ფუსილე ("პორტუ", პორტუგალია), დიეგო გოდინი ("ატლეტიკო", ესპანეთი), დიეგო ლუგანო ("ფენერბაჰჩე", თურქეთი), მასიმილიანო პერეირა ("ბენფიკა", პორტუგალია), ანდრეს სკოტი ("კოლო კოლო", ჩილე), კარლოს ვალდესი ("სიენა", იტალია), ალვარო გონსალესი ("ლაციო", იტალია), მაურისიო ვიქტორინო ("უნივერსიდად დე ჩილე", ჩილე);

**ნახევარმცველები:** სებასტიან ეგურენი ("სპორტინგი", ესპანეთი), ვალტერ გარგანო ("ნაპოლი", იტალია), იგნასიო გონსალესი ("ლევანტე", ესპანეთი), ალვარო პერეირა, კრისტიან როდრიგესი (ორივე – "პორტუ", პორტუგალია), დიეგო პერესი, გასტონ რამირესი (ორივე – "ბოლონია", იტალია), ხორხე როდრიგესი ("ხაგუარესი", მექსიკა);

**თავდამსხმელები:** დიეგო ფორლანი ("ატლეტიკო", ესპანეთი), სებასტიან ფერნანდესი ("მალაგა", ესპანეთი), სებასტიან აბრეუ ("ბოტაფოგუ", ბრაზილია), ედისონ კავანი ("ნაპოლი", იტალია), აბელ ერნანდესი ("პალერმო", იტალია), ლუის სუარესი ("აიაქსი", ჰოლანდია).

## ბრაზილია ნეიმარის გარეშე

ბრაზილიის ნაკრების დამრიგებელმა **მანუ მენეზისმა** იმ 23 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებიც 6 და 13 ოქტომბერს ამხანაგურ მატჩებს ჯერაც უცნობი მეტოქეების წინააღმდეგ ითამაშებენ. სელესაუს მწვრთნელის რჩეულთა შორის სხვადასხვა მიზეზთა გამო **ნეიმარი, რონალდინიუ, მაიკონი, ლუსიუ, ლუიშ ფაბიანუ, ფელიპე მელუ** და **დიეგუ** არ არიან. ზოგი ფორმაში არ არის, ზოგი ტრავმირებულია, ხოლო ახალგაზრდა ნეიმარი ცოტა ტრავმირებულიცაა, ცოტა ფორმიდან ამოვარდნილიც და, როგორც მენეზისმა თქვა, სტადიონს მიღმა უწესობაშიცაა შემჩნეული...

მანუ მენეზისის 23 რჩეული:

**მეკარეები:** ვიტორი ("გრემიო"), ჟეფერსონი ("ბოტაფოგო"), ნეტუ ("ატლეტიკო პარანაენსე");

**მცველები:** დანიელ ალვეში ("ბარსელონა", ესპანეთი), მარიანუ ("ფლუმინენსე"), ალექსი ("ჩელსი", ინგლისი), ტიაგუ სილვა ("მილანი", იტალია), დავიდ ლუიში ("ბენფიკა", პორტუგალია), ანდრე სანტუში ("ფენერბაჰჩე", თურქეთი), ადრიანუ ("ბარსელონა", ესპანეთი);

**ნახევარმცველები:** ვესლი ("ვერდერი", გერმანია), სანდრუ ("ტოტენჰემი", ინგლისი), რამირეში ("ჩელსი", ინგლისი), ფილიპე კოუტინიუ ("ინტერი", იტალია), ლუკაში ("ლივერპული", ინგლისი), ჯულიანუ ("ინტერნასიონალი"), ელიაში ("კორინთიანსი"), კარლუშ ედუარდუ ("რუბინი", რუსეთი);

**თავდამსხმელები:** რობინიუ, ალეშანდრე პატუ (ორივე – "მილანი"), ნილმარი ("ვილიარეალი", ესპანეთი), ანდრე ("დინამო", უკრაინა).

## ლიონმა ლიპი უარყო

"ლიონის" პრესსამსახურმა კატეგორიულად უარყო პრესაში გავრცელებული ხმები, თითქოსდა, კლუბის ხელმძღვანელობას **კლოდ პიუელის** გაშვება და მთავარი მწვრთნელის პოსტზე იტალიელი **მარჩელო ლიპის** მოყვანა გადაეწყვიტოს.

"ლიონი" მარჩელო ლიპისთან ყოველგვარ კონტაქტს უარყოფს. ეს ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია. არც რომელიმე სხვა სპეციალისტთან ვმართავთ მოლაპარაკებებს. ასეთივე სიცრუე ისიცაა, თითქოს კლოდ პიუელის დათხოვნას ვაპირებდეთ", - ნათქვამია "ლიონის" ოფიციალურ განცხადებაში.

## მათეუსს ბერბატოვის დაბრუნება გადაუწყვეტია

ბულგარეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახალდანიშნულმა **ლოთარ მათეუსმა** გუნდში "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის **დიმიტარ ბერბატოვის** დაბრუნება გადაწყვიტა.

"დიმიტართან ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკების გამართვას ვაპირებ. ეროვნული გუნდის კარი მისთვის ჯერაც ღიაა. როგორც ბულგარელს, მას უნდა ეამაყებოდეს ეროვნულ ნაკრებში თამაში", - განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ბერბატოვმა სანაკრებო კარიერა მაისში დაასრულა.

## ტვენტეს ბეისე გამოაკლდა

"ტვენტეს" მარცხენა მცველი **ბარტ ბეისე** კოჭის მყესის გაწყვეტის გამო მომდევნო ექვს კვირას საკლუბო ლაზარეთში გაატარებს. 23 წლის ბელგიელმა ეს ტრავმა ვარჯიშზე მიიღო და საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევამ თავდაპირველი ეჭვი დაადასტურა.

ახალგაზრდა მცველი ჰოლანდიის ჩემპიონის რიგებს აგვისტოში შეუერთდა და ახალ კლუბში მხოლოდ ორი მატჩის გამართვა მოასწრო. ახლა კი მას სავარაუდოდ მომდევნო სამი საჩემპიონთალიგო მატჩის გაცდენა მოუწევს.

**სლავა გასპაროვი**

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის წინ

# დავითი და გოლიათი მიუნხენში

## ეს ის შემთხვევაა, როცა მწვრთნელებზე ბევრი რამაა დამოკიდებული

| გუშინ | |
|---|---|
| კიოლნი-ჰოფენჰაიმი | 1:1 |
| **დღეს** | |
| ბაიერნი-მაინცი | 17:30 |
| შალკე-ბორუსია (მ) | 17:30 |
| შტუტგარტი-ლევერკუზენი | 17:30 |
| აინტრახტი-ნიურნბერგი | 17:30 |
| ზტ. პაული-ბორუსია (დ) | 17:30 |
| ვერდერი-ჰამბურგი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 17:30 |
| კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 19:30 |

ხუთი თამაში, ხუთი მოგება და ერთპიროვნული ლიდერობა ხუთი ტურის შემდეგ... საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს „მაინცის" ასპროცენტიანობაზე ხაზგასმა? ლოგიკურად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს „ზლაპარი" დიდხანს აღარ გაგრძელდება. მეტიც: წესით, ამ უქმეებზე, კონკრეტულად კი შაბათს უნდა დასრულდეს. მიზეზი მარტივია: „მაინცი" მიუნხენში ჩადის. ამავე ტურში, „შალკე" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მასპინძლობს და ზედიზედ მეორე მატჩის მოგების შანსი მიეცემა, კრიზისიდან გამოსვლა „შტუტგარტს" (ლევერკუზენთან) და „აინტრახტსაც" (ნიურნბერგთან) სურთ. დღესვე შესანიშნავ ფორმაში მყოფი „დორტმუნდი" საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ „ზანკტ პაულის" ხვდება, საღამოს კი ბრემენში ჩრდილოეთის დერბია: კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენილი „ვერდერი" „ჰამბურგს" დაუხვდება. ხვალ, „ვოლფსბურგი" „ფრაიბურგთან" ზედიზედ მესამე მოგებას დაუმიზნებს, „კაიზერსლაუტერნი" კი „ჰანოვერის" დამარცხებას შეეცდება - გუნდისა, რომელსაც ასევე ზედმეტი მოუვიდა...

### მაინცი მიუნხენში ლიდერის რანგში

მიუხედავად ჩრდილოეთის დერბისა, ტურის ცენტრალურ შეხვედრად უდავოდ „ბაიერნისა" და „მაინცის" დაპირისპირება უნდა „მოვნათლოთ". ბუნდესლიგაში ამ გუნდების ჯახი ცენტრალურ მატჩად არასდროს არავის შეურაცხავს და რაკი ეს პირველად ხდება, მაინცელი ქომაგები უბედნიერესები არიან. *„ბაიერნთან" დაპირისპირებას მოუთმენლად ველოდები. ასეთი მოტივირებული არასდროს ვყოფილვარ,"* - ეს **ლუის ჰოლტბის** სიტყვებია, რომელმაც წინა ტურში კარიერაში პირველი დუბლი შეასრულა. რეკორდმაისტერმა ოთხშაბათს „ჰოფენჰაიმი" დაამარცხა (2:1), მაგრამ ბავარიელებს ეს გამარჯვება ძალიან ძვირად, **ფრანკ რიბერის** საკმაოდ მძიმე ტრავმად დაუჯდათ. გაირკვა, რომ რიბერი **ლუის ვან გაალის** გუნდს მინიმუმ ერთი თვის მანძილზე ველარ დაეხმარება. ასე რომ, ბავარიელებმა **არიენ რობენის** შემდეგ მეორე ლიდერიც დაკარგეს, რაც „მაინცის" წარმატების შანსებს ზრდის. მიუხედავად რობენისა და რიბერის არყოფნისა, ვან გაალი ამბობს, რომ მისი გუნდის მიზანი მხოლოდ სამი ქულის მოპოვებაა. სხვანაირ განცხადებას არც ველოდით. „მაინცზე" კი კონკრეტული ის უნდა ვთქვათ, რომ კარნავალელთა მთავარი მწვრთნელი **თომას ტუხელი** მეტოქეებს მუდმივად სიურპრიზებს (ტაქტიკისა თუ შემადგენლობის მხრივ) სთავაზობს ხოლმე და ძალიან საინტერესოა, რას მოიფიქრებს ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტი რეკორდმაისტერის წინააღმდეგ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, პრანიჩი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - ოლიჩი, თ. მიულერი, კროოსი - კლოზე.

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - ზაბავნიკი, სვენსონი, ნოვესკი, ფუხსი - პოლანსკი, კარჰანი - შიურლე, ჰოლტბი, სოტო - რასმუსენი.

### როგორ განაგრძობს შალკე?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „შალკემ" სეზონის პირველი მატჩი მხოლოდ მეხუთე ტურში მოიგო (ოთხშაბათს, ფრაიბურგში, 2:1). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გელზენკირხენული კლუბი ამ გამარჯვებით გამოსწორების გზას დაადგება. თუმცა, ასეთ ვარაუდს არსებობის უფლება მაინცდამაინც არ აქვს, რადგან „შალკეს" წარმატება საკმაოწილად იღბლის დამსახურება იყო. ასე რომ, ფაქტია: **ფელიქს მაგათის** გუნდში ყველაფერი კარგად ჯერ არ არის. თუმცა „შალკეს" დღევანდელმა მეტოქემ, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო: „ხუმარები" „გლადბახს" მასპინძლობენ. გარდა იმისა, რომ მიონხენგლადბახელებს გელზენკირხენში 1992 წლის შემდეგ არ მოუგიათ, ამ სეზონში, ბოლო სამი მატჩიდან სამივე წააგეს და 14 გოლი გაუშვეს (1:2 „ზანკტ პაულისთან", 0:7 „შტუტგარტთან" და 0:4 „აინტრახტთან"). ყველა ბედნიერებასთან ერთად, მიონხენგლადბახელებს დღეს ძირითადი ფორვარდი **მაჰამადუ იდრისუც** არ ეყოლებათ - ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. მოკლედ, „შალკეს" კარგი შანსი აქვს, მორიგი გამარჯვებით სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწიოს. საინტერესოა, ათამაშებს თუ არა მაგათი **ჯეფერსონ ფარფანს** ძირითად შემადგენლობაში. „დესპოტმა ფელიქსმა" „ფრაიბურგთან" ფარფანი 90 წუთის მანძილზე სათადარიგოთა სკამზე აყურყუტა.

### შტუტგარტი და აინტრახტი წნეხის ქვეშ

„შალკესთან" ერთად შტუტგარტელები და ფრანკფურტელებიც შავ დღეში არიან. შვაბების დამრიგებელი **კრისტიან გროსი** „ლევერკუზენთან", სავარაუდოდ, ისევ ენდობა **მატიო დელპიერსა** და **მაურო კამორანეზის**, სამაგიეროდ, **გებჰარტისა** და **დიდავის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. „ლევერკუზენის" თავკაც **იუპ ჰაინკესს** კი იმედი აქვს, რომ დღეს დაცვის ბურჯ **სამი ჰიპიას** გამოყენებას შეძლებს. მოგეხსენებათ, ვეტერანი ფინელი დაშავებული იყო, მაგრამ ვარჯიშს შეუდგა და შესაძლოა, დღეს მოედანზე გასვლა მოახერხოს. „აინტრახტისა" და „ნიურნბერგის" დუელს მასპინძელთა განაპირა მცველი **პატრიკ ოხსი** და ფრანკების კაპიტანი **ანდრეას ვოლფი** დააკლდებიან - ორივე დისკვალიფიცირებულია. **მიხაელ სკიბე ალექს მაიერისა** და **იოანის ამანატიდისის** დაბრუნებას იმედოვნებს, სტუმართა დამრიგებელი **დიტერ ჰეკინგი** კი დაცვის ცენტრში **მაროს** ათამაშებს. აღსანიშნავია, რომ ჰესენელებს „ნიურნბერგთან" ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ.

### კლასიკა ვეზერშტადიონზე

„ზანკტ პაულიმ" ოთხშაბათს მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მოუგო (2:1), ახლა კი გლადბახის დორტმუნდელ სეხნიას მასპინძლობს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და ხუთი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა. „პაულიმ" სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთარ მოედანზე თამაში ჯერ არ მოუგია (1 ფრე და 1 მარცხი). არადა, „მილერნტორის" პუბლიკა ძალიან მომთხოვნია. „შავყვითლებმა" კი ოთხშაბათს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ძალიან მაგარ ფორმაში არიან - „დორტმუნდმა" „შალკეს" მერე (3:1), „კაიზერსლაუტერნიც" ჯოჯოხეთის გზას გაუყენა (5:0) და მეორე ადგილზეა წამოსკუპებული.

კრიზისი არც „ვერდერისთვისაა" უცხო სიტყვა და აღარც „ჰამბურგისთვის", მაგრამ დღეისათვის ბრემენულ კლუბს უფრო ენათესავება, რადგან **თომას შააფის** სამწყსო მე-14 ადგილზეა. „მუსიკოსები" შუა კვირაში „ჰანოვერთან" განადგურდნენ (1:4) და ეს მათთვის უკვე მესამე მარცხი იყო, „ჰამბურგმა" კი ფორმა „ვოლფსბურგთან" მარცხით (1:3) დაკარგა და ახლა მეექვსე ადგილზეა. HSV-ს ბრაზილიელი ნახევარმცველი **ზე რობერტო** ამიტომაც ამბობს, ჩრდილოეთის დერბი გვიჩვენებს, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ ამ სეზონშიო. იგივე ეხება ბრემენულ კლუბსაც. შააფს ის უხარია, რომ **კლაუდიო პისარო** და **პერ მერტეზაკერი** გამოუჯანმრთელდნენ. გუშინწინ, თომასსა და კლუბის ბოს **კლაუს ალოფსს** ფეხბურთელებთან ორსაათიანი თათბირი ჰქონდათ და საინტერესოა, გამოიღებს თუ არა შედეგს მათი საუბარი...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - ფრიტცი, პრიოდლი, მერტეზაკერი, პასანენი - ბარგფრედე, ფრინგსი - ჰანტი, ვესლი, მარინი - პისარო.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** როსტი - დემელი, ვესტერმანი, მატიისენი, იანსენი - იაროლიმი, ზე რობერტო - პიტროიპა, პეტრიჩი, ტროხოვსკი - ვან ნისტელროი.

### მგლები სწორ გზაზე?

„ვოლფსბურგმა" კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო: **სტივ მაკლარენის** გუნდმა ამ კვირაში „ჰამბურგიც" დაამარცხა (ზედიზედ მეორე გამარჯვება) და ახლა უკვე 6 ქულა აქვს. „მგლების" მეტოქე ამჯერად „ფრაიბურგია" და ორი აზრი არ არსებობს, მაკლარენი ისევ არ შეცვლის იმ ტაქტიკურ სქემას, რომელმაც მას ორ თამაშში 6 ქულა მოუტანა. „ჰანოვერმა", რომელიც 5 ტურის შემდეგ მე-4 ადგილზეა, ოთხშაბათს „ვერდერთან" იფრინა და ხვალ „კაიზერსლაუტერნთან" ექნება საქმე. „ეშმაკები" მე-10 ადგილზე არიან, რაც მათთვის აბსოლუტურად მისაღები შედეგია, მაგრამ 1. FCK-მ ოთხშაბათს „დორტმუნდთან" 0:5 წააგო და თუ დაცვის ხაზი ისევ არ დაასტაბილურა, „ჰანოვერთანაც" შავი დღე ელის - „წითლების" თავდამსხმელები, **მოჰამედ აბდელაუ** და **ია კონანი** (3-3 გოლი) ხომ შესანიშნავ ფორმაში არიან...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაინცი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-4 | 15 |
| 2. ბორუსია (დ) | 5 | 4 | 0 | 1 | 13-4 | 12 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 4. ჰანოვერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 5. ფრაიბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 |
| 6. ჰამბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 7. ლევერკუზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 8. ბაიერნი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 9. ზტ. პაული | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10. კაიზერსლაუტ. | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 11. ვოლფსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| 12. ნიურნბერგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 13. კიოლნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 14. ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 15. ბორუსია (მ) | 5 | 1 | 1 | 3 | 8-17 | 4 |
| 16. შტუტგარტი | 5 | 1 | 0 | 4 | 10-9 | 3 |
| 17. აინტრახტი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-8 | 3 |
| 18. შალკე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-10 | 3 |




რას მოიფიქრებს მაინცის 37 წლის მწვრთნელი გამოცდილი ლუის ვან გაალის წინააღმდეგ დუელისთვის?

ბაიერნი



თომას მიულერს ეჭვი არ ეპარება, რომ ბაიერნი მაინცს მოუგებს

# მიულერი: აი, რატომ მოვუგებთ მაინცს

## თომასის ფორმულა: ძალა აღმართს მოხნავს!

იმაში, რაზეც მთელი საფეხბურთო გერმანია ბჭობს, „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების წინახაზელ **თომას მიულერს** ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება: 21 წლის მიულერი დარწმუნებულია, რომ დღეს მიუნხენის „ბაიერნი" „მაინცს" შესანიშნავ სერიას (5 მოგება 5 თამაშში) შეაწყვეტინებს და თანაც, აუცილებლად დაამარცხებს.

*„ვფიქრობ, არავინ შემეწინააღმდეგება, თუ ვიტყვი, რომ „ბაიერნი" „მაინცზე" გაცილებით ძლიერი გუნდია. შესაძლოა, მაინცელები უბრალოდ ჩვენზე კარგ ფორმაში არიან და პირველი ხუთი თამაში ამიტომაც მოიგეს. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ „მაინცს" დავამარცხებთ. მეტსაც გეტყვით: გამარჯვებაში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ,"* - განუცხადა მიულერმა გუშინ „ბილდს".

მოკლედ, მიულერის ფორმულა ასეთია: ძალა აღმართს მოხნავს! მიულერს სჯერა, რომ „ჰოფენჰაიმთან" მოგებულმა მატჩმა რეკორდმაისტერს თავდაჯერება დაუბრუნა, რაც დღევანდელ თამაშში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. *„ზუსტად ისეთი მოტივაციით უნდა ვითამაშოთ, როგორც „ჰოფენჰაიმთან" ვიასპარეზეთ და ზუსტად ვიცი, „მაინცი" „ალიანს არენიდან" ერთ ქულასაც ვერ წაიღებს. მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ „მაინცზე" უკეთესი გუნდი თუნდაც „ჰოფენჰაიმია", რომელსაც სამშაბათს 2:1 მოვუგეთ. თანაც, იქნებ ამჯერადაც ჩვენც გაგვიმართლოს და ნაადრევი გოლის გატანა შევძლოთ?"* - აცხადებს მიულერი. მართლაც: რეკორდმაისტერმა მიმდინარე სეზონში პირველ ტაიმში გოლი მხოლოდ ერთხელ გაიტანა - პირველ ტურში, „ვოლფსბურგთან" (2:1).

ამასობაში, მიუნხენელთა ხორვატი თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** გუნდის მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** ორი თავდამსხმელით ასპარეზობას სთხოვს. *„რაკი ფრანკ რიბერი და არიენ რობენი ტრავმირებულები არიან და კიდევ დიდხანს ვერ დაგვეხმარებიან, ვფიქრობ, ტაქტიკური სქემა უნდა შევცვალოთ და მათ არყოფნაში ორი ცენტრალური თავდამსხმელით უნდა ვითამაშოთ. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ვან გაალის გადასაწყვეტია,"* - აღნიშნა 31 წლის ოლიჩმა „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შალკე

# მერე რა, რომ ბოლოზე ვართ...

## რაული გელზენკირხენში ბედნიერია

**რაულ გონსალეს ბლანკოს** იმედი ჰქონდა, უფრო სწორად, დარწმუნებული იყო, რომ ბუნდესლიგასთან შეგუება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ რეალობა რადიკალურად სხვანაირია: „რეალიდან" „შალკეში" გადასულ ლეგენდარულ თავდამსხმელს ხუთი ტურის შემდეგ გოლების გრაფაში ჯერაც ნული უწერია. ეს კი 34 წლის რაულისთვის წესით, უკმაყოფილების საბაბი უნდა იყოს. საქმე მხოლოდ გოლებშიც არაა - რაული არაეფექტურად გამოიყურება. თუმცა „ხუმარების" დამრიგებელი **ფელიქს მაგათი** მუდმივად იმეორებს, გონსალეს ბლანკოს შესაძლებლობებში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარო.



რაულ გონსალეს ბლანკო

მიუხედავად იმისა, რომ „შალკე" 5 ტურის შემდეგ ბოლო ადგილზეა, ვეტერან ესპანელ გოლეადორს სჯერა, რომ გელზენკირხენულ კლუბს უდიდესი პოტენციალი აქვს და რომ ამ პოტენციალის გამოყენება მხოლოდ დროის ამბავია.

*„არ ველოდი, თუ „შალკეს" ასეთი გენიალური გუნდი ეყოლებოდა,* - განუცხადა „რაულმა" მშობლიურ გამოცემა AS-ს, - *მართალია, ჯერ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე ვართ და იმის ნაცვლად, რომ საუკეთესოებს შორის გაპირველებაზე ვიბრძოდეთ, ბოლო ადგილზე ვიმყოფებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სეზონი ახალი დაწყებულია. ბუნდესლიგაში წინ კიდევ 29 ტურია დარჩენილი. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ოპტიმისტურად განსაკუთრებით მას მერე ვარ განწყობილი, რაც „ფრაიბურგს" მოვუგეთ და პირველი სამი ქულა ჩავიჯიბეთ. ახლა საჭიროა კიდევ 2-3 მატჩის მოგება და ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ლიდერის პოზიციებს მივუახლოვდეთ. ნაღდად არ მეგონა, თუ ბუნდესლიგა ასეთი გაწონასწორებული იქნებოდა."*

### ვოლფსბურგი სისოკოს არ ეშვება

იტალიური მედიასაშუალებების ინფორმაციით, „ვოლფსბურგი" კვლავ აგრძელებს ტურინის „იუვენტუსის" საყრდენი ნახევარმცველის, **მომო სისოკოსთვის** ბრძოლას, რომლიც გადაბირება „მგლებს" ორი წელია უნდათ. უახლესი ინფორმაციით, გერმანული კლუბი მზადაა, „ბებერ ქალბატონს" სისოკოს სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადაუხადოს, რაც ამასწინანდელ შეთავაზებას 2 მილიონით აღემატება. „მგლებს" სისოკოს გადაბირება იანვარში სურთ და როგორც „კორიერე დელო სპორტი" წერს, გერმანელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ზამთარში „იუვეს" საყრდენმა გერმანიას მიაშუროს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ევროპა. უქმეების წინ

# სტუმრად ჩემპიონთან

„ქაისერისპორი“ და „ტრაბზონსპორი“ ერთმანეთს 43-ედ დაუპირისპირდებიან, მაგრამ პირველად ყოფილი გუნდის წინააღმდეგ კაპადოკიურ გუნდს **შოთა არველაძე** დარაზმავს. პონტოელთა უპირატესობა აშკარაა, მათ 24 დაპირისპირება მოიგეს და 11 წააგეს, ბურთების შეფარდებაც „ტრაბზონის“ უპირატესობაზე მეტყველებს - 63:38.

ჰოლანდიაში გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „აიაქსი“ ჩემპიონ „ტვენტეს“ სტუმრობს VII ტურის ცენტრალურ მატჩში. „ტვენტე“ ჯერჯერობით დაუმარცხებელია და წაგებას არც „აიაქსთან“ აპირებს. მასპინძელთა მწვრთნელ **მიშელ პრიუდომს** არ ეყოლება მცველი **ბარტ ბუისე**, ხოლო **დუაიტ ტიენდალის** და **მარკო იანკოს** თამაში საეჭვოა. „გოდენზონენმა“ წინა ტურში ჰოლანდიის ჩემპიონატის კლასიკური მატჩი მოიგეს, „ფეიენოორდი“ 2:1 დაამარცხეს. ამ სეზონში „აიაქსი“ მხოლოდ ორჯერ დამარცხდა, „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგაზე და „ტვენტესთან“ ქვეყნის სუპერთასისთვის ბრძოლაში. „აიაქსის“ მწვრთნელი **მარტინ იოლი** ფონს **ტიმოტი ატუბასა** და **ნიკოლას ლოდეიროს** გარეშე უნდა გავიდეს. ჰოლანდიურ ტურში ქართველ გულშემატკივრებს, უფრო როტერდამული მატჩი დააინტერესებს, „ექსელსიორი“ **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესს“ მასპინძლობს, რომლის დაცვას ზედიზედ მესამე მატჩში (ჰოლანდიის ლიგის თასიც ვიგულისხმეთ) **გურამ კაშია** გაამაგრებს.

პორტუგალიაში უდანაკარგო „სპორტინგი“ „ოლანენშეს“ მასპინძლობს, ხოლო ჩემპიონი „ბენფიკა“ ფუნშალში „მარიტიმუს“ სტუმრობს. ამ გუნდს ჯერ მოგებაც არ აქვს ჩემპიონატში, თუმცა მადეირელთა დროებითი თავკაცი **პედრუ მარტინში** ჩემპიონს ბრძოლას ჰპირდება: *„ჩვენ არ გვეშინია „ბენფიკასთან“ დაპირისპირების, ლისაბონელები უბრძოლველად ქულასაც ვერ წაიღებენ“*, - აცხადებს, 40 წლის სპეციალისტი, რომლის თავკაცობითაც „მარიტიმუმ“ წინა ტურში მოიპოვა პირველი ქულა. „პორტუს“ „დრაგაუზე“ იოლი მეტოქე არ ეყოლება, „ოლანენშე“ ამ სეზონში დაუმარცხებლად ასპარეზობს.

## ჰოლანდია

ერედივიზიე. VII ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| ჰერენვენი-როდა | 20:45 |
| ალკმაარი-უტრეხტი | 21:45 |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 21:45 |
| პსვ-გრონინგენი | 21:45 |
| ტვენტე-აიაქსი | 22:45 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბრედა-ვილემ II | 16:30 |
| ექსელსიორი-ვიტესი | 16:30 |
| ნიიმეგენი-ფეიენოორდი | 16:30 |
| ვენლო-დე გრააფსხაპი | 18:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 6 | 5 | 1 | 0 | 18-5 | 16 |
| 2. პსვ | 6 | 4 | 2 | 0 | 17-5 | 14 |
| 3. გრონინგენი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 4. ტვენტე | 6 | 3 | 3 | 0 | 9-1 | 12 |
| 5. როდა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 6. ექსელსიორი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-11 | 10 |
| 7. უტრეხტი | 6 | 3 | 0 | 3 | 10-11 | 9 |
| 8. ჰერენვენი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 9. დენ ჰააგი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-14 | 8 |
| 10. ფეიენოორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 11-9 | 7 |
| 11. ბრედა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 7 |
| 12. ნიიმეგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 11-13 | 7 |
| 13. დე გრააფსხაპი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-17 | 7 |
| 14. ალკმაარი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 15. ჰერაკლესი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16. ვიტესი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-14 | 4 |
| 17. ვენლო | 6 | 1 | 0 | 5 | 6-11 | 3 |
| 18. ვილემ II | 6 | 0 | 0 | 6 | 5-20 | 0 |

**ბომბარდირები:** 7 - რიკი ვან ვოლფსვინკელი (უტრეხტი); 6 - ლუის სუარესი (აიაქსი), ოლა ტოივონენი (პსვ); 5 - მუნირ ელ ჰამდაუი (აიაქსი).

## ბელგია

ჟუპილერ ლიგა. IX ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| სერკლ ბრიუგე-კორტრიკი | 22:00 |
| შარლერუა-ლიერსი | 22:00 |
| ვეპენი-ლოკერენი | 22:00 |
| გენკი-ვარეგემი | 22:00 |
| გენტი-სტ. ტრუიდენი | 22:00 |
| ვესტერლო-ლიერსი | 22:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-მეხელენი | 20:00 |
| ჟერმინალი-ბრიუგე | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 8 | 7 | 1 | 0 | 26-6 | 22 |
| 2. ანდერლეხტი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-2 | 18 |
| 3. მეხელენი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-5 | 17 |
| 4. გენტი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-14 | 16 |
| 5. სტანდარდი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 6. ბრიუგე | 8 | 4 | 1 | 3 | 19-10 | 13 |
| 7. კორტრიიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 8-8 | 13 |
| 8. ვესტერლო | 8 | 3 | 2 | 3 | 8-8 | 11 |
| 9. ვარეგემი | 8 | 2 | 4 | 2 | 14-12 | 10 |
| 10. სერკლ ბრიუგე | 8 | 2 | 4 | 2 | 11-13 | 10 |
| 11. ლოკერენი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-16 | 9 |
| 12. ჟერმინალი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| 13. სტ. ტრუიდენი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-14 | 7 |
| 14. შარლერუა | 8 | 1 | 2 | 5 | 5-17 | 5 |
| 15. ლიერსი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-17 | 2 |
| 16. ვეპენი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-18 | 1 |

**ბომბარდირები:** 12 - ჟელ ვოსენი (გენკი); 6 - რონალდ ვარგასი (ბრიუგე); 4 - მეჰდი კარსელა (სტანდარდი); 3 - მბარკ ბუსუფა (ანდერლეხტი), კევინ დე ბრუინი (გენკი), ივან ლეკო (ლოკერენი), მატიას სუარესი (ანდერლეხტი).

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. VI ტურის წინ

| | |
|---|---|
| ბრაგა-ნავალი | 3:1 |

გოლები: 1:0 მოსორო (27), 2:0 ორესტესი (52-საჯ. კარში), 3:0 სესარი (81), 3:1 ჟუნიორი (90)

**დღეს**

| | |
|---|---|
| აკადემიკა-გიმარაეში | 20:00 |
| მარიტიმუ-ბენფიკა | 22:15 |
| პორტუ-ოლანენშე | 00:15 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ლეირია-რიუ ავე | 19:00 |
| პორტიმონენშე-ბეირა მარი | 19:00 |
| სპორტინგი-ნასიონალი | 23:15 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| სეტუბალი-ფერეირა | 23:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 5 | 0 | 0 | 11-2 | 15 |
| 2. ბრაგა | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 3. გიმარაეში | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 4. ოლანენშე | 5 | 2 | 3 | 0 | 4-1 | 9 |
| 5. აკადემიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 6. ფერეირა | 5 | 1 | 4 | 0 | 6-5 | 7 |
| 7. სპორტინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 8. ბენფიკა | 5 | 2 | 0 | 3 | 8-6 | 6 |
| 9. ნასიონალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 10. ბეირა მარი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 11. სეტუბალი | 5 | 1 | 3 | 1 | 1-3 | 6 |
| 12. ლეირია | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 13. პორტიმონენშე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 14. ნავალი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 15. მარიტიმუ | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |
| 16. რიუ ავე | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - ჰალკი (პორტუ); 3 - ვალერა (პორტუ), ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), ტოსკანო (გიმარაეში).

## რუსეთი

პრემიერლიგა. XXII ტურის წინ

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ამკარი | 2:2 |

გოლები: 0:1 ნოვაკოვიჩი (23), 1:1 ველიტონი (37), 1:2 ჩერენჩიკოვი (54), 2:2 მაკგიდი (77)

**დღეს**

| | |
|---|---|
| ზენიტი-სატურნი | 15:00 |
| რუბინი-ალანია | 18:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ტომი-ცსკა | 13:30 |
| დინამო-ნალჩიკი | 15:45 |
| როსტოვი-სიბირი | 18:00 |
| ლოკომოტივი-ტერეკი | 20:15 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| კრილია სოვეტოვი-ანჟი | 14:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 19 | 14 | 5 | 0 | 31-7 | 47 |
| 2. რუბინი | 21 | 12 | 7 | 2 | 25-8 | 43 |
| 3. ცსკა | 19 | 12 | 3 | 4 | 31-15 | 39 |
| 4. როსტოვი | 21 | 10 | 3 | 8 | 21-24 | 33 |
| 5. სპარტაკი | 21 | 9 | 6 | 6 | 33-27 | 33 |
| 6. ნალჩიკი | 21 | 9 | 6 | 6 | 27-24 | 33 |
| 7. ტერეკი | 21 | 7 | 7 | 7 | 22-19 | 28 |
| 8. ლოკომოტივი | 21 | 7 | 6 | 8 | 24-25 | 27 |
| 9. ტომი | 21 | 7 | 5 | 9 | 26-32 | 26 |
| 10. დინამო | 20 | 6 | 8 | 6 | 25-22 | 26 |
| 11. სატურნი | 21 | 6 | 6 | 9 | 17-22 | 24 |
| 12. ანჟი | 21 | 6 | 5 | 10 | 18-23 | 23 |
| 13. ალანია | 21 | 6 | 5 | 10 | 19-28 | 23 |
| 14. ამკარი | 22 | 6 | 4 | 12 | 16-26 | 22 |
| 15. კრილია | 21 | 3 | 7 | 11 | 15-30 | 16 |
| 16. სიბირი | 21 | 3 | 3 | 15 | 25-43 | 12 |

**ბომბარდირები:** 16 - ველიტონი (სპარტაკი); 12 - ალიევი (ლოკომოტივი); 11 - კორნილენკო (ტომი, რუბინი).

## უკრაინა

პრემიერლიგა. XI ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| ილიჩივეცი-სევასტოპოლი | 14:00 |
| მეტალისტი-შახტარი | 18:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ობოლონი-ვოლინი | 15:00 |
| დინამო-არსენალი | 16:00 |
| ვორსკლა-მეტალურგი ზ. | 17:00 |
| დნიპრო-კრივბასი | 18:00 |
| მეტალურგი დ.-ზარია | 19:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 10 | 8 | 1 | 1 | 19-4 | 25 |
| 2. დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 16-8 | 23 |
| 3. კარპატი | 10 | 6 | 2 | 2 | 14-8 | 20 |
| 4. მეტალისტი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-9 | 19 |
| 5. დნიპრო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-6 | 19 |
| 6. მეტალურგი დ. | 10 | 5 | 2 | 3 | 14-11 | 17 |
| 7. ვორსკლა | 10 | 4 | 2 | 4 | 12-11 | 14 |
| 8. არსენალი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-10 | 14 |
| 9. კრივბასი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-13 | 13 |
| 10. ვოლინი | 10 | 3 | 2 | 5 | 6-11 | 11 |
| 11. ობოლონი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-15 | 11 |
| 12. ტავრია | 10 | 3 | 1 | 6 | 13-16 | 10 |
| 13. ზარია | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 9 |
| 14. სევასტოპ. FK | 10 | 2 | 3 | 5 | 4-13 | 9 |
| 15. ილიჩივეცი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-19 | 7 |
| 16. მეტალურგი ზ. | 10 | 0 | 2 | 8 | 3-14 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - იევჰენ სელეზნიოვი (დნიპრო), ანდრეი შევჩენკო (დინამო); 5 - ოლექსანდრ კოვპაკი (ტავრია), ვასილ საჩკო (ვორსკლა), მარკო დევიჩი (მეტალისტი).

## თურქეთი

სუპერლიგა. VI ტურის წინ

| | |
|---|---|
| ბურსა-ბუკა | 1:0 |

გოლები: 1:0 ჩიმშირი (4)

**დღეს**

| | |
|---|---|
| გენჩლერბირლ.-ანკარაგიუჯუ | 16:30 |
| ბეშიქთაში-ანთალია | 20:00 |
| ესკიშეჰირი-გაზიანთეფი | 20:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ქაისერი-ტრაბზონი | 16:30 |
| კონია-კარაბიუკი | 16:30 |
| გალათასარაი-ბუიუქშეჰირი | 20:00 |
| მანიშა-სივასი | 20:00 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| კასიმფაშა-ფენერბაჰჩე | 21:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 5 | 5 | 0 | 0 | 8-1 | 15 |
| 2. ბეშიქთაში | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 3. ტრაბზონი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 4. ქაისერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 5. ბუიუქშეჰირი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 6. გალათასარაი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 7. კარაბიუკი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 8. ანთალია | 5 | 2 | 2 | 1 | 5-7 | 8 |
| 9. ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 7 |
| 10. ანკარაგიუჯუ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 11. ბუკა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-5 | 5 |
| 12. კონია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 13. სივასი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-11 | 5 |
| 14. გენჩლერბირ. | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |
| 15. გაზიანთეფი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 16. მანიშა | 5 | 1 | 0 | 4 | 7-12 | 3 |
| 17. ესკიშეჰირი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |
| 18. კასიმფაშა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - თეოფილო გუტიერესი (ტრაბზონი), ემანუელ ემენიკე (კარაბიუკი); 3 - იბრაჰიმ იატარა (ტრაბზონი), მამადუ ნიანგი (ფენერბაჰჩე), მერტ ნობრე (ბეშიქთაში), ბობო (ბეშიქთაში).

## საბერძნეთი

სუპერლიგა. IV ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-პანსერაიკოსი | 18:15 |
| ოლიმპიაკოსი-ასტერასი | 20:30 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 20:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-კავალა | 17:00 |
| ლარისა-კერკირა | 17:00 |
| არისი-ერგოტელისი | 19:15 |
| ქსანთი-პაოკ | 19:15 |
| ვოლოსი-აეკ | 21:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ერგოტელისი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 4. კერკირა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 5. პანათინაიკოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 6. პაოკ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 7. ასტერასი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 8. ვოლოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 9. აეკ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 10. ლარისა | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 11. პანიონიოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12. არისი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 13. კავალა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 14. ქსანთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 15. ატრომიტოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 16. პანსერაიკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - რაფიკ ჯებური (აეკ), ჯიბრილ სისე (პანათინაიკოსი); 2 - ნიკოლა ბელიჩი (პანსერაიკოსი).

ესპანეთი. ლა ლიგა. V ტურის წინ



ხოსეპ გვარდიოლას და მანუელ პრესიადოს მართლაც მეტისმეტად თბილი ურთიერთობა აქვთ

# ჟოზე მოურინიო ბრალს სდებს...

### ბილბაო სამი ქულისთვის იომებს

**დღეს**

| | |
|---|---|
| სპორტინგი-ვალენსია | 20:00 |
| ლევანტე-რეალი | 22:00 |
| ბილბაო-ბარსელონა | 00:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-ოსასუნა | 19:00 |
| დეპორტივო-ალმერია | 19:00 |
| მალიორკა-რეალ სოსიედადი | 19:00 |
| რასინგი-ხეტაფე | 19:00 |
| ერკულესი-სევილია | 21:00 |
| ატლეტიკო-სარაგოსა | 23:00 |
| მალაგა-ვილიარეალი | 23:00 |

პრიმერამ მე-5 ტურამდე ორი ლიდერით მიაღწია - **ჟოზე მოურინიოს** „რეალმა“ და **უნაი ემერის** „ვალენსიამ“ 10-10 ქულა მოაგროვეს, თუმცა მოურინიოს შეგირდები გოლთა უკეთესი თანაფარდობის წყალობით პირველ ადგილზე არიან. „რეალი“ სწორედ ვალენსიაში ჩადის „ღამურებთან“... ოღონდ არა „ვალენსიასთან“ სათამაშოდ. 1909 წელს დაარსებული „ლევანტეს“ გერბზეც ღამურაა გამოსახული, „სამეფო კლუბიც“ სწორედ იმ გუნდს ხვდება, სადაც კარიერა **იოჰან კრუიფმა** და **შოთა არველაძემ** დაასრულეს.

სანამ წინასამატჩო პერიპეტიებზე ვიტყვით, სცენას „რეალის“ თავკაცს ვუთმობთ, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „სპორტინგის“ თავკაცი **მანუელ პრესიადო**. შეგახსენებთ, რომ პრესიადომ „ბარსელონასთან“ მატჩამდე განაცხადა, რომ 8 ფეხბურთელის შეცვლას აპირებდა და მართლაც წინა ტურთან შედარებით სასტარტო 11-ეულში 8 ცვლილება განახორციელა! „რეალის“ თავკაცი სწორედ ამან ალაშფოთა: *„განზრახ სუსტი გუნდით გახვიდე „ბარსელონას“ წინააღმდეგ, მისთვის საჩუქრის გაკეთების ტოლფასია. „სპორტინგმა“ კი ლამის სარეზერვო გუნდით ითამაშა. ასე თუ გაგრძელდა, ტიტულის მოპოვება გაგვიჭირდება, აბა რა იქნება“*, - განაცხადა მოურინიომ.

ვალენსიაში „რეალს“ **კაკა, ალბიოლი, გარაი, გაგო, კანალესი** და **პეპე** არ წაჰყოლიან. პეპეს გარდა ყველა ტრავმირებულია, პორტუგალიელი კი წინა ტურში გააძევეს და დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს ტურს. ჟოზე მოურინიომ 20-კაციან სიაში „რეალ კასტილიას“ ორი მოთამაშე შეიყვანა: **მატეოსი** და **ხუან კარლოსი**. „ლევანტეს“ შემადგენლობაში ფორვარდ **ფელიპე კაისედოს** თამაშია საეჭვო. მას მუხლი აქვს დაზიანებული და წინა ტურშიც მხოლოდ ბოლო 8 წუთი ითამაშა. **ექტორ როდასი** სერიოზულადაა დაშავებული, **მიგელ პერესსაც** ბოლომდე არ მოურჩენია ტრავმა. **ხუანფრანი** და **ვისენტე იბორაც** მალე სრული დატვირთვით შეუდგებიან ვარჯიშს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლევანტე:** რეინა - რობუსტე, ბალენსტეროსი, დელ ორნო, ნანო - სისკო, ხ. ტორესი, სერხიო, პალიარდო - სუარესი, ხორდა.

**რეალი:** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო, რონალდო, იოზილი - ბენზემა, იგუაინი.

ჩემპიონს კი სერიოზული გამოცდა ელის - „ბარსელონა“ „სან მამესს“ სტუმრობს. ბილბაოელთა მწვრთნელმა **ხოაკინ კაპაროსმა** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ცაში აიყვანა ქებით „ბარსელონა“: *„მოგება მოგებაა და „ბარსელონას“ წინააღმდეგაც მხოლოდ სამ ქულად ფასობს. ამიტომ ჩვენ ისევე უნდა გავიდეთ მოედანზე, როგორც სხვა მეტოქეების წინააღმდეგ. ძალიან რთული ამოცანის წინაშე ვართ, მაგრამ ჩვენ ყველა შანსი უნდა გამოვიყენოთ მოსაგებად. ლიონელ მესის ცქერა ნებისმიერი ფეხბურთის მოყვარულისთვის ერთი სიამოვნებაა, მათ შორის - ჩემთვისაც, თუმცა, რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ მან ჩემი გუნდის წინააღმდეგ არ ითამაშოს. მესი არ იქნება, მაგრამ „ბარსას“ მის გარეშეც ბევრი ვარსკვლავი ჰყავს, განსაკუთრებით კი ჩავი და ინიესტა“.*

„ბილბაოს“ შემტევი **გაისკა ტოკერო** აკლია. სხვა ყველა ფეხბურთელი კი მწყობრშია და „ბარსელონასთვის“ საფეხბურთო ომის გამოცხადებას აპირებს. **ფერნანდო ლორენტეს** სიახლოვეს (და არა მასთან წყვილში) კი ალბათ შემტევ ნახევარმცველ **სუსაეტას** ათამაშებენ.

**ლეო მესის** გარდა მცირე პრობლემები **კარლეს პუიოლსა** და **ჩავის** ჰქონდათ, ისინი სატრენაჟორო დარბაზში ინდივიდუალურად ემზადებოდნენ და არა გუნდთან ერთად, თუმცა, ვფიქრობთ, ბასკების წინააღმდეგ მათ აუცილებლად ვიხილავთ.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბილბაო:** ირაისოსი - ირაოლა, ამორებიეტა, სან ხოსე, აურტენეჩე - ლოპესი, ორბაისი, გურპეგი, ხ. მარტინესი, სუსაეტა - ლორენტე.

**ბარსელონა:** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა - პედრო, ვილია, ინიესტა.

„ლოს ჩე“ ხიხონს ეწვევა, უნაი ემერის კი შემადგენლობაში პრობლემები აქვს, ვერ ითამაშებენ **ხოაკინი, მიგელი** და **ალბელდა**. ემერი მათ ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის შემოინახავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. ბოლოდროინდელი მოვლენების გამო „სპორტინგის“ სავარაუდო შემადგენლობის გამოცნობა ურთულესი საქმეა - **კარმელოს** ტრავმა ისეთი საშიში არ ყოფილა, როგორიც თავიდან ეგონათ, თუმცა მისი თამაში „ვალენსიასთან“ გამორიცხულია. ინდივიდუალურად ემზადებიან **ნაჩო ნოვო და აიოსე**.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ კვირას „რიასორზე“ **ხუანმა ლილოს** საკითხი გადაწყდება, თუკი „ალმერია“ წააგებს „დეპორტივოსთან“, ანდალუსიური კლუბი მის ორიგინალურ თავკაცს დაემშვიდობება.

აქვე გაგაცნობთ goal.com-ის მე-4 ტურის რჩეულ ნაკრებს: **დავიდ დე ხეა** (ატლეტიკო, მეორედ სეზონში) - **მიკელ სან ხოსე** (ბილბაო), **გაბრიელ მილიტო** (ბარსელონა), **ხავი ვენტა** (ლევანტე), **დიეგო გოდინი** (ატლეტიკო), **პაბლო პინილიოსი** (რასინგი) - **ჩაბი ალონსო** (რეალი), **ელიზეუ** (მალაგა) - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **არიც ადურისი** (ვალენსია), **დავიდ ვილია** (ბარსელონა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 2. ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 3. ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 5. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 6. ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 7. ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 8. მალაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 9-8 | 6 |
| 9. ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-8 | 6 |
| 10. სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 11. ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12. მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 13. ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 14. რასინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15. ერკულესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 16. სოსიედადი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 17. დეპორტივო | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 18. ლევანტე | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 19. ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 20. სარაგოსა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**უცხოური ფეხბურთი**

**ლიდერები**



# ალექს ფერგიუსონი: ჩელსი სუსტებს უგებს და უგებს

კარგი იუმორი ჰქონია "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს**, ასე თქვა, მგონი "ჩელსიმ" თავისი კალენდარი თვითონ შეადგინაო. მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონმა პირველ ხუთ ტურში ხუთივე თამაში მოიგო, თუმცა ბევრის და მათ რიცხვში სერ ალექსის აზრით, ძლიერი მეტოქე ჯერ არ შეხვედრია. შეგახსენებთ, ვინ დაამარცხეს "ლურჯებმა": "ვესტ ბრომვიჩი", "უიგანი", "სტოკი", "ვესტ ჰემი" და "ბლექპული". თუმცა, მეექვსე ტურში "ჩელსის" უკვე სერიოზული გამოცდა ელის, ისტლენდზე "მანჩესტერ სიტის" უნდა შეხვდეს.

"რასაკვირველია, სეზონის ასე დაწყება ძალიან შთამბეჭდავია - თქვა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა - მგონი "ჩელსიმ" თავისი კალენდარი თვითონ შეადგინა. გასულ სეზონში ამ გუნდმა სუსტი მეტოქეების კარში უამრავი გოლი გაიტანა და ახლაც იმავეს იმეორებს. რასაკვირველია, იგივე სუსტი გუნდები ჩვენც დასამარცხებელი გვყავს, მაგრამ "ჩელსიმ" ეს უკვე გააკეთა, თან ძალიან კარგად და ვისაც ჩემპიონობა უნდა, მასზე მეტი ქულა უნდა დააგროვოს".

"ლურჯების" დიდებული სტარტის მიუხედავად ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონობის ბედს მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი და **კარლო ანჩელოტის** გუნდების ორი დაპირისპირება გადაწყვეტს. პირველი "სტემფორდ ბრიჯზე" დეკემბერში გაიმართება, ხოლო მეორე, "ოლდ ტრეფორდზე", მაისში.

"პრემიერლიგაში რთული ჩემპიონატია და აქ გამარჯვება ძალიან დიდ ბიძგს იძლევა. მე ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ გასული ჩემპიონატის გამარჯვებულს. დღეს ჩემპიონი "ჩელსია", რომელმაც სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და ამდენად იგი "მანჩესტერ იუნაიტედის" უმთავრეს კონკურენტად მიმაჩნია. ვფიქრობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ერთმანეთთან შეხვედრებს. გასულ სეზონში ჩვენ ლონდონელებთან ორივეჯერ დავმარცხდით და ტიტულის ბედიც ამან გადაწყვიტა.

დღეს ინგლისში სამი გუნდი დანარჩენებისგან გამოიყოფა. "მანჩესტერ იუნაიტედზე", "ჩელსისა" და "არსენალზე" მოგახსენებთ და სწორედ ამ სამმა დაიწყო მიმდინარე ჩემპიონატი სხვებზე უკეთ. ამაში გასაკვირი არაფერია. ახლა მთავარია ის გავარკვიოთ, სეზონის ბოლოს ეს სამეული როგორი თანამიმდევრობით დალაგდება.

პატივსაცემია "ტოტენჰემ ჰოთსპურის" ბოლო რამდენიმე წლის წარმატება. "მანჩესტერ სიტის" ძლიერი სტარტი არ ჰქონდა, მაგრამ მისი შემადგენლობის პატრონი, რასაკვირველია, რაგინდა რა მეტოქეს დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. თან, ისტლენდელებს ზორბა ბიჭები ჰყავთ და მათთან ბრძოლა ძნელია. რობერტომ ნახევარი გუნდი ამ ზაფხულს იყიდა და, რასაკვირველია, ახალ ფეხბურთელებს ასე უცბად ერთმანეთს ვერ შეუხამებდა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს გუნდი კონკურენციას ნამდვილად გასწევს".

კიდევ სერ ალექსმა **უეინ რუნიზეც** ილაპარაკა. მისი პრესკონფერენციის ეს ნაწილი ბევრმა გაზეთმა თუ სააგენტომ ცალკე გამოაქვეყნა, რადგან საქმე იმ სექსსკანდალს ეხება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბრიტანეთში მასმედიის პირველი გვერდებიდან არ ჩამოდიოდა.

"ვერ დავიჯერებ, რომ ამ სკანდალმა რუნის თვითრწმენაზე იმოქმედა. ეს ბიჭი უკვე ხვდება, თუ რამდენად არის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. ის უკვე ქუჩაში ველარ გადის, ფოტო ან ვიდეოკამერას მიზანში რომ არ ჰყავდეს ამოღებული. არადა, ის ახალგაზრდა კაცია და უნდა ფეხბურთის თამაშითაც მიიღოს სიამოვნება და ამოდენა ყურადღებითაც არ თრგუნავდნენ".

**ილია ბაბუნაშვილი**





განახლებული რესტორანი თეთრი სახლი

გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება – დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

ღიაა ყოველდღე 11:00 –სთ-დან.

მ ა ლ ე

რესტორნის მეორე სართულზე გაიხსნება საბავშვო და თინეიჯერული სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ:.479567, 893907733, 899104344


**საფრანგეთი. ლიგა 1. VII ტურის წინ**

# ლიონი-სენტ ეტიენი მეასედ

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ოსერი-ნანსი | 21:00 |
| კაენი-ბორდო | 21:00 |
| ლორიანი-მონაკო | 21:00 |
| მარსელი-სოშო | 21:00 |
| მონპელიე-არლი | 21:00 |
| ნიცა-რენი | 21:00 |
| ლიონი-სენტ-ეტიენი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| ბრესტი-ვალანსიენი | 19:00 |
| ტულუზი-ლილი | 19:00 |
| ლანსი-პსჟ | 23:00 |

საფრანგეთის ჩემპიონატმა ტემპი განავითარა და უკვე რაღაც-რაღაცები იკვეთება კიდეც. შორს მიმავალი დასკვნების გამოტანისთვის ჯერ მეტისმეტად ადრეა, თუმცა ის კი ფაქტია, რომ პირველობის მთავარმა პრეტენდენტებმა სეზონი საზიზღრად დაიწყეს, ხოლო ლიდერებში ისეთი გუნდები არიან, რომლებიც აუტსაიდერებად თუ არა, საშუალო დონისებად კი მიიჩნევიან.

მართლაც მოულოდნელობაა, როცა მოქმედი ჩემპიონი "მარსელი" მერვე ადგილზეა და ლიდერს 5 ქულით ჩამორჩება, შარშანდელი ჩემპიონი "ბორდო" მეცამეტეა, ხოლო ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფრანგული კლუბი "ლიონი" სულაც მე-17 ადგილზე ყურყუტებს და გასავარდნ, მე-18 ადგილზე მყოფ "ლანსს" მხოლოდ ბურთების ოდნავ უკეთესი ბალანსით ჯობნის. ჰო, გასული პირველობის მესამეადგილოსანი "ოსერი" სულაც ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა.

მეშვიდე ტურის მთავარი მატჩი კი ლიონში გაიმართება – იმიტომ, რომ ჯერ ერთი, "სტად ჟერლანზე" ვიცე-ჩემპიონი "ლიონი" ლიდერ "სენტ-ეტიენს" უმასპინძლებს; მეორეც, სულ რომ ქვედა ლიგაში თამაშობდნენ, ამ გუნდების დაპირისპირებას საფრანგეთში რონული დერბი ეწოდება, რაკილა ორივე გუნდი რონის რეგიონის ქალაქებისაა, ხოლო დერბი რომ ყოველთვის ბრძოლას და კონკურენციას ნიშნავს, ახსნა რად უნდა; მესამე და მთავარი კი ისაა, რომ ეს იქნება "ლიონისა" და "სენტ-ეტიენის" საიუბილეო, მე-100 შეხვედრა! რა თქმა უნდა, შიდაგანწყობა ბანაკებში განსხვავებულია, მაგრამ საფრანგეთის შვიდგზის ("ლიონის") და ათგზის ("სენტ-ეტიენის") თითოეული მატჩი პრინციპულ ხასიათს ატარებს. ბარემ ვთქვათ, რომ წინა 99 შეხვედრიდან დღევანდელ მასპინძელთა სასარგებლოდ 31 მატჩი დასრულდა, "მწვანეებს" კი ლიონელი მეტოქისთვის 38-ჯერ მოუგიათ, ხოლო 30 შემთხვევაში ისინი ფრეზე გაიყარნენ.

ზემოთაც ვთქვით და გავიმეორებთ კიდეც, რომ დღეს ეს გუნდები ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე არიან და სატურნირო მდგომარეობასაც რომ დავანებოთ თავი, მუდამ მრისხანე ლიონურმა შეტევამ ექვს ტურში მხოლოდ ოთხი გოლის გატანა მოახერხა, "მწვანეებმა"კი 11-ჯერ გაამწარეს მეტოქე გუნდის მეკარეები, თანაც სენტეტიენელთა გოლების ნახევარზე მეტი საკუთარ ანგარიშზე **დიმიტრი პეიემ** ჩაიწერა - ინდოეთის ოკეანის პატარა კუნძულ რეიუნიონზე დაბადებული 23 წლის ფორვარდი 6 გოლით ლიგა 1-ის ბომბარდირთა დავას ლიდერობს. მაგრამ მარტო პეიე არა, **კრისტოფ გალტიეს** ყველა შეგირდი გამოიყურება დამაჯერებლად და გუნდის მიერ აქამდე ნაჩვენები თამაშის ხარისხი "სენტ-ეტიენის" ლიდერობის სამართლიანობას ადასტურებს.

"გუნდში გალტიეს მოსვლის შემდეგ ახალმა სიომ დაუბერა. კრისტოფი რომ არა, გასულ სეზონში უთუოდ გავვარდებოდით. დღევანდელი "სენტ-ეტიენის" წარმატებები მთლიანად მწვრთნელის დამსახურებაა", - ასე შეაფასა თავისი დამრიგებლის ღვაწლი "მწვანეების" ერთ-ერთმა ლიდერმა **ბაკარი საკომ.**

"ლიონის" წარუმატებლობას კი ობიექტური მიზეზები აქვს – სეზონის სტარტზევე **კლოდ პუელის** ხელთ არსებული ჯანმრთელი კადრები ყოველდღიურად მცირდებოდა. ხან ვინ მიიღებდა ტრავმას, ხან ვინ... მწვრთნელი იძულებული იყო, ზოგიერთ პოზიციაზე სულ სხვა ამპლუის ფეხბურთელი დაეყენებინა და სტრატეგია-ტაქტიკაზე ფიქრის დროც აღარ რჩებოდა. ბოლოხანს ამ მხრივ სიტუაცია რამდენადმე გამოსწორდა და ლაზარეთიც თითქოსდა დაიცალა, მაგრამ ახლა პუელს საუკეთესო ფორვარდი **ლისანდრო ლოპესი** გამოაკლდა, ხოლო **ედერსონზე** ლაპარაკიც არ ღირს – ბრაზილიელი გარემარბი სეზონის უდიდეს ნაწილს გააცდენს. ლისანდროს არყოფნაში მასპინძელთა შეტევას **ბაფეტიმბი გომისი** ულიდერებს, რომელიც ლიონურ კლუბში სწორედ "სენტ-ეტიენიდანაა" მისული.

სტუმარ გუნდს, შესაძლოა, ხსენებული პეიე გამოაკლდეს, რომელმაც ორიოდე დღის წინ ლიგის თასის მატჩში ნაკლებად სერიოზული დაზიანება მიიღო. **ბუბაკარ სანოგო** და **იოან ანდრეუ** კი საკლუბო ექიმების პაციენტები კიდევ საკმაო ხანს იქნებიან.

"სენტ-ეტიენივით" 13-ქულიანია "ტულუზიც", თუმცა ბურთების უარესი ბალანსი აქვს. **ალენ კაზანოვას** გუნდმა სეზონი მიჯრით ოთხი მოგებით დაიწყო, მაგრამ მომდევნო 2 მატჩში კინკილა ქულას მოუყარა თავი, ხოლო შუა კვირაში მეორელიგელ "ბულონთან" 1:2 დამარცხდა. კვირას ტულუზელები "ლილს" უმასპინძლებენ და ქულის აღებაც გაუჭირდებათ, იმდენად სუსტად თამაშობენ ამ ბოლო დროს. კარგი ამბავი ისაა, რომ **იოან პელე** გამოჯანმრთელდა და "ტულუზის" კარშიც ეს კიპერი ჩადგება, ხოლო შუახაზს კვლავ **მუსა სისოკო** უხელმძღვანელებს, ვინც ასევე მოიშუშა ტრავმა.

"ლილი" კი, "რენსა" და "მონაკოსთან" ერთად ჯერაც დაუმარცხებელია. მართალია, ჩრდილოელებს მხოლოდ ორი მატჩი აქვთ მოგებული, მაგრამ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობენ და აუტსაიდერის როლში ალბათ არც ტულუზში იქნებიან.

"რენი" ვახსენეთ და ამ ბრეტონულ გუნდს დღეს მეტად რთული მატჩი ელის – რივიერაზე "ნიცას" წინააღმდეგ. ეს გუნდი "რენისთვის" უხერხული მეტოქე სულაც არ არის, უბრალოდ, სათავეში **ერიკ რუას** მისვლის შემდეგ ლაჟვარდოვანი სანაპიროს ბინადრები ძალზე საიმედოდ ათამაშდნენ და ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დამარცხდნენ, ბოლოს – ერთი კვირის წინ მონპელიეში. გასულ ტურში "სოშომ" მეტად მწარე სილა გააწნა ნიცელებს - 4:0 დაამცირა. იმ მატჩისგან განსხვავებით, დღეს ნიცელთა წინა ხაზი უფრო სოლიდური იქნება – **მამადუ ბაგაიოკო** და **ლარის მაბიალა** სრულ ჯანზე არიან და ითამაშებენ.

საფრანგეთის ჩემპიონატში დაუმარცხებელი კიდევ "მონაკოცაა", რომელიც დღეს ლორიანში ითამაშებს, სადაც, სხვათა შორის, ისტორიაში ერთადერთხელ მოუგია და ისიც – 12 წლის წინათ.

ჩემპიონი "მარსელი" ერთი კვირის წინ გოლების იშტაზე მოვიდა – "არლთან" სტუმრად სამჯერ გაიტანა. იმ შეხვედრაში **აბედი პელეს** ორივე ვაჟმა ითამაშა, უფროსმა კი დუბლი მიითვალა.



კრისტოფ გალტიე ჯერჯერობით კმაყოფილია

დღეს მარსელელებს ტრავმამოშუშებული **ლუჩო გონსალესი, ლეიტი ნდიაი, სულეიმან დიავარა** და **ლოიკ რემიც** დაემატებიან, ანუ გუნდი სათამაშოდ საუკეთესო შემადგენლობით გავა. ეჭვიც არაა, რომ ჩემპიონის დღევანდელ მეტოქეს პრობლემები ექნება – მერე რა, რომ "სოშომ" ერთი კვირის წინ "ნიცა" გაანადგურა. ეს ხომ **დიდიე დეშამის** "მარსელია", ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, თანაც მატჩი "ველოდრომზე" გაიმართება...

"ოსერისთვის" სეზონი რთულად დაიწყო – გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოდა და მიზანს მიაღწია კიდეც, მაგრამ შიდა პირველობისთვის ძალები აღარ ჰყოფნის. თუმც იმავეს თქმა საკუთრივ ჩემპიონთა ლიგაზეც შეიძლება – **ჟან ფერნანდესის** გუნდი იქაც დამარცხდა...

"ბორდოს" კაენში მძიმე გასვლა აქვს. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ელიტაში დაბრუნებული "კაენი" საკმაოდ სოლიდურ ფეხბურთს აჩვენებს და ყველას ერთნაირი მონდომებით ეთამაშება – გრანდი იქნება მისი მეტოქე თუ რიგითი ფრანგული გუნდი. წესით, "ბორდო" გრანდია, მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში ევროსაგზურების ზონაში რომ მოხვდეს, თამაშის ხარისხი კარდინალურად უნდა გამოასწოროს.

"არლი" ელიტაში ისტორიული ქულის მოპოვებას მეშვიდე ჯერზე შეეცდება, თუმცა ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ ავინიონელებს არც მონპელიეში გამოუვათ რამე, რადგან მასპინძელი გუნდი წინა ორი მატჩის წაგებით გამწარებულია და რენომეს აღსადგენად "არლზე" უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდა, თანაც დღევანდელ ოპონენტზე ობიექტურად ძლიერიცაა. მოკლედ, ავინიონური გუნდის პრობლემებს ბოლო არ უჩანს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ.-ეტიენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| 2. ტულუზი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:3 | 13 |
| 3. რენი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| 4. კაენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:6 | 11 |
| 5. სოშო | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| 6. ლილი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:3 | 10 |
| 7. ნიცა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:8 | 9 |
| 8. მარსელი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 8 |
| 9. პსჟ | 6 | 2 | 2 | 2 | 9:6 | 8 |
| 10. მონაკო | 6 | 1 | 5 | 0 | 6:4 | 8 |
| 11. ბრესტი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| 12. მონპელიე | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | 8 |
| 13. ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| 14. ვალანსიენი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| 15. ნანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| 16. ლორიანი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| 17. ლიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| 18. ლანსი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| 19. ოსერი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |
| 20. არლი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | 0 |

**სლავა გასპაროვი**

ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტურის წინ

# ლივერპულმა კი სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს

| დღეს | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ჩელსი | 15:45 |
| არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 18:00 |
| ბირმინგემი-უიგანი | 18:00 |
| ბლექპული-ბლექბერნი | 18:00 |
| ფულჰემი-ევერტონი | 18:00 |
| ლივერპული-სანდერლენდი | 18:00 |
| ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 18:00 |
| **ხვალ** | |
| ბოლტონი-მანჩ. იუნაიტედი | 15:00 |
| ვულვზი-ასტონ ვილა | 17:05 |
| ნიუკასლი-სტოკი | 19:10 |

"მანჩესტერ სიტი" "ჩელსის" მასპინძლობს და ეს პრემიერლიგის მეექვსე ტურის მთავარი მატჩია. რად უნდა ლაპარაკი, რომ მის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს? ჯერ ერთი, ეს ინგლისის ჩემპიონთა შემოწმებაა - აქამდე, ხუთ ტურში "ლურჯებმა" ერთი მეორეს სულ სუსტი გუნდები მიაწყვეს - და მეორეც, დასავლეთლონდონელების ფეხის დაცდენას სულგანაბული ელოდებიან ჩემპიონობის მთავარი კონკურენტები, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი".

რასაკვირველია, ამ შეხვედრის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ისტლენდელთათვისაც. შეიხმა **მანსურმა** "სიტის" განახლებაში უზარმაზარი თანხები ჩადო, მაგრამ გუნდი ჯერჯერობით არასტაბილურია. მეორე მხრივ, **რობერტო მანჩინის** მილიონერი ბიჭები მეოთხე ადგილზე არიან, ეს კი ის პოზიციაა, რომელიც "სიტისთვის" პროგრამა მინიმუმად ითვლება.

დაშავებულთა საქმე ასეა: მასპინძელთა რიგებში ვერ ითამაშებენ **ალექსანდრ კოლაროვი, ჯერომ ბოატენგი** და **უეინ ბრიჯი. პაბლო საბალეტამ** ასეთ პირობებში მარჯვენა ფრთაზე ითამაშა, მაგრამ თუ **მიკა რიჩარდსი** ორთავა კუნთის ტრავმას ვერ მოიშუშებს, მას შეიძლება მოედნის მეორე კიდის დაცვა დაევალოს. არაა გამორიცხული, უკან დახიონ **ჯეიმს მილნერი** და თუ მართლა ასე მოხდება, წინ ესპანელ **დავიდ სილვას** ვიხილავთ.

ტრავმირებულები ჰყავს "ჩელსისაც", რომელსაც ხალხი "ქარლინგის თასზე" "ნიუკასლთან" მოულოდნელი წაგებისას დაუშავდა. სამაგიეროდ **კარლო ანჩელოტის** შემადგენლობას დაუბრუნდებიან **დიდიე დროგბა** და **ფლორან მალუდა. ფრენკ ლემპარდი** კვლავ ვერ ითამაშებს.

"არსენალი" "ვესტ ბრომვიჩს" მასპინძლობს და მისგან ყველა გამარჯვებას, მეტიც, გამარჯვებათა გზაზე დაბრუნებას ელის. მოგეხსენებათ, "მეთოფეები" კაპიტნის **სესკ ფაბრეგასის** გარეშე იქნებიან და მისი როლი, სავარაუდოდ, ყმაწვილკაცმა **ჯეკ უილშერმა** უნდა იტვირთოს. კოჭის ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ **ტეო უოლკოტი** და **რობინ ვან პერსი.** "ვესტ ბრომვიჩის" თავკაცს, **რობერტო დი მატეოს** ახალი დაშავებული არავინ ჰყავს.

"უიგანთან" შეხვედრაში "ბირმინგემისგანაც" გამარჯვებას ელიან. საქმე ის გახლავთ, რომ ბირმინგემელებმა შუა კვირაში "ქარლინგის თასზე" "მილტონთან" შთამბეჭდავად ითამაშეს და შესაბამისად ფანები ჩინებულ გუნებაზე არიან. მათ თითქოსდა აღარ ახსოვთ პრემიერლიგის წინა ტურში "ვესტ ბრომვიჩთან" 3:1 რომ წააგეს. გუნდის მწვრთნელს **ალექს მაკლიშს** ახალი დაშავებული არავინ ჰყავს, "უიგანს" კი **შარლ ნ'ზოგბია** უბრუნდება და მისგან გუნდის თავკაცი **რობერტო მარტინესი** დიდ დახმარებას ელის.

"ბლექპული" "ბლექბერნს" მასპინძლობს და იმედოვნებს, რომ ტრადიციისამებრ კარგ შედეგს მიაღწევს. ლანკაშირის ეს ორი გუნდი 1980 წლის შემდეგ აღარ შეხვედრია ერთმანეთს. ბოლო შეხვედრაში "ბლექბერნმა" მოიგო, მაგრამ ზღვისპირელთა თავკაცი **იან ჰოლოუეი** სტატისტიკას იშველიებს: "ბლექპულს" "ბლექბერნისთვის" ოცდაერთჯერ უმასპინძლია და 15 შეხვედრა მოუგია.

"ფულჰემი" და "ევერტონი" შუა კვირაში "ქარლინგის თასზე" დამარცხდნენ და ახლა, ერთმანეთის დამარცხებით შეეცდებიან გუნების გამოსწორებას.

ლონდონელების მწვრთნელს **მარკ ჰიუზს ბობი ზამორა** ხომ გამოაკლდა და ახლა, მას **მუსა დემბელეც** შეუერთდა. ის ორ ან სამ კვირას ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, ჰიუზს საქმე მაინც ასარჩევად აქვს: ვის ათამაშებს წინ, **კლინტ დემპსის, ედი ტომპსონს** თუ **ზოლტან გერას? დემიენ დაფიც გამოჯანმრთელდა...**

"ევერტონს" **ტიმ კეჰილისა** და **ლეონ ოსმანის** საქმე აქვს გასარკვევი.

"ლივერპული" შუა კვირის სირცხვილის შემდეგ ("ქარლინგის თასზე" "ნორთჰემპტონთან" წააგო) "სანდერლენდს" უმასპინძლებს და მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას შეეცდება. სანდერლენდელთაგან მოედანს დაუბრუნდება კაპიტანი **ლი კეტერმოლი**, რომელმაც ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ლონდონურ დერბიში "ვესტ ჰემი" "ტოტენჰემს" მასპინძლობს. "ჩაქუჩები" აუტსაიდერები არიან, "დეზები" ცხრილის მეხუთეზე გახლავან და "აპტონ პარკზე" გამარჯვება ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ხვალ კი სამი თამაშია: "მანჩესტერ იუნაიტედი" ბოლტონში "რიბოკ სთედიუმზე" თამაშობს. საინტერესოა, რომ "ბოლტონთან" ბოლო ოთხ დაპირისპირებაში **უეინ რუნიმ** ექვსი გოლი გაიტანა. სტატისტიკა კიდევ იმას მეტყველებს, რომ პრემიერლიგის ბოლო 14 დაპირისპირებაში მანჩესტერელებმა 12 მოიგეს და მხოლოდ ერთი წააგეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ალექს ფერგიუსონის გუნდის სასარგებლოდ მეტყველებს.

"ვულვზი" "ასტონ ვილას" მასპინძლობს და რიხიანდაა: გასული სეზონიდან მოყოლებული პრემიერლიგაში ექვსი საშინაო შეხვედრა არ წაუგია. რაკილა გასული სეზონი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ "შარშან" ამ გუნდებმა ორივე შეხვედრაში ფრედ ითამაშეს. ამ თამაშს ის ინტერესიც აქვს, რომ "ვილას" ახალი მწვრთნელი **ჟერარ ულიე** თანდათანობით ერკვევა ვითარებაში და დროა ფანებს თავისი "კლანჭებიც" დაანახვოს.

დაბოლოს, "ნიუკასლი" "სტოკს" მასპინძლობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 5 | 0 | 0 | 21-1 | 15 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 14-4 | 11 |
| 3. მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 14-7 | 11 |
| 4. სიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| 5. ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 6. ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 7. ფულჰემი | 5 | 1 | 4 | 0 | 7-6 | 7 |
| 8. ასტონ ვილა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-9 | 7 |
| 9. ბლექპული | 5 | 2 | 1 | 2 | 8-12 | 7 |
| 10. ვესტ ბრომ | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| 11. სანდერლენდი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 12. ბოლტონი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 13. ბირმინგემი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 14. ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 15. ვულვზი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 16. ლივერპული | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 17. სტოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 18. უიგანი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-13 | 4 |
| 19. ევერტონი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |
| 20. ვესტ ჰემი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-13 | 1 |




მწვრთნელი


რობერტო მანჩინი

# რობერტო მანჩინი: ბარსელონას და რეალის მწვრთნელობას რა უნდა?!

**რობერტო მანჩინი** "მანჩესტერ სიტის" ბაზაზე კაბინეტში შევიდა და მწვრთნელთა შტაბის თათბირი მოიწვია. უკმაყოფილო ჩანდა, რადგან ვარჯიშზე, სადაც მომავალი შეხვედრის ტაქტიკას ამუშავებდნენ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ვარაუდობდა. ერთი შეხედვით წვრილმანი ჩანდა, მაგრამ მწვრთნელს გუნება გაუფუჭა. იტალიელის განწყობაზე აშკარად მოქმედებდა ინგლისური წვიმაც.

*"ხომ არ ფიქრობთ, რომ მანჩესტერში ამინდის ეშხით ჩამოვედი? - იკითხა სარკასტულად და საკუთარ კითხვას თავადვე უპასუხა - აქ მხოლოდ მოგებისთვის ვარ. მოგება მინდა, მეტი არაფერი".*

მართლაც, რა უჭირდა რობერტო მანჩინის საიმისო, პრემიერლიგის საგიჟეთში რომ არ გამოქცეულიყო? ზაფხულობით სარდინიაზე, პორტო ჩერვოს გოლფ კლუბში მდებარე თავის ვილაში ისვენებს ხოლმე, ზამთრობით კი... იტალიურ ფეხბურთში ლამის დიდგვაროვნად შერაცხული ნამდვილად მოახერხებდა სადმე თბილად მოწყობილიყო.

მისი დიდგვაროვნობისა არ გჯერათ? მაშინ ასე გეტყვით: "ფიორენტინას" თავკაცად ისე დანიშნეს, სამწვრთნელო კურსები დამთავრებულიც კი არ ჰქონდა. სად-სად და მწვრთნელობაზე და ტაქტიკურ სქემებზე გადარეულ იტალიაში ასეთი რამ მანამდე წარმოუდგენელი იყო. "ფიორენტინას" შემდეგ მანჩინიმ გამოცდილება "ლაციოსა" და "ინტერში" გაიმდიდრა - მილანურ კლუბს სამჯერ ჩემპიონობა, ოთხჯერ კი თასი მოაგებინა - რის მერეც თავისუფლად შეეძლო მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და თითი თითზე აღარ დაედო, მაგრამ ვერ მოისვენა, გაქანდა და ინგლისში მანჩესტერის მეორე გუნდს ჩაუდგა სათავეში. გუნდს, რომელსაც 1976 წლის შემდეგ აღარაფერი მოეგო.

იმ წელიწადს, როდესაც "სიტიმ" ლიგის თასზე გაიმარჯვა, რობერტო მანჩინი მხოლოდ ცამეტისა გახლდათ და ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობდა. ერთი წლის შემდეგ ის უკვე ბოლონიის ყმაწვილთა საფეხბურთო აკადემიაში გადავიდა და მას მერე შინ აღარც დაბრუნებულა.

*"ძალიან პატარა ვიყავი და პირველ წელიწადს გამიჭირდა - ჰყვება ისტლენდელთა თავკაცი. - ჩემი ვაჟები ახლა უკვე 18 და 20 წლისანი არიან, მაგრამ ცამეტისანი რომ იყვნენ, ვერსად გავუშვებდი. რას იზამ, ყველას თავისი გზა აქვს. ჩემთვის ცხოვრებაში მთავარი ფეხბურთი იყო და ისე ვიქცეოდი, როგორც ფეხბურთელის კარიერა ითხოვდა. 16 წლისა უკვე სერია A-ში "ბოლონიას" შემადგენლობაში ვთამაშობდი და პიროვნებად სწორედ მაშინ ჩამოვყალიბდი. კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმან, რომ არასდროს ვყოფილვარ დიდ კლუბის ფეხბურთელი. გუნდი რომელშიც ვთამაშობდი ყოველთვის ჩვეულებრივი, საშუალო იყო, მაგრამ დიდი შრომის ფასად წარმატებებსაც აღწევდა. "სამპდორიაში" კი 15 წელიწადი გავატარე.*

*იცით, რამდენჯერ შემეძლო "მილანში", "იუვენტუსში" თუ "ინტერში" დარჩენა? მაგრამ "სამპდორიას" ვუერთგულე, რადგან იქ თავს შინაურად ვგრძნობდი. "სამპდორიაში" კლუბის პრეზიდენტით დაწყებული ფეხბურთელებით დამთავრებული ყველა ჩემი ოჯახის წევრად მიმაჩნდა.*

*"მანჩესტერ სიტიც" "სამპდორიას" მაგონებს. თუ წარმატებებს მივაღწევთ, აქ ყველაფერი შეიცვლება. ისტლენდზე მთელ ცხოვრებას შევცვლით. სწორედ ახლა დგას ამისათვის შესაფერისი მომენტი. რომ მეკითხებიან, რატომ ჩამოვედი მანჩესტერში, იცით, რას ვპასუხობ? იმიტომ, ეს გუნდი ვერ იგებდა. ჩემთვის მთავარი გამოწვევაა. "ინტერი" დიდი კლუბი იყო, მაგრამ ტიტული წლობით არ ჰქონდა მოგებული. იგივე შემიძლია ვთქვა "ფიორენტინაზე", "სამპდორიაზე", "ლაციოზე"... აი, ამ გუნდებთან ერთად მოგებაა საინტერესო, თორემ "რეალში" და "ბარსელონაში" მუშაობას რა უნდა?! ამ გუნდებში ყველა მწვრთნელი იმარჯვებს".*

მანჩინისთვის ნებისმიერი წვრილმანი მნიშვნელოვანია. საინტერესო ამბავს ყვება მისი "სამპდორიას" დროინდელი თანაგუნდელი, ხოლო ახლა მისი თანაშემწე **დევიდ პლატი**. ერთხელ ოთახში მანჩინი სახატავი რვეულითა და ფერადი კალმებით შემოვიდა. დახმარება მთხოვა. როდესაც ვკითხე, რა უნდა გაგვეკეთებინა, მიპასუხა, გაისისთვის გუნდის ფორმა უნდა მოვიფიქროთო.

როგორც ჩანს, მანჩინი "სიტიში" ყველაფერის შეცვლას აპირებს... მენტალიტეტით დაწყებული.

*"ზოგ გუნდში მენტალიტეტის შეცვლა სულაც არ არის საჭირო. აი, მაგალითად, კარლო ანჩელოტის "ჩელსიში" ზუსტად ის სულისკვეთება დახვდა, რაც სჭირდებოდა. ჩვენთან კი დამოკიდებულება გამოსაცვლელია. თუ ფეხბურთელებს ცხრილის შუაში ყოფნა აკმაყოფილებთ, ძალიან ძნელია შედეგის მიღწევა.*

*მე მინდა სერ ალექს ფერგიუსონს მივბაძო. ის, ალბათ, ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში ყოველდღე იმედგაცრუებული რჩებოდა, სანამ არ მიაღწია იმ შედეგს, რისკენაც მიისწრაფვოდა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

საპარლამენტო კომიტეტში

# სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომა

აჭარის ტერიტორიაზე სკოლის გარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფუძნებს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც „ზოგადი განათლების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები ძალაში შევა.

კანონპროექტი „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომაზე 24 სექტემბერს პირველი მოსმენით განიხილეს. ჩანაწერი შევიდა მოქმედი კანონის 56-ე მუხლში, რომელიც სკოლისგარეშე და სასპორტო დაწესებულებებს ეხება.

ამგვარად, იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებენ, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო დააფუძნებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით. იგივე სამინისტრო დაამტკიცებს აღნიშნული დაწესებულების წესდებას, დანიშნავს და გაათავისუფლებს მის ხელმძღვანელს. ამ ცვლილების მოქმედ კანონში შესვლა განაპირობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კონსტიტუციური კანონის მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც კულტურა და სპორტი ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. იგი არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს და გავლენა ბიუჯეტის არც საშემოსავლო და არც ხარჯვით ნაწილზე არ ექნება.

კომიტეტის წევრებმა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

www.parliament.ge

# არის ქართული მოდელი!

„ლელოს"მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) სპორტის ექსპერტთა საბჭო (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) რამდენიმე თვეა მუშაობს საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე.

გუშინ პარლამენტში გამართულ ექსპერთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს დოკუმენტის მესამე თავი, რითაც ფაქტობრივად დასრულდა პროექტი, რომელიც გაეროს იუნისეფის დაკვეთით განხორციელდა.

საქართველოს ისტორიაში პირველად შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ევროპული მოდელის ეროვნული პროგრამა. ამ მოდელმა უკვე გაიარა ექსპერტიზა ლონდონის ბავშვთა სპორტის ცნობილ ცენტრში და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ვაჟა შუბლაძემ, რომელმაც გააანალიზა გაწეული საქმიანობა, ლონდონელთა დასკვნის ბოლო სტრიქონებიც გააცნო სხდომას: „ჩვენ წინაა ევროპული სტანდარტის დოკუმენტი. სასიამოვნოა, რომ გამოვლინდა ქართველ სპეციალისტთა მაღალი დონე".

ექსპერტების გარდა სხდომას ესწრებოდნენ იუნისეფის, საქართველოს განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები.

იუნისეფის მაღალჩინოსანმა **ბენჟამინ პერკსმა** განაცხადა: „მადლობა ყველას, პროგრესი აშკარაა, ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესებულია სასკოლო სპორტის სრულყოფის საკითხებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ წარმატება ადგილობრივ კვალიფიციურ სპეციალისტებზე იქნება დამოკიდებული".

ვაჟა შუბლაძემ სამომავლო სამოქმედო გეგმაც წარმოადგინა. ჩატარდება პროექტის დასრულებისადმი მიძღვნილი კონფერენცია და პრეზენტაცია, განიხილება სპორტის აკადემიის დაფუძნების საკითხი, იგეგმება ზემოხსენებული ნაშრომის მრავალტირაჟიანი გამოცემა.

სხდომის შედეგები ვაჟა შუბლაძემ შეაჯამა.

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# თელავი ოუფენი უქართველოდ დაიხურება

დღეს თელავში მე-3 საერთაშორისო ტურნირი „თელავი ოუფენი" დასრულდება, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. სამწუხაროდ, ერთეულთა თანრიგის ფინალში ქართველს ვერ ვნახავთ - ტიტულისთვის ავსტრიელი და უკრაინელი ჩოგბურთელები იბრძოლებენ, თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით...

თელავის თიხნარის კორტებზე სულ 18-მა ჩვენებურმა სცადა ბედი, 9 მათგანი საკვალიფიკაციო ბადეში იყო და ვერც ერთმა მიაღწია ძირითადს, საიდანაც 9 ქართველიდან (4 „უაილდ ქარდი") მერვედფინალში მხოლოდ სამმა გააღწია: პირველ ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (189), მე-2 ნომრად განთესილმა **მაკა ჩახნაშვილმა** (228) და **სოფიო ქვაცაბაიამ** (398). მეორე წრის მერე კი ბრძოლას კალაშნიკოვაღა შემორჩა. მან პოლონელი **პაულა კანია** (440) დაამარცხა - 6:1, 7:6 (9). ჩახნაშვილმა პოლონელ **კაროლინა კოშინსკასთან** (335) წააგო - 3:6, 4:6, ხოლო სოფიო ქვაცაბაიამ - ბელარუს **ვიქტორია იემიალანოვასთან** (597) - 3:6, 6:3, 4:6. კალაშნიკოვას მეოთხედფინალში ერთობ გაუჭირდა ჰოლანდიელი **ანგელიკ ვან დერ მეეტის** (391) დამარცხება - 5:7, 7:5, 6:3.

ნახევარფინალში პირველი ოთხი განთესილიდან სამი გავიდა (მხოლოდ ჩახნაშვილი დააკლდათ). ავსტრიელი **მელანი კლაფნერი** (248) ჩვენს ბოლო იმედს დაუპირისპირდა და ორ სეტში მოუგო კიდეც - 7:6 (1), 6:2. მე-3 ნომრად განთესილმა უკრაინელმა **ირინა ბურიაჩოკმა** (252) კი კაროლინა კოშინსკა დაამარცხა - 6:4, 4:6, 6:4. კალაშნიკოვამ 24 ქულა მიიღო, ჩახნაშვილმა და ქვაცაბაიამ - 8-8.

წყვილთა თანრიგში 12-მა ქართველმა იასპარეზა, შეიქმნა 4 სუფთა ქართული წყვილი, თუმცა ნახევარფინალში მხოლოდ 3 ჩვენებურილა დარჩა. კალაშნიკოვასა და კლაფნერის დუეტი ჩახნაშვილსა და ქვაცაბაიას დაუპირისპირდა და მოუგო - 6:1, 2:6, 10:4. მოკლედ, ერთი ტიტულის შანსი მაინც გვრჩება...

თელავის ესტაფეტა თბილისის (25 ათასი დოლარი) „ბათუმის ნავთობტერმინალის ღია პირველობამ" გადაიბარა. ამ ტურნირშიც ოქსანა კალაშნიკოვა იქნება პირველ ნომრად განთესილი.

ამერიკულ ალბუკერკში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (75 ათასი დოლარი) მე-5 ნომრად განთესილმა **ანა ტატიშვილმა** (152) მერვედფინალში ამერიკელ **ჯული დიტის** (359) აჯობა - 6:4, 6:2. მეოთხედფინალში მისი მეტოქე კიდევ ერთი მასპინძელი, **კიმბერლი კაუტსია** (308).

ამერიკულ კოსტა მესაში (10 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მერვედფინალში **ოლექსი ჟორნიაკს** (უკრაინა) მოუგო - 6:1, 6:7 (9), 6:3. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი მექსიკელი **დანიელ გარსაა** (447). **ლადო ჩიხლაძე** იტალიურ ბრუსაპორტოში წყვილებში ყოჩაღობს. მან და იტალიელმა **რიკარდო ბელოტიმ** ფინალში გააღწიეს, სადაც **გრეპალდი-გრასის** პირველ ნომრად განთესილ დუეტს ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ინტერვიუ ვაჟა კვარაცხელიასთან

# სოხუმი ორი ამერიკელით



რიჩარდ დამუსი

საქართველოს მე-20 ჩემპიონატი საინტერესო ამბებს გვპირდება. გაძლიერდა შსს, შეიქმნა არმიის გუნდი, ჩემპიონატს უბრუნდება „ქუთაისი"...

გუშინ ახალი, არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია მოვიპოვეთ - „სოხუმი" სუპერლიგას ორი ამერიკელით შეხვდება. ათიოდე დღეში საქართველოში ჩამოვლენ ძმები **რიჩარდ** და **კარლ დამუსები**. ისინი **ლაშა ფარლალავას** ამხანაგები არიან, ამერიკის კოლეჯების ლიგიდან ესპანეთში ჩავიდნენ, სადაც ება-ს ლიგის წარმომადგენელ „კინტანარში" თამაშობდნენ. რიჩარდი 198 სმ სიმაღლისაა, კარლი - 202-ის. ამ უკანასკნელს ცენტრად თამაშის გამოცდილებაც აქვს.

მათ გარდა „სოხუმს" შეიძლება ლაშა ფარლალავაც დაემატოს, რომელიც შარშან „მონტანა სტეიტ ბილინგსის" ღირსებას ამერიკის კოლეჯების ლიგაში იცავდა. ლაშა ამჟამად ლიტვაშია და „პალანგასთან" ერთად ვარჯიშობს. დარჩება თუ არა გუნდში, ჯერ არ გადაუწყვეტია:

*- აქ ფინანსურად მძიმე მდგომარეობაა. ამიტომ „პალანგა" ყველა ლეგიონერმა დატოვა და უკრაინულ „დონეცკთან" მატჩს ძველი შემადგენლობიდან ხუთნი შევრჩით.*

ფარლალავას თქმით, თუ „პალანგაში" არ დარჩა, ვიდრე სხვა გუნდს მოძებნის, „სოხუმს" შეუერთდება.

ახლა სოხუმელთა მთავარ მწვრთნელ **ვაჟა კვარაცხელიას** მოვუსმინოთ.

**- სოხუმის უნივერსიტეტის სახელით საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე წლის წინაც თამაშობდით. წლეულს თუ დაგაფინანსათ სასწავლებელმა?**

- როცა სოხუმის უნივერსიტეტს ბატონი ოთარ ჟორდანია ხელმძღვანელობდა, გაჭირვების მიუხედავად საკალათბურთო კლუბს მაინც პატრონობდა. სასწავლებლის ამჟამინდელი უფროსობა კი გუნდის დაფინანსებაზე უარს აცხადებს.

**- უმაღლეს ლიგაში გამოსვლაში ვინ გეხმარებათ?**

- მოვძებნეთ სხვა წყარო, რომლის დახმარებითაც ფედერაციის ძველი დავალიანებაც გავისტუმრეთ და ახალი სეზონისთვისაც ვემზადებით.

**- როდის შეიკრიბეთ და სად ვარჯიშობთ?**

- წვრთნას ერთი კვირის წინ შევუდექით. დიღომში, „დინამოს" ბაზაზე ვემზადებით.

**- იქნებ შემადგენლობა გაგვაცნოთ...**

- მეორე მწვრთნელად დიმიტრი ჟაკობოვი იმუშავებს. გუნდში ვარჯიშობენ გიორგი კვეტენაძე, ირაკლი ჩლაიძე, ირაკლი სორდია, თემურ კანკია, ვანო აბულაძე, ნიკა გაბელია, გელა კოპალიანი. დაგვემატება ორი ტანმაღალი ამერიკელი და, ალბათ, ლაშა ფარლალავა, რომელიც ამჟამად ლიტვაშია. თუ ლაშა ვერ ჩამოვიდა, ერთ გამთამაშებელს ამერიკიდან ჩამოვიყვანთ.

**- ორი უცხოელის დამატება გადაწყვეტილია?**

- ისინი თვითმფრინავის ბილეთებს ელიან. დაახლოებით ათ დღეში შემოგვიერთდებიან.

**- როგორი მოთამაშეები არიან?**

- „სუპერები" არ არიან, თუმცა საქართველოს ჩემპიონატში ურიგოდ არ უნდა ითამაშონ.

**- ახალ სეზონში რა იქნება გუნდის მიზანი?**

- წინასწარ ვიტყვი - ჩემპიონობისთვის ვერ ვიბრძოლებთ, ხუთეულში მოხვედრას კი ვეცდებით. ჩვენი მთავარი ამოცანა ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის გამოცდილების მიცემა იქნება, რაშიც სუპერლიგის ძლიერ მეტოქეებთან თამაშიც დაეხმარებათ და ამერიკელებთან ვარჯიშიც.

**ვაჟა სიმონიშვილი**




კარლ დამუსები

ლეგიონერები

# ცქიტო ბასკეთში დაბრუნდა

ესპანეთის ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან საქართველოს ნაკრების წევრები. შეგახსენებთ, რომ პირენეებზე თამაშობენ **ნიკა ცქიტიშვილი, ტორინ გრინი, ქუინტონ ჰოსლი** და **ტაირონ ელისი**.

ელისი ჩვენი ეროვნული გუნდის ღირსებას ოთხი წლის განმავლობაში იცავდა (2006-2009). ამ ზაფხულს ნაკრებში იმიტომ ვერ ჩამოვიდა, რომ მისი მეუღლე ბავშვს ელოდა. ამიტომ ტაირონმა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს სთხოვა, ერთი წლით დაესვენებინათ. ელისი მზადაა ჩვენს ნაკრებში დასაბრუნებლად და თუ მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** გამოუძახებს, სიამოვნებით ჩამოვა. ასე რომ, ისევე, როგორც შარშან, ტაირონ ელისის მიერ ჩატარებულ საკლუბო მატჩებს ძველებური ინტერესით უნდა მივადევნოთ თვალი.

არის ერთი დაბრკოლება: ელისის არყოფნის გამო წლეულს საქართველოს ეროვნული გუნდის მაისურა **ტორინ გრინმა** მოირგო. ერთი ხელის მოსმით მის ადგილას ისევ ელისის დაბრუნება შეიძლება სამართლიანი სულაც არ იყოს. ამიტომ იგორ კოკოშკოვს ზაფხულამდე სერიოზული საფიქრალი ექნება. რა გამოსავალს მოძებნის, ძნელი სათქმელია, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ევროპის ჩემპიონატზე გრინიც წაიყვანოს, ელისიც და, ვინ რომელ თამაშშიც დასჭირდება, ის ათამაშოს.

რაც შეეხება მესამე ნატურალიზებულს - ქუინტონ ჰოსლის, იგი წლეულს საქართველოს ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა, თუმცა ოფიციალურ შეხვედრებში არ უთამაშია (მწვრთნელს კონკრეტული მატჩის განაცხადში ერთი ნატურალიზებულის შეყვანის უფლება აქვს). აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, მას 2011 წელს საქართველოს ნაკრებში თამაშის საშუალება მიეცეს. თუმცა, ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვებში ცქიტიშვილზე, გრინსა და ელისზე წერისას ორიოდე სიტყვით ჰოსლის თამაშსაც შევეხებით.

■ ■ ■

დავიწყოთ ნიკა ცქიტიშვილით, რომელსაც თბილისში ბავშვი შეეძინა და ესპანეთიდან სამშობლოში რამდენიმე დღით ჩამოვიდა. ნიკა „ლაგუნ აროს" უკვე დაუბრუნდა და სანსებასტიანელებთან ერთად მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ბასკების მეტოქე ფრანგული „პო ორტეზი" იყო, რომელმაც მასპინძლებს საწყის 30 წუთში დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მეოთხე რაუნდში კი „ლაგუნ აროს" კალათისკენ „გზა დაეკარგა" და 6:20 დათმო. საბოლოოდ 78:60 ცქიტიშვილის გუნდის სასარგებლოდ.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე სასარგებლო **ალბერტო მირალესი** იყო - 15 ქულა, 8 მოხსნა. წარმატებაში არცთუ მცირე წვლილი შეიტანა ცქიტიშვილმა: 24 წუთი, 7 ქულა, 5 მოხსნა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.




■ ■ ■

ტორინ გრინის „გრან კანარიას" „დიპუტასიონის თასის" მოგებამდე ცოტა დააკლდა. ფინალში კანარის კუნძულელებმა ბოლო წუთებზე წააგეს „კახა ლაბორალთან" - 62:67. არადა, გრინის თანაგუნდელთათვის ყველაფერი კარგად დაიწყო - პირველი მეოთხედი 21:12 მოიგეს. ლაბორალელებმა მეორე ტაიმში მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა მოედანი 11 ქულით დატოვა.

მანამდე „გრან კანარიამ" „ვალიადოლიდთან" სტუმრად 84:87 დათმო. გრინმა 10 ქულა მიითვალა.

■ ■ ■

ტაირონ ელისი სეზონის დასაწყისში „კახასოლიდან" მადრიდის „ესტუდიანტესში" გადავიდა. სტუდენტებმა მორიგ საკონტროლო მატჩში ევროლიგის წარმომადგენელ „ვალენსიასთან" ათქულიანი სხვაობით წააგეს - 65:75.

ტაირონმა 7 ქულა ჩააგდო. მატჩის ბომბარდირი კი ბელგიელი **დრიესენი** გახდა - 17 ქულა.

ორიოდე დღის შემდეგ „ესტუდიანტესმა" „გრანადასთან" 84:70 იმარჯვა. ტაირონ ელისს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

■ ■ ■

ბოლოს ქუინტონ ჰოსლიზე, რომელიც თურქული „იზმირიდან" კატალონიურ „ხუვენტუდში" გადავიდა. ამხანაგურ მატჩში ჰოსლის ახალმა კლუბმა 78:85 დათმო **ვოვა ბოისას** ყოფილ გუნდ „მენორკასთან". ქუინტონი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 8 ქულით გამოირჩა.

ორიოდე დღით ადრე კი „ხუვენტუდი" კატალონიის ჩემპიონობისთვის „ბარსელონას" „დაეჭიდა". როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება „ბარსას" დარჩა - 95:79.

ამჯერად ჰოსლი სასტარტო იყო და საბოლოოდ 6 ქულა მოუგროვდა.

ესპანეთის ჩემპიონატი 2 ოქტომბერს დაიწყება. მანამდე, 29 სექტემბერს ტორინ გრინის „გრან კანარია" ევროთასის შესარჩევ მატჩში ხორვატიის „ზაგრებს" ესტუმრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ჯობავამ კარლსენს აჯობა

ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ასპარეზობის მე-4 დღე ჩვენთვის გულდასაწყვეტიც აღმოჩნდა და სასიხარულოც. დრეზდენის ოლიმპიადის ჩემპიონი ქალთა ნაკრები, სამწუხაროდ, ტურნირის უმთავრეს ფავორიტ რუსეთის უძლიერეს გუნდთან დამარცხდა - 1,5:2,5. პირველ სამ დაფაზე მეტოქეები: **ნანა ძაგნიძე (2534)-ტატიანა კოსინცევა** (2573), **ნადეჟდა კოსინცევა** (2565)-**ლელა ჯავახიშვილი** (2451) და **სალომე მელია** (2439)-**ალექსანდრა კოსტენიუკი** (2524) დაზავდნენ, **ალისა გალიამოვამ** (2482) თეთრებით **ბელა ხოტენაშვილს** (2464) სძლია, რითაც საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა.

დანარჩენ კონკურენტთა ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: კუბა-უკრაინა 1,5:2,5, უნგრეთი-აშშ 2:2, ბულგარეთი-ინდოეთი 2,5:1,5, სერბეთი-ჩინეთი 1,5:2,5, გერმანია-სლოვენია 2:2. ამდენად, 4 ტურის შემდეგ რუსეთმა (1), უკრაინამ, ბულგარეთმა და ჩინეთმა 8-8 ქულა მოაგროვეს და პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფენ. ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან რუმინეთი, აშშ, უნგრეთი და სლოვენია. დღეს მე-5 ტურში სწორედ მათი პაექრობები იწვევს ინტერესს: უკრაინა (13)-ბულგარეთი (11), ჩინეთი (13)-რუსეთი (12,5), რუმინეთი (13)-უნგრეთი (11,5), აშშ (12,5)-სლოვენია). საქართველოს ექვსქულიანი ქალთა ნაკრები (12) აზერბაიჯანის გუნდს (11, ზეინაბ მამედიაროვა-2234, ტურკან მამედიაროვა - 2301, გულნარა მამადოვა - 2293, ნარგიზ უმუდოვა - 2251, ხაიალა ისკანდაროვა - 2172) დაუპირისპირდება.

გაგვახარეს ჩვენმა ბიჭებმა, რომლებმაც ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ **ბაადურ ჯობავამ** (2710) მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფი ნორვეგიელი ვუნდერკინდი **მაგნუს კარლსენი** (2826) დაამარცხა. ქართველმა დიდოსტატმა პარტიის მე-6 სვლაზე სიახლე გამოიყენა, რამაც მას დებიუტშივე მოუტანა უპირატესობა. ორთაბრძოლა ასე წარიმართა:

**ჯობავა-კარლსენი**

1. d4 მf6 2.c4 e6 3. მc3 კb4 4. a3 კxc3+ 5. bxc3 მc3 იშვიათი სვლაა (ძირითადი გაგრძელებაა 5... c5), რასაც ჯობავას სიახლე მოჰყვა 6. e4 (იდეით 7. d5) მxe4 7. ლg4 f5 8. ლxg7 ლf6 9. ლxf6 მxf6 (პოზიცია ამ სვლების შემდეგ დაახლოებით თანაბარია). 10. მf3 b6 11. d5 მa5 (იდეით ჯერ მb3 და შემდეგ 12...ე g8) 12. მd4 (იდეით 13. კd3) მფf7 (იდეით 13.... კb7), 13. dxe6+ dxe6 14. კf4 კa6 15. მf3 მe4 16. მe5+ მფf6 17. f3 მd6. 18. 0-0-0 ეhd8 19. h4 მf7 20. მd7+ მფg7 21. ეh3 (მუქარით 22. მფ b2) მფh8 22. კg5 მxg5 23. hxg5 (თეთრების პოზიცია უფრო პერსპექტიულია) მფg7 24. ეh6 კxc4. 25. კxc4 მxc4. 26. ეdh1 (თეთრები სახიფათო შეტევას ავითარებენ) ეh8. 27. f4? შეცდომაა, რითაც შავებმა ვერ ისარგებლეს. c5? (უკეთესი იყო 27 ... ეad8) 28. ეxe6 ეae8 29. ეxh7+ ეxh7. 30. ეxe8 მფf7 31. ეa8 eh1+. 32. მფc2 a5. 33. ეa7 მxa3+ 34. მფd2 ეh2? (უკეთესი იქნებოდა ...მb5) 35. მxb6+ მფg6 36. ეxa5 და თეთრებს, ფაქტობრივად, მოგებული აქვთ.



36. ... ეxg2+ 37. მფd1 მb1 38. ეxc5 მd2 39. მd5 მe4 40. ეc6+ მფf7 41. მe3 ეg3 42. მფe2 მფe8 43. ეe6+ მფf7 44. ეe5 მxc3+ 45. მფf2 ეh3 46. ეxf5 მფg6 47. ეf6+ მფg7 48. მf5+ მფg8 49. მფg2 ეd3 50. ეd6 მe2 51. ეg6+ მფh8 52. ეh6+ მფg8 53. მe7+ მფf7 54. მg6 მფg7 55. მფf2 მc3 56. მe7 მe4+ 57. მფe2 ეa3 58. მf5+ მფg8 59. ეe6 მc3+ 60. მფf3 მd5+ 61. მფg4 ეa1 62. ეe5 ეg1+ 63. მფf3 ეf1+ 64. მფe4 და შავები დანებდნენ.

ნორვეგიელებთან პაექრობისას დანარჩენ სამ დაფაზე **მიხეილ მჭედლიშვილმა** (2628) **იონ ლუდვიგ ჰამერთან** (2633) ქულა გაიყო, **ლევან ფანცულაიამ** (2599) და **თამაზ გელაშვილმა** (2611), შესაბამისად, **ფროდ ელსნესი** (2485) და **რინგლანდ ჰანსენი** (2429) დაამარცხეს. აქვე გაუწყებთ ვაჟთა ტურნირის მეწინავეთა შეხვედრების შედეგებს: რუსეთი (2)-ინდოეთი 3:1, უნგრეთი-ჩინეთი 2,5:1,5, სომხეთი-რუსეთი (3) 2,5:1,5, ჰოლანდია-ესპანეთი 3:1, რუსეთი (1)-აშშ 3:1, ესტონეთი-ვიეტნამი 0,5:3,5, უკრაინა-სლოვენია 2,5:15, ეგვიპტე-პოლონეთი 1:3, შვედეთი-ხორვატია 2,5:15.

ოთხი ტურის შემდეგ 7 გუნდს 8-8 ქულა აქვს. საქართველო დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილზეა. ჩვენი გუნდი (14) დღეს ვიეტნამელებთან (12,5, ლიემ ქუანგ ლი - 2694, თრონგ სონ ნგუენი - 2633, დანგ ნგუენი - 2500, თიენ ჰაი დაო - 2520, დუკ ჰოა ნგუენი - 2385) გაარკვევს ურთიერთობას. ასევე ინტერესს იწვევს ლიდერების - სომხეთი (12,5)-რუსეთი 2-ის (14), უნგრეთი (11)-რუსეთი 1-ის (12,5), პოლონეთი (13)-ჰოლანდიის (11) პაექრობები.

**ვაჟა დანელია**



ბაადურ ჯობავასა (მარცხნივ) და მაგნუს კარლსენის შეხვედრის მომენტი

სუმოს სამყარო. აკი ბაშო (ტოკიო). 12-26 სექტემბერი

# სტალონე ტოკიოში ქართულ დუელს ნახავს

გუშინ შემოდგომის ბაშოზე სამი ქართველი სუმოისტიდან ორმა წააგო, მაგრამ მოიგო იმან, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა - მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** „კოკუგიკანი" ალაფრთოვანა, როცა მონღოლი **ჰაკუბა** (124 კგ) თიხნარს მოსწყვიტა, ხელში აიტაცა და რკალს მიღმა „გადადგა". ტოჩინოშინს 7-6 ბალანსი აქვს და ერთი მოგება აშორებს კაჩი კოშიმდე (დადებითი ბალანსი). მისი დღევანდელი მეტოქე „პატარა ტანკი" **ტაკეკაძეა** (11-2), რომელიც ბრწყინვალედ ასპარეზობს ბაშოზე, ამ იმპერატორის თასის მოპოვების შანსს ტურნირის ბოლოსწინა დღემდე ინარჩუნებს. ურთიერთშეხვედრების ისტორია ქართველის სასარგებლოდ მეტყველებს - 6:1. ასე რომ, დღეს მესამე კაჩი კოშის ველით, თუმცა ბაშოზე მოვლენები ისე წარიმართა, არა გვგონია, 8 მოგება კომუსუბის ტიტულის დასაბრუნებლად ეყოს ლევანს.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** და **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** მიზანს წინა დღეს მიაღწიეს, ამიტომაც გუშინ თავი აღარ შეაკლეს მეტოქეებს. კოკაიმ **იოშიკაძესთან** წააგო, იაპონელი ჯიქურ ეკვეთა „შავ ზღვას", გვარიანი დარტყმა აგემა და შემდეგ გონს მოსვლაც არ აცალა, ისე შეუტია მინოლით, საბოლოოდ კი ჩვენებური ბეჭებზე გააკრა. გაგამარუს **კოტოკასუგას** კონტრიერიში გაეპარა.

დღეს საინტერესო დუელი გველის - ქართველი ქართველის წინააღმდეგ, „შავი ზღვა" 2-ცენტნერიანი გაგამარუს წინააღმდეგ. სხვათა შორის, ეს მათი მეორე დაპირისპირებაა, ივლისის ბაშოზე კოკაიმ ცუკიოტოშის ილეთით აჯობა გაგამარუს. ეს მე-6 ქართული დუელი იქნება სუმოს ისტორიაში: კოკაი და ტოჩინოშინი 4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს (2:2).

ამასობაში იოკოძუნა **ჰაკუჰომ** ზედიზედ მე-60 გამარჯვება იზეიმა და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს ის კიდევ ერთხელ შემართავს იაპონიის იმპერატორის თასს. მართალია, მისი მეტოქე ოძეკი **კოტოოშუა**, მაგრამ ბულგარელმა უკვე დაკარგა პირველობის შანსი. ერთია, ხვალ მას ტრიბუნიდან **სილვესტერ სტალონე** უქომაგებს, კოტოოშუს ბევრჯერ განუცხადებია, რომ სტალონეს ფანია, ახლა კი ამერიკელი მსახიობი „ვალს მოიხდის „ და ბულგარელ ჩემპიონს დიდი ჩემპიონის წინააღმდეგ უგულშემატკივრებს...

**XIII დღე:** ჰაკუჰო-ბარუტო (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (ოკურინაგე), კაიო-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), არანი-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), კისენოსატო-ტოკუსეგავა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კაკურიუ (იორიკირი), ტოკიტენკუ-ტაკამისაკარი (იორიკირი), ვაკანოსატო-ჰომაშო (იორიტაოში), ტოჩინოშინი-ჰაკუბა (ცურიდაში), კიოკუტენჰო-ტოსაიუტაკა (იორიკირი), შიმოტორი-მოკონამი (იორიკირი), ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი (უბრძოლველად), კიტატაიკი-ტოჩინონადა (ოკურიდაში), იოშიკაძე-კოკაი (იორიტაოში), ტაკეკაძე-კიმურაიამა (ოკურიდაში), ტამავაში-ბუშუიამა (ჰატაკიკომი), კოტოკასუგა-გაგამარუ (სუკუინაგე), კორიუ-კაკიძოე (ჰატაკიკომი), კასუგაო-კიოკუნანკაი (უვატენაგე), სოკოკურაი-ტოსანოუმი (უვატენაგე), ტოიოჰიბიკი-ტოიოძაკურა (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა: 13-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **11-2:** იოშიკაძე (მაეგაშირა 11), ტაკეკაძე (მ 12). **9-4:** კოტოოშუ (ოძეკი), ტოჩიოძანი (სეკივაკე), ტამავაში (მ 14). **8-5:** ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კაკურიუ (კომუსუბი), კოტოშოგიკუ (მ 3), ჰაკუბა (მ 5), ასასეკირიუ (მ 6), კიტატაიკი (მ 7), კოკაი (მ 8), გაგამარუ (მ 15)... 7-6: ტოჩინოშინი (მ 2).

**XIV დღე:** ჰაკუჰო-კოტოოშუ, ჰარუმაფუჯი-ბარუტო, კაიო-კისენოსატო, ტოჩიოძანი-ჰაკუბა, არანი-ტოკუსეგავა, კაკურიუ-ამინიშიკი, ვაკანოსატო-მოკონამი, ბუშუიამა-ტოკიტენკუ, ტოჩინოშინი-ტაკეკაძე, ჰომაშო-ტაკამისაკარი, კიოკუტენჰო-სოკოკურაი, კოტოშოგიკუ-იოშიკაძე, ასასეკირიუ-ტოჩინონადა, ტოსაიუტაკა-კასუგაო, კიტატაიკი-ტოიოძაკურა, კოკაი-გაგამარუ, კიმურაიამა-კაკიძოე, ტამავაში-შიმოტორი, კოტოკასუგა-ტოსანოუმი, კორიუ-კიოკუნანკაი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ლამისაა, პირველი წრე დამთავრდეს და სხვადასხვა ქართულ სატელევიზიო არხზე ფეხბურთის მატჩების ნაცვლად კვლავ თავს იწონებენ სამხრეთამერიკული სერიალები ან სხვადასხვა ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებები (რომლებიც ისე წააგვანან ერთმანეთს, როგორც ზემოთ ნახსენები სერიალები).

როგორც ჩანს, ეს პრობლემა მარტო გულშემატკივრებს არ გვაწუხებს. წინა ტურის შემდეგ "სამტრედიას" მთავარმა მწვრთნელმა გელა სანაიამ დაიჩივლა, აჩვენეთ რეპორტაჟები, თორემ მსაჯებმა სულ გაილალესო. რა თქმა უნდა, ვეთანხმები იმერელთა ახალგაზრდა დამრიგებელს. როცა აჩვენებდნენ ხოლმე მატჩებს, არბიტრები ნაკლებ შეცდომებს უშვებდნენ, უფრო მობილიზებულნიც იყვნენ, გაპარსულებიც და ზოგიერთს გრიმიც კი ჰქონდა ხოლმე გაკეთებული, რომ ეთერში ლამაზად გამოჩენილიყო.

საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციისთვის კი ტელევიზიები ფულს ითხოვენ. ყველაფერი უკუღმართი ხომ ჩვენ და ჩვენს ფეხბურთს უნდა დაემართოს. რას იზამ, ლათინურამერიკული სერიალების ფულია ამოსაღები! ჩემპიონატის ორგანიზატორებს კი, რა თქმა უნდა, არა აქვთ ამხელა თანხების გადახდის საშუალება. ჰოდა, მგონი, ისეთი რამ მოვიფიქრე, ორივე მხარეს უნდა აწყობდეს. გადაიღოს ტელევიზიამ თამაშები და გაუშვას ხოლმე ხალხის თხოვნით. თითო თხოვნა კი, ვთქვათ, 50 თეთრი ღირდეს. ხომ არის ხოლმე რადიოებში რუბრიკა "თხოვნები" - რომ რეკავენ და უკვეთენ სიმღერებს. ნახეთ, რა კარგი იქნება: გამოვა საფეხბურთო კომენტატორი და იტყვის: "ვიტ-ჯორჯია"-"სამტრედიას" მატჩი ეძღვნება თიკას, ნინჩოს, გიგის და სალის შორენასაგან დიდი სიყვარულით. ანდაც, სმს-ებს რომ წაიკითხავს - გთხოვთ, გაუშვათ "ზესტაფონი"-"ტორპედო", ეძღვნება საქართველოს ულამაზეს მხარეს იმერეთს და, საერთოდ, იმერლებს. ან კიდევ: რამდენჯერ გთხოვეთ, რომ აჩვენოთ ზუგდიდის "ბაიასა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა... – სამწუხაროდ, ეს თამაში ჯერ არ გვაქვს, მაგრამ, როგორც კი ჩაგვივარდება ხელში, აუცილებლად გავუშვებთ და ასე შემდეგ.

ისე, რა ფულიც ტელევიზიებისთვისაა გადასახდელი, ეგ ფული რომ იმ ხალხს დაურიგონ, ვინც ჩვენი ჩემპიონატის ყურებას აპირებს, სულ არ შეხედავს ტელევიზორს და ივლის იმ ფულით სტადიონებზე.

ქუთაისის "ტორპედო" კი კვლავ დამარცხდა და ამჯერადაც მინიმალური სხვაობით. წინა ტურის შემდეგ ქუთათურმა გულშემატკივრებმა გუნდის მთავარ მწვრთნელს რამაზ მუმლაძეს ობსტრუქცია მოუწყვეს და მის გადაყენებას ითხოვდნენ. გულშემატკივრების პრეტენზიები გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი მწვრთნელზე მეტად, მგონი, იმ აჟიოტაჟის ბრალია, რაც ჟურნალისტებმა ჩემპიონატის დაწყებამდე ატეხეს. აქაოდა, გუნდს სტადიონი გაურემონტესო, ახალი ფეხბურთელები და მწვრთნელი დაიმატესო, სერიოზული სპონსორი გამოუჩნდაო, ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოსო. სადაა მასე მარტივად, ბიძია? მარტო ფულით და დროულად დარიგებული ხელფასებით ხომ ვერ მოიგებ საქართველოს ჩემპიონატს?! მასე რომ იყოს, "მანჩესტერ სიტის" ვინ აჯობებდა, მაგრამ ხომ ნახეთ, შარშან რუსთავის "ოლიმპი" გახდა საქართველოს ჩემპიონი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი კვლავ სპონსორს ეძებს. დიდი თანხის გადამხდელი ჯერ არ ჩანს, ფედერაციას კი არ სურს ისეთი სპონსორი, რომელიც 10 ათას ლარს გადაიხდის. რა თქმა უნდა, ეს მიდგომა გამართლებულია, თორემ ცოტა ხანში შეიძლება ეროვნული ნაკრების თამაშებზე მინდვრის გარშემო ასეთი სარეკლამო ბანერები ვიხილოთ: მინიმარკეტი "ნათია XXI", მეორადი საქონლის მაღაზია "შარმი", საცხობი "დედას პური" და ციალას ჯიხური ლილოს ბაზრობის მესამე რიგში.

უცხოური ფეხბურთისთვის კი გასული კვირა სკანდალებით დახუნძლული აღმოჩნდა. ინგლისური "ბირმინგემის" ფეხბურთელმა ლი ბოიერმა (რომელიც ადრე ძნელადაღსაზრდელთა გუნდ "ლიდსის" წევრი გახლდათ) სტადიონის ტრიბუნაზე მოხუც ქალბატონს აგინა. ამ ქალბატონს კი ყველაზე მეტად ის ეწყინა, რომ ამ ლანძღვას ყურს უგდებდა მისი 7 წლის შვილიშვილი. ისე, ამხელა ქალი ხარ და სტადიონზე რომ მიდიხარ და თან შვილიშვილი ბიჭი მიგყავს, არ უნდა იფიქრო, რას აკეთებ? რა უნდა ბავშვს სტადიონზე? დატოვე რა სახლში კაცებთან, რამე სერიალს მაინც უყურებს.

წინა კვირაში გავიგე, როგორი განსხვავებულები ყოფილან არაბები და ჰონდურასელები. არაბეთში ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელი კრეიგ მური დაიჭირეს იმ მიზეზით, რომ დალია და ტაქსისტი სცემა 14 დოლარის გამო (რა ამბავია მართლა 14 დოლარი? თემქიდან ვაზისუბანში და მერე უკან ხომ არ მიდიოდა?) და ახლა ციხე ელოდება. ჰონდურასის ნაკრების მეკარემ (გვარი ნამდვილად აღარ მახსოვს, ამ ბოლო ხანებში ველარ ვაქცევ ყურადღებას ჰონდურასულ ფეხბურთს) კი ჟურნალისტს პნევმატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა და დაჭრა ისიც და მისი კოლეგაც. ამის შემდეგ მან ითამაშა კიდეც, ხოლო მისი კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთელს არ დასჯიდა. აი, რომ მოეკლა ჟურნალისტი, მაშინ ალბათ 4-5-თამაშიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა.

ამასობაში, დევიდ ბექჰემი (ფეხბურთელია ასეთი) ამერიკულ ჟურნალ US magazines უჩივის, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერია, რომ 2007 წლის აგვისტოში ბექჰემი მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ერთობოდა. ეს ქალი კი ეკუთვნის კატეგორიას "ქალი გამოძახებით" და საკმაოდ ძვირი - ღამეში 10 ათასი დოლარი ღირს. აი, ძმაო, კაცი! აბა, უეინ რუნის კი არ ჰგავს, 1200-ფუნტიან ქალებთან რომ დაძვრება.

ნიუ იორკის აეროპორტში ყოფილი ეკვადორელი მსაჯი ბაირონ მორენო დააკავეს, რომელსაც 6 კილოგრამი ჰეროინი გადაჰქონდა საზღვარზე. პოლიციელების ყურადღება იმან მიიპყრო, რომ მორენო საბაჟოზე უცნაურად იქცეოდა და ამიტომ მისი გაჩხრეკა გადაწყვიტეს. ისე, პოლიციელებს, ეტყობა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი არ უნახავთ სამხრეთ კორეისა და იტალიის ნაკრებებს შორის, თორემ უცნაური ქცევა იქ გენახათ თქვენ - იქვე, კუთხურის ალამზე "მიაბორკილებდნენ".

ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი დეიდები შეესივნენ. არგენტინელი მოდელი კლაუდია ჩარდონე (ამის გვარი ხომ კარგად დავიმახსოვრე?!) თურმე ლეო მესის ჰყვარობს. ამ ქალმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, შეყვარებული ვარ და რაც მესიმ ტრავმა მიიღო, იმის მერე ღამე ველარ ვიძინებო. ისე, არა მგონია, მარტო მაგით მოხიბლოს მესი ამ ქალმა. თორემ მისი ტრავმის გადამკიდე ეგეთივე დღეში არიან გვარდიოლაც და ჩემი ძმაკაცი ლაშა გაბუნიაც. ლეო რომ უარზე დგას, უფრო ამ ქალბატონის ასაკი უნდა იყოს, რომელიც 13 წლით უფროსია არგენტინელ ფეხბურთელზე.

სამაგიეროდ, მსგავსი პრობლემა სულ არ აწუხებს ლონდონის "არსენალის" და დანიის ნაკრების ფეხბურთელ ნიკლას ბენდტნერს. მან და მისმა საცოლემ კაროლინ ლუელ-ბროკდორფმა განაცხადეს, რომ მალე შვილს ელიან და იქორწინებენ კიდეც. რა ჩემი საქმეა ახლა, რომ ვჭორაობ, მაგრამ ეს ქალბატონიც ზუსტად 13 წლითაა უფროსი ახალგაზრდა ფეხბურთელზე. მაგრამ სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის, მით უმეტეს, რომ ამ ასაკს ზურგს დანიელი ბარონესას ტიტული და საბანკო ანგარიშზე არსებული 400 მილიონი ფუნტი უმაგრებს.

*P.S. მილიონები ვახსენე წელან და ერთი უმუშევარი მილიონერის შესახებაც უნდა ვთქვა. ცნობილი კალათბურთელი ალან აივერსონი ვერაფრით პოულობს ახალ გუნდს. შტატებში რომ მისი აყვანის სურვილი არავინ გამოთქვა, ჩინეთში წავიდა და იქაურ კლუბთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ იქაც არაფერი გამოუვიდა. რომ ვატყობ, კიდევ კაი ხანი გაუჯანჯლდება ეგ საქმე, ამასობაში საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება და, მგონი, მოუწევს "ჭიათურაში" თამაში. აბა, სხვა გუნდები მეტნაკლებად დაკომპლექტებულია უკვე ჩვენთან.*

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის სახეობათა ისტორია

## საიდან მოდის კალათბურთი?

კალათბურთის მსგავსი თამაშის კვალი ნაპოვნია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიებზე (ძვ. წ. X საუკუნე). იმდროინდელი რელიგიური დღესასწაულების აუცილებელი ნაწილი ყოფილა თიხის ბურთის სროლა მიზანში (შუაში გახვრეტილი ქვის დაფა). ამ თამაშს ერქვა „პოკ-ტა-პოკ“. მექსიკაში აღმოჩენილ 147 მეტრის სიგრძის სათამაშო მოედანს გარს აკრავს 8 მეტრის სიმაღლის ქვის ტრიბუნები, რომლებზედაც სამიზნე რგოლებს ამაგრებდნენ. აცტეკები კაუჩუკის ბურთს და ქვის კალათს იყენებდნენ, ფლორიდელი ინდიელები — ჭოკის ბოლოში დამაგრებულ დაწნულ კალათს. მსგავსების მიუხედავად, ისტორიკოსთა მიერ აღწერილ ადრეულ თამაშებს თითქმის არაფერი აქვს საერთო თანამედროვე კალათბურთთან, რომელიც სტუდენტებისთვის შექმნა სპრინგფილდის (აშშ. მასაჩუსეტსის შტატი) კოლეჯის ანატომიისა და ტანვარჯიშის მასწავლებელმა **ჯეიმს ნეისმითმა** (1861-1939).

## ოლიმპიური თამაშების პროგრამა დღეს და ანტიკურ ეპოქაში



**ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში** თავდაპირველად შეჯიბრებებს ერთი დღე ეთმობოდა. მაგრამ 77-ე ოლიმპიადაზე (472 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ცხენოსანთა და ხუთჭიდელთა ასპარეზობა ზომაზე მეტად გაიჭიმა და მომდევნო სახეობა — პანკრატიონი გვიან ღამე დაიწყო. ამ შემთხვევამ განაპირობა თამაშების ხანგრძლივობის გაზრდა სამ დღემდე (საზეიმო ცერემონიალების ჩათვლით — ხუთ დღემდე).

**თანამედროვე ოლიმპიური თამაშების** პროგრამა სპორტულ სახეობათა და ცალკეულ სპორტულ დისციპლინათა კომპლექსია, რომლებშიც იმართება ოლიმპიური შეჯიბრებები. პროგრამა, რომელსაც აყალიბებს და ამტკიცებს სოკ-ი, მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს მოიცავს. ოლიმპიური ქარტიის თანახმად, ოლიმპიური თამაშების პროგრამა, სულ მცირე, თხუთმეტ სახეობას აერთიანებს. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ამგვარი მინიმუმი დაწესებული არ არის. პროგრამაში სპორტის სახეობათა შეტანა წყდება ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე არანაკლებ შვიდი წლით ადრე, ცალკეული დისციპლინებისა და შეჯიბრებებისა — ოთხი წლით ადრე.

**პირველი დღე.** მსხვერპლშეწირვა ზევსის სახელზე. მონაწილეთა ფიცი. მორბენალთა კენჭისყრა. მოჭიდავეთა და პანკრატიონისტთა წყვილების შედგენა.

**მეორე დღე.** დიქტორებისა და მედაფდაფეების შეჯიბრები. ჭაბუკთა შეხვედრები.

**მესამე დღე.** შეჯიბრება რბენაში ასეთი თანმიმდევრობით: გრძელი მანძილი, სტადიონის ერთი სიგრძე, ორმაგი რბენა, რბენა იარაღით. ერთ სტადიაზე ფინალურ რბენას წინ უსწრებდა გარბენები. სხვა სახეობებში წინასწარი შეხვედრები არ ტარდებოდა.

**მეოთხე დღე.** ცხენოსანთა შეჯიბრებები იპოდრომზე. პენტატლონი ასეთი თანმიმდევრობით: რბენა, ბადროს ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა, ჭიდაობა. ბოლოს იმართებოდა ორმაგი რბენა იარაღით.

**მეხუთე დღე.** ოლიმპიადის საზეიმო დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

## ვიქტორინა

1. რომელ წელს დაკანონდა კრივი სპორტულ სახეობად?

ა – 1898 წელს
ბ – 1900 წელს
გ – 1912 წელს

2. დაასახელეთ მოცურავე, რომელმაც პირველმა გაცურა 100 მეტრი 1 წუთზე ნაკლებ დროში.

ა – ჰარი ჰებნერი, აშშ
ბ – ალფრედ ჰაიოში, უნგრეთი
გ – ჯონ ვაისმიულერი, აშშ

3. რომელ წელს ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, რომელსაც არ აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და არაოფიციალურ თამაშებადაა სპორტის ისტორიაში შესული?

ა – 1902 წელს
ბ – 1906 წელს
გ – 1910 წელს

4. მელბურნის გარდა 1956 წელს ოლიმპიურ თამაშებს კიდევ ერთმა ქალაქმა უმასპინძლა, რომელმა?

ა – სტოკჰოლმმა
ბ – პარიზმა
გ – კოპენჰაგენმა

5. ვინ იყო მამაკაცთა შორის მსოფლიოს მეორე ჩემპიონი ჭადრაკში?

ა – ვილჰელმ სტეინიცი
ბ – ხოსე რაულ კაპაბლანკა
გ – ემანუელ ლასკერი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

## კვიმატი ობიექტივი






*1900 წელი. პარიზი. მეორე ოლიმპიური თამაშების აფიშა და მონეტა*

## საინტერესო ამბები

**ლონდონის** 1908 წლის ოლიმპიადის 100 წლისთავთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთში გამოუშვეს სამახსოვრო მედალი, რომლის ღირებულება შეადგენდა 2 ფუნტ სტერლინგს.

■ ■ ■

**1908 წლის** ოლიმპიურ თამაშებში შვედმა **ოსკარ სვანმა** 60 წლის ასაკში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი სროლაში.

■ ■ ■

**ავტორიტეტულმა** ამერიკულმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტედმა“ გამოაქვეყნა XX საუკუნის რჩეული 20 სპორტული ფილმის სია. მეორე-მესამე ადგილი შესაბამისად ხვდა კრივზე გადაღებულ ორ ფილმს „ცოფიანი ხარი“ და „როკი“. ამ უკანასკნელს „ოსკარიც“ მიენიჭა.

■ ■ ■

**ნიუ-იორკის** მარათონი მსოფლიოში უდიდესია და ყოველწლიურად მასში 27 ათასი პროფესიონალი და მოყვარული მორბენალი მონაწილეობს.

■ ■ ■

**ფარაონმა სეთოს I-მა** დააწესა ვარჯიშები პრინცის აღზრდისთვის.

**მშვილდოსნობაში** ბიჭების აღზრდა-დახელოვნების პროცესი პირველად ჩინეთში დაიწყეს დაახლოებით 2000 წელს ძვ. წელთაღრიცხვით.

**პირველებმა** მოძღვრება ცხენოსნობის შესახებ შექმნეს ინდოარიულმა ტომებმა დაახლოებით 1600 წ. ძვ. წ.ა.

**ძველბერძნულ** თამაშებში ჭაბუკთა შეჯიბრებები რბენასა და ჭიდაობაში პირველად გაიმართა 632 წ. ჩვ. წ. ამდე.

## თარიღი

**25 სექტემბერი-1 ოქტომბერი**

**25.09.1955 წ.** დაიბადა **კარლ ჰაინც რუმენიგე** — ფეხბურთელი (გერმანია).

**26.09.1927 წ.** დაიბადა **ენცო ბეარზოტი** — იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი.

**27.09.1953 წ.** დაიბადა **კლაუდიო ჯენტილე** — ფეხბურთი (იტალა).

**28.09.1891 წ.** შეიქმნა ურუგვაის საფეხბურთო კლუბი „პენიაროლი“ (მონტევიდეო).

**29.09.1891 წ.** დაიბადა **ვოლფგან ოვერატი** — ფეხბურთი (გერმანია).

**30.09.1887 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ჰამბურგი“ (გერმანია).

**30.09.1887 წ.** დაიბადა **ფრანკ რაიკაარდი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**1.10.1891 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბორდო“ (საფრანგეთი).

**1.10.1988 წ.** სეულში შედგა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ფინალი. ჩემპიონი გახდა სსრკ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თამაშობდა **გელა კეტაშვილი** — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი.

## იყო ასეთი შემთხვევა

## ორიენტირიც დაკარგა და ჩემპიონობაც

ლონდონში 1908 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ისტორიაში ერთი უცნაური ამბითაც შევიდა. მარათონულ გარბენში იტალიელი კულინარი **დორანდო პიეტრე** როცა ფინიშამდე ერთი მილი რჩებოდა, დაწინაურდა. ლიდერმა შეაბიჯა თუ არა სტადიონზე სივრცეში ორიენტაცია დაკარგა და რამდენჯერმე დავარდა კიდეც. მსაჯთა და ჟურნალისტთა (რომელთა შორის ზოგიერთი წყაროს ცნობით, ცნობილი მწერალი **არტურ კონან დოილიც** იყო) წახმარებით მორბენალმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა. დრო კი 2 საათი 54 წუთი და 46 წამი დაფიქსირდა. გარედან დახმარებისთვის იტალიელს დისკვალიფიკაცია მისცეს, გამარჯვებულად კი ამერიკელი **ჯონ ჰეიესი** გამოცხადდა. საცოდავ პიეტრს ღირსება დედოფალმა შეუნარჩუნა — ოქროს ფიალით პირადად დააჯილდოვა.

ისე, ყველაფერი დედოფლის ბრალი იყო. მისი მოთხოვნით მარათონის სტარტი ოდნავ — უშუალოდ უინძორის სასახლის ტერასასთან გადასწიეს, რათა დედოფალ ალექსანდრას შვილიშვილებს ეხილათ შეჯიბრების დაწყება. ამით, ფაქტობრივად, დისტანცია 65 მეტრით დაგრძელდა. სწორედ ეს 65 მეტრი გამოდგა საბედისწერო იტალიელი მარათონელისთვის.



## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საკალათბურთო საცდელი მატჩი შედგა 1891 წლის 21 დეკემბერს აშშ-ში. გუნდში 9-9 მოთამაშე იყო. ამ თარიღიდან იღებს სათავეს კალათბურთის თამაშის ისტორია.

**პირველმა** მსოფლიოში საფეხბურთო მატჩის რადიორეპორტაჟი გადასცა ლონდონის რადიომ 1927 წელს. თამაშობდნენ „ლივერპული“-“შეფილდ იუნაიტედი“.

**პირველად** მოკრივეებმა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში ხელთათმანებით იბრძოლეს 1892 წლის 7 სექტემბერს. 21 რაუნდში **ჯეიმ კორბეტმა** ნოკაუტით მოუგო **ჯონ ლოურენს სალივანს.**

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** ამას წინათ გავიგე, რომ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ცნობილი ფრაზა: „მთავარია, არა გამარჯვება, არამედ — მონაწილეობა“, როგორც აქამდე გვეგონა, არ ეკუთვნის **პიერ დე კუბერტენს**. თქვენ რას გვეტყვით?

**გაგა ტაბუცაძე**
თბილისი

**პასუხი:** დიახ, ხსენებული ფრაზა მართლაც არ ეკუთვნის ოლიმპიური თამაშების ამაღორძინებელ პიერ დე კუბერტენს. ეს ფრაზა 1908 წლის 19 ივლისს ოლიმპიურ თამაშებზე ლონდონში წარმოთქვა პენსილვანიის ეპისკოპოსმა **ეტელბერტი ტელბოტმა** წმინდა პავლეს ტაძარში.

## ღვთისავარ ანთაძის თავსატეხი „ანთა“

შეავსეთ თავსატეხი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები (ბურთების სხვაობა, ქულები და ადგილი). დაადგინეთ პირობითად A, B, C, D გუნდების ურთიერთშეხვედრების ანგარიშები, ასევე ვის რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვს.

### მეორე ამოცანა

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 6-4 | 7 | I |
| B | | | | | | | | | 3-3 | 4 | II |
| C | | | | | | | | | 1-1 | 3 | III |
| D | | | | | | | | | 1-3 | 1 | IV |

### წინა შაბათს გამოქვეყნებული ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 1:0 | 3:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 | I |
| B | 0:1 | | 3:0 | 0:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-1 | 4 | II |
| C | 0:1 | 0:3 | | 2:0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 | III |
| D | 1:3 | 0:0 | 0:2 | | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 | IV |

გვერდი მოამზადა თენგიზ თომაშვილმა

ლეგიონერები



მამუკა გორგოძე (შუაში)

# მონპელიე უნდა გალიდერდეს, ტულონიც იქვეა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში დღეს მე-8 ტურის შეხვედრები გაიმართება. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან დღესდღეობით ლიდერთა შორის მხოლოდ ორი, ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი „მონპელიე" და მულტიმილიონერ **მურად ბურჯელა-ლის** „ტულონია".

უჩვეულოდ ცუდი სტარტი აიღო ქვეყნის ჩემპიონმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა", რომელმაც შვიდი თამაშიდან მხოლოდ სამი მოიგო და ახლა 15 ქულით მე-9 ადგილზეა. „ვულკანების" ასეთი ჩავარდნა ქართველმა შერკინების ბურჯმა წესების ცვლილებით ახსნა, რასაც, როგორც ჩანს, „კლერმონის" პირველხაზელებმა თავიდანვე ვერ აუღეს ალღო. თუმცა ვფიქრობთ, პრობლემა მარტო შერკინებაში არ იქნება. მიზეზი უფრო ღრმაა და მისი ანალიზი „კლერმონის" ახალზელანდიელი მწვრთნელის **ვერნ კოტერისთვის** მიგვინდვია.

მე-8 ტურში კლერმონელები **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" მასპინძლობენ. „ვულკანების" მსგავსად, კასტრელების შედეგიც ვერ არის სახარბიელო. შარშანდელ სეზონში ეს გუნდი გაცილებით უკეთ ასპარეზობდა. მეტიც, საკმაოდ დიდხანს სატურნირო ცხრილის სათავეშიც იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამაში დიდი წვლილი საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭ აქვსენტი გიორგაძეს მიუძღოდა. მას შემდეგ, რაც „გლობუსა" დაშავდა და საოპერაციო შეიქნა, „კასტრის" საქმე უკან-უკან წავიდა. ძნელი სათქმელია, ეს უბრალოდ დამთხვევაა თუ არა, მაგრამ ფაქტია.

წლეულს აქვსენტის კიდევ ერთი ქართველი შერკინების ბურჯი ანტონ ფეიქრიშვილი შეუამხანაგდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მანაც ტრავმა მიიღო და აგერ უკვე მერვე ტურია, ჩვენებურები გუნდის შემადგენლობაში არ ჩანან.

„კლერმონმა" წინა, მე-7 ტურში სტუმრად წააგო მარსელში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან". ამიტომ შინ „კასტრთან", რომელიც ძველ იშტაზე ვერ არის, აუცილებლად უნდა მოიგოს. შარშანდელ სეზონში კლერმონელები სტუმრად ფრეს დასჯერდნენ, საკუთარ მოედნზე კი 25:19 მოიგეს.

ზირაქაშვილი კოტერმა გუნდის წინასწარ განაცხადში შეიყვანა, თუმცა თამაშს ძირითადში დაიწყებს თუ არა, უცნობია.

Planetrugby-ს პროგნოზით, „კლერმონი" მინიმუმ ათი ქულით მოიგებს.

შარშანდელი ჩემპიონატის ნახევარფინალისტს, დავით ქუბრიაშვილის „ტულონს" წლეულს არანაკლები ამბიციები აქვს. თუმცა, სეზონის სტარტს ტულონელებისთვის წარმატებულს ვერაფრით ვუწოდებთ. გუნდმა საკუთარ მოედანზე ორი შეხვედრა წააგო და სატურნირო მდგომარეობა წინა ტურში ჩემპიონის დამარცხებით გამოისწორა.

„ტულონი" მე-8 ტურში სტუმრად ეთამაშება აუტსაიდერ „ბურგუენს", რომელმაც შვიდი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. ეს ერთადერთი გამარჯვებაც ბურგუენელებმა ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „აჟენთან" მოიპოვეს. ტულონელთა დღევანდელ მეტოქეს, როგორც ჩანს, სერიოზულმა კრიზისმა დარია ხელი. არადა, დრო იყო, „ბურგუენი" საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა და სახლის გუნდად ითვლებოდა. საშინაო ასპარეზზე ფრანგული რაგბის გრანდებსაც არ ეპუებოდა და მოპოვებული ქულების თითქმის ოთხმოცი პროცენტი შინ გამართულ მატჩებზე მოდიოდა.

ამჟამად მდგომარეობა ისეთია, „ბურგუენი" შინ თამაშობს თუ გარეთ, მნიშვნელობა არ აქვს. ტულონელებს ხასიათი „კლერმონის" ძლევამ საგრძნობლად გამოუკეთა და უფრო მეტი წინსვლისთვის აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ.

„კლერმონის" დამარცხებით გაიზარდა ჩვენი შანსი, რეგულარული გათამაშება მოწინავე ოთხეულში დავასრულოთ. ოთხეულში მოხვედრა პროგრამა მინიმუმია. გვინდა, სანამ „ჰეინეკენის თასს" შევუტევთ, საფრანგეთის ჩემპიონატში ზურგი გავიმაგროთ და მერე ევროპასაც მივხედავთ", - თქვა ტულონელთა პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა.

შარშანდელი სეზონის ორივე წრეში გამარჯვება „ტულონს" დარჩა შინ - 46:28 და სტუმრად - 13:9. ქუბრიაშვილი „ბურგუენთან" მატჩში სათადარიგოთა შორის იქნება.

Planetrugby ფიქრობს, რომ „ტულონი" მინიმუმ ცხრა ქულით მოიგებს.

მიმდინარე გათამაშების ყველაზე დიდი საოცრება, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" 22 ქულით მეორე ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება გათამაშების ლიდერს, პარიზულ „მეტრო რასინგს".

მონპელიელები მე-8 ტურში შინ ეთამაშებიან დივიზიონის დებიუტანტ „ლა როშელს", რომელმაც შვიდი თამაშიდან ორის მოგება შეძლო და ახლა მე-12 ადგილზეა. ჩვენებურთა გუნდი, ცხადია, კარგად დაწყებული საქმის გაგრძელებას შეეცდება. **ერიკ ბეშუმ** და **ფაბიენ გალტიემ** „მონპელიე" კარგად ორგანიზებულ, ერთ მუშტად შეკრულ, ყველასთვის ანგარიშგასაწევ გუნდად აქციეს. თავად განსაჯეთ, გორგოძემ და კომპანიამ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ჩემპიონატის ოთხი ფავორიტი - „პერპინიანი", „ტულუზი", „მეტრო რასინგი" და „კასტრი".

ახლახან „მონპელიემ" ევროთასზე, „ემლინ ჩელენჯ კაპზე" მოთამაშეთა განაცხადი გამოაქვეყნა, სადაც საფრანგეთის ნაკრებში მოთამაშე არც ერთი მონპელიელი არაა შეყვანილი. სამაგიეროდ, განაცხადშია ოთხივე „ბორჯღალოსანი", რაც თავისთავად ძნელი ასახსნელია.

ერთი რამ კი ცხადია, „მონპელიეში" წლეულს ბევრი რამ შეიცვალა, რასაც მესამეხაზელი **ფულენსე უედრაოგოს** ნათქვამიც ადასტურებს:

„გუნდში ბრწყინვალე განწყობაა, წარმატებამ ფრთები შეგვასხა. ადრე ასე არ იყო. მძიმე სიტუაციაში ვიყავით, გუნდში ურთიერთობებიც ვერ იყო დალაგებული. დილით რომ ვიღვიძებდი, ვარჯიშზე ლამის მივხოხავდი. ახლა კი სიხარულით მიმიწევს გული კლუბის ბაზისკენ. მშვენიერი გუნდი გვყავს და, ვფიქრობ, ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეგვიძლია".

Planetrugby-ს პროგნოზით, „მონპელიე" მინიმუმ 15 ქულით მოიგებს.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივს" უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევს შინ ფრანგული რაგბის ფლაგმან „ტულუზთან". ჩვენებურთა გუნდმა შვიდი თამაშიდან სამი მოიგო და ახლა 15 ქულით მე-10 ადგილზეა.

ბრიველებს საკუთარ მოედანზე ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება შეუძლიათ და „ტულუზის" დამარცხებით კარგ სამსახურს გაუწევენ სხვა „ქართულ გუნდებს", „ტულონსა" და „მონპელიეს".

შარშანდელ სეზონში „ბრივმა" სტუმრად მშრალად წააგო - 0:38, შინ კი რევანში აიღო - 27:21.

Planetrugby-ს მიაჩნია, რომ ფავორიტები მასპინძლები არიან და მინიმუმ ხუთი ქულით მოიგებენ.

საინტერესო იქნება **ბექა შეყლაშვილის** „აჟენის" საშინაო დაპირისპირება კრიზისში მყოფ პარიზულ „სტად ფრანსესთან". ორივე გუნდი აუტსაიდერთა შორისაა და ამ მატჩის შედეგს ორივესთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

Planetrugby ფიქრობს, რომ ფავორიტი მაინც პარიზული გუნდია და მინიმუმ ათი ქულით მოიგებს.

**VIII ტური: ბურგუენი-ტულონი, კლერმონი-კასტრი, მეტრო რასინგი-ბიარიცი, ბრივი-ტულუზი, აჟენი-სტად ფრანსე, ბაიონი-პერპინიანი, მონპელიე-ლა როშელი.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. მეტრო რასინგი - 23 ქულა, 2. მონპელიე - 22, 3. ტულუზი - 21, 4. ბაიონი - 21, 5. ტულონი - 19, 6. პერპინიანი - 18, 7. კასტრი - 18, 8. ბიარიცი - 18, 9. კლერმონი - 15, 10. ბრივი - 15, 11. სტად ფრანსე - 15, 12. ლა როშელი 10, 13. აჟენი - 7, 14. ბურგუენი - 6.**

ქარის თასი

# ახალზელანდიელთა დუელი სამხრეთ აფრიკაში

ქარის თასის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტური დარჩა. პლეი ოფში მოსახვედრად რვიდან ექვსი გუნდი იბრძვის. ერთადერთი, ვინც თავს მშვიდად გრძნობს, დურბანის „ნატალ შარქსია", რომელმაც მეტოქეებს საკმაოდ გაუსწრო.

დურბანელები მე-12 ტურში სტუმრად, იოჰანესბურგში ეთამაშებიან „ლაიონზს", რომელსაც 31 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. ეს მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ ორი ახალზელანდიელი მწვრთნელის, **ჯონ პლამტრის** (ნატალ შარქსი) და **ჯონ მიტჩელის** (ლაიონზი) დუელი შედგება. პირველ წრეში თანამემამულეს პლამტრიმ აჯობა - „ნატალ შარქსმა" შინ 48:19 მოიგო. თუმცა მერე „ლაიონზმა" ზედიზედ ხუთ მატჩში გაიმარჯვა და წარმატებული სერია წინა ტურში პრეტორიის „ბლუ ბულზთან" მარცხით დაასრულა.

„ლაიონზს" გამარჯვება „ნატალ შარქსზე" მეტად სჭირდება. თუ „ლომები" სათამაშო დისციპლინის დაცვას შეძლებენ, მათ ნამდვილად შეუძლიათ შინ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება.

Planetrugby-ს პროგნოზით, „ლაიონზმა" მინიმუმ ხუთი ქულით უნდა მოიგოს.

არანაკლებ საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი კეიპთაუნში, სადაც მეორეადგილოსანი „ვესტერნ პროვანსი" პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „გრიკასს" მასპინძლობს. სტუმართა გუნდმა 30 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილზეა.

გრიკასელებმა სეზონი შესანიშნავად დაიწყეს, მაგრამ როგორც ჩანს, „დენთი" აღარ ეყოთ. გუნდმა მეორე წრე ზედიზედ სამი წაგებით „გახსნა" და მხოლოდ წინა, მე-11 ტურში მოახერხა აუტსაიდერ „ლეოპარდსის" დამარცხება - 29:20.

„ვესტერნ პროვანსი" მეტოქეს არაფერს დაუთმობს, ვინაიდან, შესაძლოა, ამ მატჩში გამარჯვებით პლეი ოფში თამაშის უფლება დაიბევოს. მით უფრო, რომ პირველ წრეში პროვანსელებმა სტუმრად დიდი ანგარიშით მოიგეს - 50:3.

Planetrugby-ს მიაჩნია, რომ „დასავლელები" მინიმუმ ათი ქულით მოიგებენ.

წესით, უპრობლემოდ უნდა მოიგონ საპლეიოფო ოთხეულის გუნდებმა „ბლუ ბულზმა" და „ჩიტაზმა", რომლებიც აუტსაიდერებს, შესაბამისად, ლეოპარდსს" და „პუმასს" ეთამაშებიან.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ნატალ შარქსი - 46 ქულა, 2. ვესტერნ პროვანსი - 38, 3. ბლუ ბულზი - 33, 4. ჩიტაზი - 32, 5. ლაიონზი - 31, 6. გრიკასი - 30, 7. პუმასი - 17, 8. ლეოპარდსი - 5.**

**XII ტური: ვესტერნ პროვანსი-გრიკასი, ჩიტაზი-პუმასი, ლეოპარდსი-ბლუ ბულზი, ლაიონზი-ნატალ შარქსი.**



ნატალ შარქსი-გრიკასი

ITM-ს თასი

# ტური სამხრეთელების მოგებით დაიწყო



ტანა უმაგა

ITM-ს თასის გათამაშების მე-9 ტური ლიდერების, „საუთლენდისა" და „ოკლენდის" მატჩით გაიხსნა. თამაში ძალიან დაძაბული აღმოჩნდა. მასპინძელმა „სამხრეთელებმა" მეტოქეზე ერთით მეტი საჯარიმოს გატანა შეძლეს და 9:6 მოიგეს. სამჯერ ოკლენდელთა ძელებს შორის ბურთი საჯარიმოდან მგეზავმა **რობი რობინსონმა** გაატარა.

მე-9 ტურში დიდ ინტერესს იწვევს პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლთა, ქრაისტჩერჩის "ქენთერბერისა" და „ველინგტონის" დაპირისპირება. ქრაისტჩერჩელები 26 ქულით მე-4 ადგილზე არიან და ველინგტონელებს ერთი ქულით უსწრებენ.

„ქენთერბერიზე" ქულით მეტი აქვს და მესამე ადგილზეა „ტარანაკი", რომელიც, სავარაუდოდ, უპრობლემოდ გაუსწორდება ერთ-ერთ აუტსაიდერ „ჰოუქს ბეის".

**IX ტური: საუთლენდი-ოკლენდი 9:6, ბეი ოფ პლენტი-ოტაგო 40:30, ქენთერბერი-ველინგტონი, ჰოუქს ბეი-ტარანაკი, ვაიკატო-ტასმანი, მანუკაუ-ნორთლენდი, ნორთ ჰარბორი-მანავატუ**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. საუთლენდი - 30 ქულა, 2. ოკლენდი - 27, 3. ტარანაკი - 27, 4. ქენთერბერი - 26, 5. ველინგტონი - 25, 6. ვაიკატო - 22, 7. ნორთლენდი - 21, 8. ბეი ოფ პლენტი - 21, 9. მანუკაუ - 20, 10. ნორთ ჰარბორი - 13, 11. ჰოუქს ბეი - 11, 12. ტასმანი - 11. 13. ოტაგო - 10, 14. მანავატუ - 7.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

# უცხოური სპორტი

## ამბები

**კალათბურთი**

### მორიგი ტრეიდი

„ნიუ ორლეანმა“ და „ფილადელფიამ“ ორმაგი გაცვლა განახორციელეს. ფორვარდები - **დარიუს სონგაილა** და **კრეიგ ბრაკინსი** ახლა „სიქსერზის“ შემადგენლობაში ითამაშებენ, ხოლო „ჰორნეტსის“ კალათბურთელები გახდნენ მცველი **უილი გრინი** და ფორვარდ/ცენტრი **ჯეისონ სმიტი**.

ლიტველი სონგაილა გასულ სეზონში საშუალოდ 7.2 ქულასა და 3.1 მოხსნას აგროვებდა. ბრაკინსი დრაფტზე „ოკლაჰომამ“ აირჩია, მოგვიანებით „ჰორნეტსში“ გადავიდა, მაგრამ ამ გუნდში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია.

შარშან გრინის საშუალო მონაგარი 8.7 ქულა იყო. სმიტის სტატისტიკა 2009-10 წლების სეზონში 3.3 ქულასა და 1.8 მოხსნას უდრიდა.

### ოდენი ინვალიდია

NBA-ის ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელმა ESPN-ის ჟურნალისტს განუცხადა, რომ „პორტლენდის“ ცენტრი **გრეგ ოდენი** მოახლოებულ სეზონში ვერ შეძლებს მოედანზე ხანგრძლივად ყოფნას.

*„მეშვიდე კლასიდან მოყოლებული ის ან ტრავმირებული იყო, ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები ჰქონდა. გრეგი ნებისმიერი გუნდისთვის ამოუცნობი კალათბურთელია, რადგან არავინ იცის, რას უნდა ველოდოთ მისგან“*, - განაცხადა ინკოგნიტო ხელმძღვანელმა.

### ფინიქსმა მწვრთნელი დაიტოვა

„ფინიქს სანზმა“ 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **ელვინ ჯენტრისთან** - იტყობინება სააგენტო AP.

სამი თვის წინ, „სანზმა“ გამოიყენა ამ სპეციალისტის ხელშეკრულებაში არსებული პუნქტი და ჯენტრისთან ურთიერთობა 2012 წლამდე გაახანგრძლივა. კლუბის პრეზიდენტის **ლონ ბების** თქმით, გასულ სეზონში ჯენტრიმ „სანზისთვის“ იდეალური მწვრთნელის თვისებები გამოამჟღავნა.

### ჩიკაგო უდოკაზე ფიქრობს

ამერიკული პრესის ცნობით, „ჩიკაგო ბულზის“ ხელმძღვანელობა თავისუფალი აგენტის - **იმე უდოკას** გადაბირებით არის დაინტერესებული. ეს კალათბურთელი ორი დღის წინ იყო „ჩიკაგოში“ გასინჯვაზე და სავარაუდოდ, მას **ბრაიან სკალაბრინთან** და **ჯონ ლუკასთან** ერთად მიიწვევენ „ხარების“ საწვრთნელ ბანაკში.

უდოკა შარშან „საკრამენტოში“ თამაშობდა და საშუალოდ 3.6 ქულასა და 2.8 მოხსნას აგროვებდა.

### დენვერმა ბრაუნი მიიწვია

„დენვერ ნაგეტსის“ ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის **ჯორჯ კარლის** ასისტენტობას სთავაზობს „კლივლენდის“ ყოფილ დამრიგებელ **მაიკ ბრაუნს**, თუმცა ამ უკანასკნელს მომავალ სეზონში სამწვრთნელო მოღვაწეობისგან დასვენება სურს.

ეს სვლა „დენვერს“ იმის გამო დასჭირდა, რომ თანამდებობა დატოვა კარლის ასისტენტმა და მეგობარმა **ტიმ გრგურიჩმა**.

### ჩინეთში ისევ კობი ლიდერობს

ჩინეთში NBA-ის ყველაზე პოპულარულ კალათბურთელად კვლავაც **კობი ბრაიანტი** მიიჩნევა. ზედიზედ მეოთხე წელია ამ ქვეყანაში ყველაზე კარგად იყიდება „ლეიკერსის“ ლიდერის მაისურები. მეორე ადგილზეა **ლებრონ ჯეიმსი**. შემდეგ მოდიან - **დუაიტ ჰოვარდი, კევინ გარნეტი** და **დერიკ როუზი**.

ეს მონაცემები კომპანია „ადიდასმა“ გაავრცელა, რომელიც ჩინეთში NBA-ის ფორმის ოფიციალური მიმწოდებელია.

### ილუმჟინოვი აღარ ჩივის

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი** სასამართლოში აღარ უჩივის **ანატოლი კარპოვს**. წლის დასაწყისში FIDE-ის ხელმძღვანელმა სარჩელი შეიტანა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის წინააღმდეგ, რომელმაც ფედერაციის სტრუქტურაში არსებული კორუფციის შესახებ საჯარო განცხადებები გააკეთა. პრეზიდენტმა მორალური ზარალის კომპენსაციისთვის მილიონი რუბლი მოითხოვა.

გუშინ ილუმჟინოვი გაეცნო კარპოვის ახალ განცხადებას - დიდოსტატმა საჯაროდ აღიარა, რომ არ გაუვრცელებია პრეზიდენტის მაკომპრომეტირებელი ცნობები და FIDE-ის ხელმძღვანელმაც სარჩელის გამოტანა გადაწყვიტა.

*„დავკმაყოფილდი იმით, რომ ანატოლი კარპოვმა ოფიციალურად აღიარა - პრეზიდენტის ღირსების საწინააღმდეგო განცხადებები არ გამივრცელებიაო. მოხარული ვარ, რომ 29 სექტემბერს დაგეგმილი FIDE-ის პრეზიდენტის არჩევნები სამუშაო და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის“*, - ამბობს ილუმჟინოვი.

**ცურვა**

### ოლიმპიურმა პრიზიორმა კარიერა დაასრულა

ავსტრიელმა მოცურავე **მირნა იურიჩმა**, რომელმაც 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 24 წლის ასაკში დაასრულა აქტიური კარიერა. სპორტსმენმა ეს ნაბიჯი ოჯახური გარემოებებით ახსნა, გარდა ამისა, განაცხადა, რომ მისთვის რთულია მოტივაციის პოვნა უმაღლეს დონეზე გამოსვლის გასაგრძელებლად.

იუკიჩი წარმოშობით ხორვატია. ის იუგოსლავიაში დაიბადა და ზაგრებში დაიწყო ცურვაში მეცადინეობა. 1999 წელს მისი ოჯახი ვენაში გადავიდა. მალე მოცურავემ ავსტრიის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა.

2008 წლის ოლიმპიადაზე იუკიჩმა 100 მეტრზე ბრასში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ერთი წლის შემდეგ, მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატზე ავსტრიელმა ასეთივე სინჯის მედალი დაისაკუთრა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. გარდა ამისა, მირნა ევროპის არაერთგზის ჩემპიონია.

**ველოსპორტი**

### ტრანსფერები გრძელდება

მსოფლიო ველოსპორტის ამომავალმა ვარსკვლავმა, 20 წლის ამერიკელმა **ტეილორ ფინმა** მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკულ საჯინიბო BMC Racing-თან, სადაც მისი პარტნიორები იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონები - ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და იტალიელი **ალესანდრო ბენატი**.

ახალი გუნდი ჰყავს ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერ **დანიელე ბენატის**. მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლუქსემბურგულ საჯინიბოსთან, რომლისთვისაც ჯერ სახელი არ მოუფიქრებიათ.

ამ გუნდში იტალიელის პარტნიორები იქნებიან ცნობილი ლუქსემბურგელი ძმები - **ანდი** და **ფრანკ შლეკები**, აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი **ფაბიან კანჩელარა**.

ბენატი ბოლო ორი წელი Liquigas-ის ღირსებას იცავდა.

## კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# თითქმის უსენსაციოდ


კაბიანი ბელარუსები

ჩეხეთში ქალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, სადაც უკვე დამყარდა პირველი რეკორდი. პლანეტის ამ პირველობას ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან (WNBA) ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავს - ამერიკული ლიგიდან ჩეხეთში 23 კალათბურთელია ჩასული.

ეს მოთამაშეები რვა ქვეყანას წარმოადგენენ - ამერიკას, ავსტრალიას, ბელარუსს, ბრაზილიას, ჩეხეთს, მალის, რუსეთსა და ესპანეთს. ოთხი წლის წინ, ბრაზილიაში გამართულ ჩემპიონატზე WNBA-ს 19 წარმომადგენელი ჰყავდა, პეკინის თამაშებზე - მხოლოდ 16.

პირველი ტურის მატჩებმა კანონზომიერად ჩაიარა.

### A ჯგუფი

**ბელარუსი-ჩინეთი 68:57**
**კანადა-ავსტრალია 47:72**

ბელარუსებმა რევანში აულეს ჩინეთს ორი წლის წინანდელი მარცხისთვის. პეკინის ოლიმპიადაზე მასპინძლებმა ბელარუსი მეოთხედფინალიდან გამოთიშეს ბრძოლას. ევროპელები არც მალავდნენ შურისძიების სურვილს და მატჩის შემდეგ აცხადებდნენ, რომ სრულფასოვანი რევანში გამოუვიდათ, რადგან მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს. ეს არ იყო მართალი - ჩინეთმა კაბებში გამოწყობილ ბელარუსებს საჯარიმოებისა და სამქულიანების უფრო ზუსტად შესრულებითა და შედეგიანი პასების რაოდენობით აჯობა. ყველაფერი გადაწყვიტა ბელარუსის უპირატესობა მოხსნებში (46:32). ევროპელთა „მაღლების“ წყვილმა (**ელენა ლევჩენკომ** და **ანასტასია ვერემეენკომ**) მეტოქის ფარზე 8 მოხსნა მიითვალა - ერთით მეტი, ვიდრე მთლიანად აღებულმა ჩინეთის ნაკრებმა.

ავსტრალია თავისი მრავალწლიანი ლიდერის - თავდამსხმელი **პენი ტეილორის** გარეშე თამაშობდა. ეს კალათბურთელი კვლავაც ტრავმას მკურნალობს. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. კანადამ ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს. ამ მხრივ საგულისხმოა ჩრდილოამერიკელთა თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი - 28,6. მხოლოდ 12 (!) ზუსტი ტყორცნა მთელი მატჩის განმავლობაში!

### B ჯგუფი

**საბერძნეთი-აშშ 73:99**
**სენეგალი-საფრანგეთი 45:83**

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტებმა საბერძნეთის ნაკრებს ტურნირის მომავალი აღმოჩენა უწოდეს, ამ გუნდს არც ისე შთამბეჭდავი დასაწყისი გამოუვიდა - ბერძნები ოლიმპიურ ჩემპიონთან უშანსოდ იყვნენ. ყველაფერი სასტარტო ათწუთეულში გადაწყდა, როცა ამერიკა 10 ქულით გავიდა წინ - 32:18. გამარჯვებულებს არ დასჭირვებიათ თავიანთი ლიდერების მაქსიმალურად დატვირთვა - გამთამაშებელმა **სიუ ბერდმა** მოედანზე 20 წუთი დაყო, თავდამსხმელმა **დაიანა ტაურაზიმ** - 15, ცენტრმა სილვია ფალუზმა - მხოლოდ შვიდი. ერთადერთი, რითაც ბერძნებს შეუძლიათ თავი მოიწონონ - მცველ **ევა მალცის** ბრწყინვალე თამაშია - მან თამაშიდან 16-ჯერ ისროლა და 11 ჩააგდო, მათ შორის შვიდიდან ექვსი სამქულიანი.

უცნაური აღმოჩნდა საფრანგეთისა და სენეგალის მატჩი. აფრიკელებმა მეორე მეოთხედში მხოლოდ 3 (!) ქულა ჩააგდეს, სამაგიეროდ, მესამე მეოთხედის მოგება შეძლეს - 16:11. ამ გაუგებრობის მიუხედავად, საფრანგეთმა ძალიან იოლად მოიგო შეხვედრა, რაც მოსალოდნელი იყო.

### C ჯგუფი

**ს. კორეა-ბრაზილია 61:60**
**მალი-ესპანეთი 36:80**

პირველი მოულოდნელი შედეგი C ჯგუფში დაფიქსირდა - დრამატულ მატჩში კორეელებმა გამარჯვება გამოსტაცეს ბრაზილიას. ლათინურამერიკელები დიდი ხანი მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ მესამე მეოთხედის შუაში ანგარიში გაათანაბრეს და კომფორტული ექვსქულიანი უპირატესობითაც გავიდნენ წინ. თითქოს ფავორიტს შანსი ხელიდან აღარ უნდა გაეშვა, მაგრამ კორეამ, რომელსაც დიდი ხანია საერთაშორისო არენაზე წარმატებისთვის არ მიუღწევია, მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. ბოლო ცხრა წამის განმავლობაში, როცა ბრაზილია მინიმალური ანგარიშით იგებდა, კორეამ ზედიზედ ორი ჩაჭრა შეასრულა და მაინც შეძლო მატჩის მოგება.

კიდევ უფრო სამარცხვინო ანგარიშით წააგო აფრიკის მეორე წარმომადგენელმა მალიმ. პირველ ორ მეოთხედში ესპანეთმა ამ გუნდს მხოლოდ 13 (!) დააგროვებინა. ეს სტატისტიკური მაჩვენებელი კარგად მეტყველებს პირენეელთა უპირატესობაზე. ამასთან, ესპანელთა ვარსკვლავებს დიდად არ მოუკლავთ თავი - **ამაიოა ვალდემორომ** და **ლაია პალაუმ** მოედანზე შესაბამისად 15 და 18 წუთი დაყვეს.

### D ჯგუფი

**ჩეხეთი-არგენტინა 67:53**
**იაპონია-რუსეთი 63:86**

ამ ჯგუფშიც ორივე შეხვედრაში ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა. ტურნირის მასპინძლებმა არგენტინასთან მატჩში უკვე მეორე მეოთხედში მიაღწიეს ოცქულიან უპირატესობას. ამასთან, ჩეხეთი გაცილებით ხშირად კარგავდა ბურთს, ვიდრე მისი მეტოქე - 23 შეცდომა არგენტინის 13 შეცდომის წინააღმდეგ, სამაგიეროდ, ფარქვეშ ჰქონდა უდიდესი უპირატესობა. მარტო **იანა ვესელამ** დააგროვა 14 მოხსნა - სულ ოთხით ნაკლები, ვიდრე მთელმა არგენტინის ნაკრებმა. მასპინძლებს ისიც დაეხმარა, რომ არგენტინელები ძალიან ცუდად ისროდნენ თამაშიდან - 17 ზუსტი ტყორცნა 65 ცდიდან.

## კრივი

# კლიჩკომ დაუმარცხებელი ბრიტანელი აირჩია

სუპერმძიმე წონაში ორი ვერსიით (WBO, IBF) მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმირ კლიჩკომ** ბრძოლაში გამოიწვია დაუმარცხებელი ბრიტანელი მოკრივე **დერეკ ჩისორა**. გამოცემა The Daily Mail-ის ინფორმაციით, შეხვედრა 2010 წლის 11 დეკემბერს გაიმართება.

ცნობილი არ არის, კლიჩკოს რომელმა წარმომადგენელმა გაუგზავნა შეთავაზება ჩისორას. ადრე ვწერდით, რომ ნიგერიელი **სამუელ პიტერის** დამარცხების შემდეგ, უკრაინელმა 2010 წლის ბოლომდე კიდევ ერთი შეხვედრა დაგეგმა, ამასთან, ვლადიმირის მწვრთნელმა **ემანუელ სტიუარდმა** პოტენციურ მეტოქეებად ბრიტანელი **დევიდ ჰეი** (WBA-ის ჩემპიონი) ან პოლონელი **ტომაშ ადამეკი** დაასახელა.

ჰეი თავის მორიგ ბრძოლას 13 ნოემბერს თანამემამულე **ოდლი ჰარისონის** წინააღმდეგ ჩაატარებს, ადამეკს კი 9 დეკემბერს უწევს შეხვედრა ამერიკელ **ვინი მადალონესთან**.


დერეკ ჩისორა

ზიმბაბვური წარმოშობის 26 წლის დერეკ ჩისორა ბოლოს რინგზე 18 სექტემბერს გავიდა და ნოკაუტით მოუგო მეორე ბრიტანელ **სემ სექსტონს**. სულ მას პროფესიულ კრივში 14-დან 14 გამარჯვება აქვს, აქედან ცხრა ნოკაუტით. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჩისორას მომავალი მეტოქე რუსი **ნიკოლაი ვალუევი** იქნებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოქტომბერში ტრავმირებულ ხელსა და ზურგზე ოპერაცია დაგეგმა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ჩისორამდე უმცროსი კლიჩკოს გუნდმა ბრძოლა შესთავაზა მძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონ **ჟან-მარკ მორმეკს**, მაგრამ ფრანგს ჰონორარი ეცოტავა. კლიჩკოს მრჩეველის **შელი ფინკელის** თქმით, მორმეკთან ბრძოლა, შესაძლოა, 2011 წელს გაიმართოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფრანგი სამშობლოში რამდენიმეათასიან სტადიონს იპოვის შეხვედრის ჩასატარებლად. მორმეკს პროფესიულ რინგზე დებიუტი 2009 წელს ჰქონდა და უკვე მოასწრო ქულებით ორი შეხვედრის მოგება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი



რაფა, პიტი, ანდრე და როჯერი

# სამპრასი: რაფა როჯერს გაასწრებს

ლეგენდარულმა ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალს** „კორტის მხეცი" უწოდა და განაცხადა, რომ ესპანელს თავისუფლად შეუძლია „დიდი სლემის" ტურნირებზე გამარჯვებების რაოდენობით შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** რეკორდი დაამხოს.

*„თუ ნადალი გონივრულად შეადგენს თავის განრიგს, მისი ახალგაზრდა ასაკიდან გამომდინარე, ყველაფერი გამოუვა. ერთადერთი საკითხია - გაუძლებს თუ არა რაფას ორგანიზმი ასეთ დატვირთვებს. ის ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის, თავს არ ზოგავს, ამის ატანა კი ბევრს არ შეუძლია.*

*მან ყველა დიდი ტურნირი მოიგო, გაიმარჯვა ოლიმპიადაზე. ის დომინირებს თავის მთავარ ოპონენტთან - როჯერ ფედერერთან ბრძოლაში. არა მგონია, რომ მას კონკრეტული მიზანი ჰქონდეს დასახული - „დიდი სლემის" 16, 17 ან 18 ტურნირის მოგება. ის უბრალოდ პროგრესის მიღწევას ცდილობს და თუ რეკორდიც გამოუვა, შესანიშნავი იქნება.*

*მას შეუძლია ამის გაკეთება. წინ ბევრი სამუშაოა, რაფას კი შრომა არ ეზარება".*

მაგრამ სამპრასის აზრით, ფედერერსაც აქვს ტიტულების კოლექციის გამდიდრების შანსი.

*„როჯერი ნებისმიერ დიდ ტურნირზე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ის ბრწყინვალედ გამოიყურება და მის თამაშში ვერ ვხედავ რაიმე შესამჩნევ ჩავარდნას. უბრალოდ, სხვები უკეთესად თამაშობენ. მომდევნო ორი-სამი წელი სერიოზული გამოცდა ელის. მაგრამ როჯერი მზად არის საბრძოლველად. მას კიდევ შეუძლია „დიდი სლემის" ტურნირების მოგება".*

სამპრასს უჭირს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის დასახელება.

*„მიმაჩნია, რომ ყველა თაობაში მოიძებნება თითო გმირი. 60-იან წლებში ეს იყო ლეივერი, 70-იანებში - ბორგი, 80-იანებში - ლენდლი და მაკინროი, 90-იანები - მე და აგასი. რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა".*

*მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ რაფა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ის თამამად შეიძლება შევიყვანოთ უძლიერეს სამ-ოთხ ჩოგბურთელს შორის. თუნდაც იმიტომ, რომ მან უკვე ბევრს მიაღწია და კიდევ ბევრი აქვს სათამაშო. ის კარიერის ეკვატორზე იმყოფებოდა, ასე რომ, კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია",* - ამბობს სამპრასი სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## ამბები

**ფორმულა 1**

### ლოტუსმა სახელი შეიცვალა და შემადგენლობა შეინარჩუნა

გუშინ, „ლოტუსმა" სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ 2011 წლისთვის ძველ შემადგენლობას შეინარჩუნებს. როგორც ირკვევა, ფინელმა **ჰეიკი კოვალაინენმა** ჯერ კიდევ მონცაში გააგრძელა კონტრაქტი, ხოლო იტალიელმა **იარნო ტრულიმ** სინგაპურში მოაწერა ხელი ახალ ხელშეკრულებას.

პრესკონფერეციაზე აგრეთვე გამოცხადდა, რომ „ლოტუსი" მომავალ წელს „რენოსთან" ითანამშრომლებს, ხოლო გუნდს ახალი სახელი ექნება - Team Lotus.

### დი რესტა თითქმის ფორს ინდიაშია

შოტლანდიელ **პოლ დი რესტას**, შესაძლოა, 2011 წელს დებიუტი ჰქონდეს ფორმულა 1-ში. ამ მრბოლელმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა „ფორს ინდიას" ხელმძღვანელობაზე და ინდური საჯინიბო გაისად დი რესტას საპრიზო პილოტად მიწვევას აპირებს.

ჯერჯერობით უცნობია, ვის შეცვლის შოტლანდიელი. ეს დამოკიდებული იქნება **ადრიან სუტილზე**, რომელიც სხვა გუნდებში გადასვლის ვარიანტებს განიხილავს. ერთ-ერთია „რენოში" რუსი **ვიტალი პეტროვის** შეცვლა. ამასთან, **ვიტანტონიო ლიუციმ** უკვე გააგრძელა კონტრაქტი „ფორს ინდიასთან" და ამ გუნდში 2011 წლის ბოლომდე დარჩება.

შეგახსენებთ, რომ წელს დი რესტა DTM-ის სერიაში გამოდის და ფინიშამდე სამი ეტაპით ადრე მეორე ადგილზე იმყოფება.

**რალი**

### ლოები 2011 წელს წავა

რალიში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა **სებასტიან ლოებმა** 2011 წლის სეზონის შემდეგ გადაწყვიტა კარიერის დასრულება.

*„მომავალი სეზონი ბოლო იქნება ჩემთვის. კარიერის განმავლობაში საკმარისად ვრისკავდი და აღარ მინდა იმავეს გაკეთება. ახლა ერთადერთი მოტივაცია - რბოლებისგან სიამოვნების მიღება",* - ამბობს 36 წლის ფრანგი.

წელს ლოები ძალიან ახლოსაა მეშვიდე ტიტულის მოპოვებასთან. ის ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი რალისტი გახლავთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

| ჩემპიონატი | |
|---|---|
| პორტსმუთი-ლესტერი | 6:1 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ლეიტონი-ბრენტფორდი | 1:0 |

**იტალია**

| სერია B | |
|---|---|
| პიაჩენცა-სიენა | 0:1 |

**ესპანეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ხერესი-ტენერიფე | 2:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ჰოფენჰაიმი | 1:1 |

| II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ალემანია-პადერბორნი | 2:0 |
| კოტბუსი-ჰერტა | 0:1 |
| კარლსრუე-ფრანქფურტი | 0:2 |

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| ალენი-დინამო (დ) | 0:1 |
| უნტერჰახინგი-ბაბელსბერგი | 1:0 |

| რეგიონალლიგა (ჩრ) | |
|---|---|
| თურქიემსფორი-ხემნიცი | 0:2 |

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| მეინინგენი-ფიურტი A | 2:1 |

| რეგიონალლიგა (დას) | |
|---|---|
| ჰომბურგი-კიოლნი A | 0:0 |

**საფრანგეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ისტრი-კლერმონი | 2:2 |
| ლავალი-აიაჩო | 0:0 |
| ჰავრი-ანჟერსი | 1:0 |
| ლე მანი-დიჟონი | 2:2 |
| მეცი-რეიმსი | 0:0 |
| ნანტი-გრენობლი | 2:1 |
| ნიმი-სედანი | 2:0 |
| ტრუა-შატორუ | 3:1 |
| ვანი-ტური | 0:0 |

**ჰოლანდია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ალმერი-ემენი | 1:1 |
| ფორტუნა-ვოლენდამი | 1:2 |
| ტელსტარი-როსენდაალი | 1:3 |
| იგლზი-ვაალვიკი | 1:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ნავალი | 3:1 |

**შვედეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-სუნდსვალი | 3:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იარო-მიუპა | 3:2 |

**ავსტრია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ალტახი-გრატკორნი | 1:0 |
| ლუშტენაუ-ადმირა | 0:3 |
| სტ. პოლტენი-ჰარტბერგი | 1:1 |
| გრიოდიგი-ვენა | 4:1 |
| სტ. ანდრა-აუსტრია (ლ) | 0:0 |

**შვეიცარია**

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| კრინსი-კიასო | 0:2 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბურსა-ბუკა | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-უნივერსიტი | 2:2 |
| დროგედა-სპორტინგი | 0:4 |
| სტ. პატსი-დანდალკი | 1:2 |
| შემროკი-გალვეი | 3:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| კორკი-ლონგფორდი | 1:0 |
| დერი-მერვუ | 6:0 |
| უოტერფორდი-ლიმერიკი | 3:0 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლოვაცკო-სლავია | 3:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| იჟლავა-კლადნო | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-დ. სტრედა | 0:0 |
| ნიტრა-სპარტაკი | 1:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ამკარი | 2:2 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კორონა-შლიონსკი | 2:1 |
| ლეგია-ლეხი | 2:1 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-სპარტაკი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-ჰალადაში | 3:1 |
| უიპეშტი-ჟოლნოკი | 1:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| უნივესიტატეა (კლ)-კლუჟი | 1:1 |

**ევრო 2011**

| UNDER 17 | |
|---|---|
| ჩეხეთი-სომხეთი | 1:1 |
| ისლანდია-თურქეთი | 2:0 |
| ბელგია-დანია | 0:2 |
| ლიტვა-უელსი | 1:0 |

### კალათბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| ქალები | |
|---|---|
| არგენტინა-იაპონია | 58:59 |
| ჩინეთი-კანადა | 61:65 |
| ავსტრალია-ბელარუსი | 83:59 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 84:69 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 55:52 |
| აშშ-სენეგალი | 108:52 |
| ბრაზილია-მალი | 80:73 |
| საფრანგეთი-საბერძნეთი | 69:55 |

**ევროლიგა**

| კვალიფიკაცია | |
|---|---|
| უნიქსი-გრონინგენი | 78:63 |
| ხიმკი-კაზერტა | 85:66 |
| ნიმბურკი-შარლერუა | 73:71 |
| ჰემოფარმი-ჰალილი | 77:86 |
| ალბა-როანი | 95:82 |
| ვილერბანი-ბუდუჩნოსტი | 85:76 (ო) |
| ლე მანი-ბანვითი | 78:66 |

**ესპანეთი**

| სუპერთასი | |
|---|---|
| კახა ლაბორალი-ვალენსია | 66:67 |
| ბარსელონა-რეალი | 89:55 |

### ჰოკეი

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ვილახი | 4:2 |
| აკრონი-ზალცბურგი | 3:2 |
| ალბა-ვენა | 2:7 |
| გრაცი-ლინცი | 1:2 |
| კლაგენფიურტი-ოლიმპია | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 1:4 |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 2:1 |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 3:6 |
| კრეფელდი-ნიურნბერგი | 5:5 ბულ. 1:0 |
| მიუნხენი-კიოლნი | 5:4 |
| შტრაუბინგი-მანჰაიმი | 4:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ჰერნინგი | 3:2 |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 4:2 |
| სონდერიისკი-ოდენსე | 4:0 |
| ფრედრიკ.-როდოვრე | 3:3 ბულ. 0:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-პოპრადი | 4:2 |
| ჟილინა-მარტინი | 1:2 |
| ნიტრა-ზვოლენი | 1:4 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 3:3 ბულ. 0:1 |
| სლოვანი-სკალიცა | 6:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-ტაპარა | 2:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-კლადნო | 7:3 |
| ჟლინი-ბრნო | 1:4 |
| ლიტვინოვი-პარდუბიცე | 3:1 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 3:2 |
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2:6 |
| პლზენი-ლიბერეცი | 1:6 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ლუგანო | 1:6 |
| ბილი-ცუგი | 2:4 |
| დავოსი-ციურიხი | 3:3 ბულ. 0:1 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 5:5 ბულ. 1:0 |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 5:0 |
| სერვეტი-ბერნი | 2:4 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბუქარესტი | |
|---|---|
| ჩელა-ფაუ | 6:3, 6:3 |
| კუევასი-ანდუხარი | 4:6, 4:6 |
| სტარაჩე-გრანოლერსი | 6:3, 6:7, 4:6 |
| მონტანიესი-შარდი | 6:3, 1:6, 6:3 |

| ATP. მეცი | |
|---|---|
| სიმონი-მალისე | 7:5, 4:6, 6:1 |
| ნიემინენი-ზვერევი | 6:7, 3:6 |
| ჩილიჩი-კოლშრაიბერი | 4:6, 1:6 |
| გასკე-რობრედო | 7:6, 7:6 |

| WTA. სეული | |
|---|---|
| პეტროვა-ფლიპკენსი | 6:2, 6:1 |
| კლეიბანოვა-მაკაროვა | 6:1, 6:2 |
| შავაი-დატე | 6:2, 6:7, 6:3 |
| საფინა-ზაკოპალოვა | 5:7, 3:6 |

| WTA. ტაშკენტი | |
|---|---|
| ვესნინა-ნიკულესკუ | 6:3, 3:6, 6:4 |
| კუდრიავცევა-როდინა | 6:1, 3:6, 6:3 |

## TV პროგრამა

### 25 სექტემბერი. შაბათი

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

12:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ატლეტიკო.
08:00 საფეხბურთო კლუბი.
08:50 ინგლისის ლიგის თასი. III რაუნდი. სკანთორფი-მანჩესტერ იუნ.
10:40 სასტვენი.
11:30 საფეხბურთო პროგრამა.
12:00 ახალი ამბები.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ჰოფენჰაიმი.
14:00 საფეხბურთო კლუბი.
14:45 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:15 რუსეთის ჩემპიონატი. ჟემჩუჟინა-ავანგარდი (LIVE).
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-მაინცი (LIVE).
19:30 ახალი ამბები.
19:50 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:55 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა (LIVE).
21:50 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ბარსელონა (LIVE).
01:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ვალენსია.
03:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-სტ. ეტიენი.
05:35 საფეხბურთო კლუბი.

**EUROSPORT**

10:35 რალი. IRC-ის სერია. I დღე. სან რემო. იტალია.
11:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტრინიდადი.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტრინიდადი.
13:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (85 კგ). ანტალია. თურქეთი.
14:30 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/8 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია.
16:00 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
19:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (94 კგ). ანტალია. თურქეთი (LIVE).
21:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (+75 კგ). ანტალია. თურქეთი.
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
01:00 რალი. IRC-ის სერია. II დღე. სან რემო. იტალია.
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტრინიდადი.
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ფინალი. ტრინიდადი (LIVE).

### 26 სექტემბერი. კვირა

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-ნაპოლი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-სამპდორია (LIVE).
19:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ლილი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სარაგოსა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
08:20 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა.
10:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-კრუზეირო.
12:00 ახალი ამბები.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
14:25 იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-ნაპოლი (LIVE).
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიიმეგენი-ფეიენოორდი (LIVE).
18:30 ახალი ამბები.
18:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ლილი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-სევილია (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სარაგოსა (LIVE).
00:55 ახალი ამბები.
01:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-კორინთიანსი.
03:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიიმეგენი-ფეიენოორდი.
04:45 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კალიარი.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
10:45 მარათონი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
13:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სუპერპოული. იმოლა. იტალია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. იმოლა. იტალია (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იმოლა. იტალია (LIVE).
16:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (105 კგ). ანტალია. თურქეთი.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. იმოლა. იტალია (LIVE).
18:30 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
20:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (+105 კგ). ანტალია. თურქეთი.
21:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
21:45 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. გლაზგო. შოტლანდია.
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. ფინალი. გლაზგო. შოტლანდია (LIVE).
02:00 რალი. IRC-ის სერია. სან რემო. იტალია. მიმოხილვა.
02:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
02:45 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (+105 კგ). ანტალია. თურქეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქვირის ბოლოს



შამათობა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

● კალათბურთი

# კოცნა ობამას ფონზე



ევა და ტონი

„სანანტონიოსპურსის" ფრანგი კალათბურთელი **ტონი პარკერი** მეუღლესთან, მსახიობ **ევა ლონგორიასთან** („სასოწარკვეთილი დიასახლისები") ერთად ყოველწლიურ ცერემონიას დაესწრო, რომლის სახელწოდებაა - Congressional Hispanic Caucus Institute's Awards Gala.

35 წლის ლონგორია, რომელსაც ლათინოამერიკული ფესვები აქვს, აქტიურად იბრძვის იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომელიც ემიგრანტების უფლებებს არღვევს. ამჯერად ფორუმზე მთავარი მომხსენებელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** იყო. ის ლათინურამერიკელ ამომრჩევლებს მოუწოდებდა დემოკრატებისთვის მიეცათ ხმა, რადგან რესპუბლიკელებს არ ესმით „ჩამოსულების" პრობლემების.

პრეზიდენტის სიტყვის დროს, პარკერს მოულოდნელად ცოლის ალერსი მოუნდა და ლონგორიას კოცნა დაუწყო. მართალია, ევა ყურადღებით უსმენდა ობამას, მაგრამ მეუღლეს გული არ დასწყვიტა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ჟურნალი
რომელსაც კითხულობენ



სექტემბრის ნომერი

ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე, ილია ბაბუნაშვილი, დათო ტურაშვილი, ედიშერ ბერაძე, ლაშა ბაბუნია, გაგა მოსრონიძე, დავით ქოჩხიძე, კოტე ჯანდიერი, ლელა ჯიყაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ნინო რეხვიაშვილი...


● ფორმულა 1. სინგაპურის გრან-პრის წინ

# ციფრები და ფაქტები



სინგაპურის ავტოდრომი

-სინგაპურის გრან-პრი მხოლოდ მესამედ ტარდება.

- 2008 წლის 28 სექტემბერს, Marina Bay Street Circuit-ის ავტოდრომზე ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად ჩატარდა ღამის რბოლა.

- სადებიუტო ეტაპზე პირველობას „რენოს" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** მიაღწია.

- ისევე როგორც ყველა ახალი ავტოდრომი, სინგაპურშიც ტრასა **ჰერმან ტილკეს** დაპროექტებულია.

- ტრასის სიგრძეა 309,316 კილომეტრი. დისტანცია 61 წრედ (თითო - 5073 მეტრი) არის დაყოფილი. მაქსიმალური სიჩქარე საათში 290 კილომეტრს აღწევს (სტარტი/ფინიშის სწორ მონაკვეთზე). ტრასაზე 23 მოსახვევია (14 მარცხენა და 9 მარჯვენა).

- სინგაპურის მეორე გრან-პრიზე გამარჯვება „მაკლარენის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** მოიპოვა. პირველ რბოლასთან შედარებით, მან და ალონსომ ადგილებს გაცვალეს (პირველი და მესამე).

- ჯერჯერობით სინგაპურში მეორე ადგილს გერმანელი პილოტები იკავებენ. პოდიუმის მეორე საფეხურზე ავიდნენ **ტიმო გლოკი** (2009) და **ნიკო როსბერგი** (2008).

- ტრასა ახალია, მაგრამ მან ერთხელ უკვე შეიცვალა კონფიგურაცია, რის შემდეგაც წრე 6 მეტრით დაგრძელდა.

- კვალიფიკაციაში ტრასის რეკორდი ჰემილტონს ეკუთვნის (1.47,891). რბოლის დროს ყველაზე სწრაფად წრე ალონსომ გაიარა - 1.48,240 (საშუალო სიჩქარე - 168,725 კმ/სთ).

- სინგაპური მეორე რბოლაა მონაკოს შემდეგ, რომელიც ქალაქის ქუჩებში იმართება. ამასთან, აქ მოძრაობა საათის ისრის საწინააღმდეგოდ მიდის (იგივეა მხოლოდ ბრაზილიაში, საემიროებსა და თურქეთში).

- 2008 წელს პოულის მოპოვების შემდეგ, ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** („ფერარი") მხოლოდ მე-13 პოზიციაზე დაასრულა რბოლა. პიტსტოპის დროს მან ადრე დაიწყო მოძრაობა და რამდენიმე მეტრი მოგლეჯილი საწვავის მილით იარა, გზად კი საკუთარი გუნდის რამდენიმე მექანიკოსი წააქცია.

- ერთადერთი პილოტი, ვინც სინგაპურში მხოლოდ პირველი ხაზიდან იღებდა სტარტს, ჰემილტონი გახლავთ.

- ტიმო გლოკს ყველაზე მეტი ქულა სინგაპურში აქვს მოპოვებული - 13. გერმანელისთვის შარშანდელი პოდიუმი (სულ მესამე) ბოლოა კარიერაში.

- როსბერგი კარიერაში ხუთჯერ ასულა პოდიუმზე, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, სინგაპურში დაიკავა მესამეზე მაღალი პოზიცია. აღსანიშნავია, რომ შარშან სინგაპურში გერმანელმა პირველად მოიპოვა რბოლაში ლიდერობა (11 წრე).

- 2008 წელს ბრაზილიელმა **ნელსონ პიკემ** მე-13 წრეზე დაამტვრია საკუთარი ბოლიდი, რითაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რბოლის შემდგომ მსვლელობაში. „რენოში" მისმა პარტნიორმა ალონსომ ავარიამდე ორი წრით ადრე ჩაატარა პიტსტოპი და ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. საბოლოოდ ესპანელმა ეტაპი მოიგო! ავარიის შემდეგ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გავიდა და ამის გამო დანარჩენმა პილოტებმაც ბოქსებს მიაშურეს. შედეგად, ესპანელი მეხუთე ადგილზე გადავიდა. მაგრამ მის წინ მყოფ პილოტებს ან პიტსტოპზე უნდა შეეხვიათ, ან 10-წამიან ჯარიმაზე უნდა წასულიყვნენ.

- კონსტრუქტორთა შორის ყველაზე მეტი ქულა „მაკლარენმა" დააგროვა (18), რაც ორით მეტია „რენოს" მონაგარზე. „ფერარის" პილოტებს სინგაპურში ჯერ ქულა არ აუღიათ.

- 2008 წელს ალონსო სინგაპურში კარიერაში ორმოცდამეათედ ავიდა პოდიუმზე. ახლა მას იმავეს გაკეთება მესამოცედ შეუძლია.

- გერმანელი **მიხაელ შუმახერისთვის** სინგაპურის გრან-პრი პირველი იქნება კარიერაში და 26-ე ფორმულა 1-ის გეოგრაფიაში. მოქმედი პილოტებიდან უფრო მეტ ავტოდრომზე მხოლოდ **რუბენს ბარიკელოს** (27) უასპარეზია.

- გერმანელი **ადრიან სუტილი** ორივეჯერ გამოეთიშა სინგაპურის რბოლას.

- ასეთივე შედეგი აქვს წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერს, ავსტრალიელ **მარკ უებერს**: 2008 წელს მან რბოლა 29-ე წრეზე დაასრულა, 2009-ში - 45-ეზე.

# ბერნის ოლიმპიადაზე უნდა



ბერნის დიდი გეგმები აქვს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** სინგაპურში გამართულ პრესკონფერენციაზე ისევ დაუბრუნდა „დიდ ცირკში" მედლების დარიგების სისტემას. ბევრისთვის ეს იდეა უცნაური ჩანს, მაგრამ ბრიტანელმა ჟურნალისტმა **ჯო სავარმა** ამაში გარკვეული ლოგიკა აღმოაჩინა.

სავარის ვარაუდით, ექლსტოუნს სურს ფორმულა 1 სპორტის ოლიმპიურ სახეობად აქციოს. პირველად ბერნი მედლების დარიგებაზე 2008 წლის ბოლოს ალაპარაკდა - 10 თვით ადრე, სანამ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლად რიო დე ჟანეიროს აირჩევდნენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესების თანახმად, ახალი სახეობა თამაშების პროგრამაში მანამდე უნდა შეიტანონ, სანამ მისი ჩატარების ადგილი იქნება არჩეული. როგორც ჩანს, ექლსტოუნს მიაჩნია, რომ მსგავსი მანევრი ფორმულა 1-ის მიმართ პუბლიკის ინტერესს გააძლიერებს და მის სტატუსს აამაღლებს. მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა ავსტრალიის გრან-პრი მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებს „მიაბეს" და ამით ორივე სპორტული ღონისძიება მოგებული დარჩა.

იმ ქალაქებს შორის, რომლებიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე ფიქრობენ, ბევრმა შეიძლება ექლსტოუნის დაინტერესება გამოიწვიოს: დურბანი, რაბატი, დოჰა, დუბაი, ტოკიო, ბუდაპეშტი, სტამბოლი, რომი, მადრიდი, ჩიკაგო...

ჩამოთვლილი ქალაქებიდან ზოგიერთს უკვე აქვს შესაფერისი ავტოდრომი, ზოგიერთი კი ტრასის აშენებას აპირებს. ასე რომ, სავარის აზრით, მედლების სისტემაში გარკვეული ლოგიკა მაინც არსებობს...

# შუმი: ვერ მომიშორებთ!



მიხაელ შუმახერი წასვლას არ აპირებს

სინგაპურში **მიხაელ შუმახერმა** უარყო ბოლოდროინდელი ჭორები სეზონის დასრულების შემდეგ ფორმულა 1-დან სავარაუდო წასვლის შესახებ.

*„ასე ვიტყოდი: ჩემი თავიდან მოშორება იოლი არ იქნება, - განუცხადა ჟურნალისტებს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა. - ბუნებრივია, ჩვენი მიზანი - ჩემპიონატის მოგებაა და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი. მაგრამ ამ ყველაფერს გარკვეული დრო დასჭირდება, ჩვენ კი ჯადოქრები არ ვართ. შესაბამისად, ადრიანად შევუდგებით 2011 წლისთვის მზადებას და ვეცდებით მაქსიმალურად მაღალი შედეგების მოპოვებას.*

*გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა ჩემი კარიერის პირველი ფაზა „ბენეტონში" - მაშინ ოთხი წელი დაგვჭირდა ყველაფრის ასაწყობად და ჩემპიონატის მოსაგებად. „ფერარიში" ამაზე ხუთი წელი დაიხარჯა, „მერსედეს გრან-პრიში" შევძლებთ საქმეების უფრო ეფექტურად წარმართვას.*

*გუნდებმა, რომლებიც დღეს ჩემპიონატში გამარჯვებისთვის იბრძვიან, მოდერნიზაციის წლევანდელი პროგრამა უნდა გააგრძელონ და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მომდევნო სეზონის სტარტზე მცირე უპირატესობას მოგვცემს.*

*ბუნებრივია, როცა ჩვენს გუნდში სიტუაცია ცხადი გახდა, შევწყვიტეთ ამჟამინდელი ბოლიდის გაუმჯობესება და სტრატეგია შევცვალეთ. განახლების პროცესი ბევრ სხვადასხვა ელემენტს აერთიანებს - ინჟინრებთან მჭიდრო მუშაობა, ყველა სისტემის შენი მოთხოვნისამებრ წესრიგში მოყვანა... ჩვენ შეზღუდულები ვართ შესაძლებლობებში, უნდა ვიმუშაოთ კონკრეტულ საბურავთან და მანქანასთან, რომელსაც გარკვეული მახასიათებლები აქვს. ვგრძნობ, რომ ამ ამოცანების ამოხსნისას ჰარმონია ჯერ ვერ მოვნახე. სწორედ ამ ბალანსის ძიებით ვარ ახლა დაკავებული.*

*ჯერჯერობით სიტუაცია რთულია, რადგან რბოლებში გამარჯვებისთვის ვერ ვიბრძვით, მაგრამ როგორც მონცას რბოლამ დაგვანახვა, შეგვიძლია მისაღები შედეგების მიღწევა და იმედი მაქვს, მომავალ წელს უფრო შორს წავალთ".*